

ადამიანის უფლებების დამცველები პატრულის დასჯას მოითხოვენ A4



ქალაქი მხატვრის ფოტოობიექტივში A8



"ევროპა" B

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 16 თებერვალი, 2006 წელი. №34 (1186) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

"ფეროს" 2000 თანამშრომელი საწარმოზე ზეწოლას აპროტესტებს და პრეზიდენტს შველას სთხოვს

A2

## ამბები

ენერგოპრივატიზაცია ექსპერტების თვალით

საპრივატიზაციო ენერგოობიექტები განსაზღვრულია. ვადები დადგენილია. ახლა მთავარია, ვინ და რა პირობებში გახდება ხელისუფლების რჩეული. ვარიანტები ბევრია, ეჭვი ერთ მხარეს იხრება, ხელისუფლებაში კი დაინტერესებულ კომპანიებზე ხმამაღლა არ საუბრობენ.

A2

## სამართალი

ახმეტაში თანამდებობის ორი პირი დააკავეს

ფინანსური პოლიციის სამიზნე ამჯერად ახმეტის გამგებელი, ამავდროულად, "ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის წარმომადგენელი, ზაქრო ქინქლაძე და გამგეობის კომუნალური სამსახურის უფროსი ზურაბ აფციაური გახდა.

A4

## სპორტი

მურვანიძე ტურინის ყინულს ასცდა

ტურინის ოლიმპიური თამაშების მეოთხე დღე და საქართველოს ნაკრების პირველი წარუმატებლობა. თუმცა, არა მგონია, ვინმეს რაიმე წარმატების იმედი ჰქონოდა, მაგრამ მაინც.

A2

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 16/02 | 17 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | 6 |
| ტყიბული | 3 | 6 |
| სოხუმი | 2 | 7 |
| დმანისი | -10 | -3 |
| გორი | -3 | 2 |
| ონი | -4 | -1 |
| ზუგდიდი | 5 | 7 |
| ახმეტა | 3 | 6 |
| გაგრა | 1 | 4 |
| სამტრედია | 4 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ფოტორეპორტაჟი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# პარლამენტმა თავისი დადგენილების მოდიფიცირება მოახდინა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 180 ხმით, ერთსულოვნად მიიღო დადგენილება "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული ვითარებისა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის შესახებ". ოპოზიციამ ამ დოკუმენტს პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო მისცა ხმა. "საერთო მტრის წინაშე ერთიანობის დემონსტრირება რომ მნიშვნელოვანია, დადგენილებას მხოლოდ ამისთვის ვუჭერთ მხარს," - კობა დავითაშვილმა ოპოზიციის ხმები დაამადლა უმრავლესობას.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# სამხრეთ კავკასია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

ბენიტა ფერერო-ვალდნერი

*ევროკომისარი საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში*

ევროკავშირზე ფიქრისას პირველ რიგში თვალწინ რა წარმოგიდგებათ? ადგილი, სადაც მოქალაქეების ცხოვრების დონე მაღალია? ადგილი, სადაც მრავალი ომის შემდეგ მტკიცე მშვიდობა დამყარდა? ადგილი, სადაც კანონები სამართლიანია, არჩევნები - თავისუფალი, ყველა მოქალაქის უფლება კი დაცული?

ეს ყველაფერი არც შემთხვევითობაა და არც ბედის წყალობა. არსებული მდგომარეობის მისაღწევად ევროპის ხალხებს ზოგჯერ რთული არჩევანის გაკეთება და კომპრომისზე წასვლა უწევდათ.

გაგრძელება B1 გვერდზე



# ოლიმპიური ქაოსი ანუ იტალიური შთაბეჭდილებები

2006 წლის 10 თებერვლამდე, ანუ მანამდე, სანამ ზამთრის მეოცე ოლიმპიური თამაშების გახსნის მაუწყებელი მარადიული ცეცხლი ოქროსფრად გაანათებდა ტურინის ზეცას, თვით იტალიელებმაც კი არ იცოდნენ ზუსტად, ჰქონდა თუ არა პიემონტის მხარეს და მის დედაქალაქს ასეთი დიდი სპორტული მოვლენის მასპინძლობის თავი. მილანი ან რომი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ტურინი? მოასწრებენ კი ეს ზარმაცი პიემონტელები ყველაფრის დროულად აგებას? მერე ორგანიზაციული მხარე, ამდენი სპორტსმენისა თუ გულშემატკივრის მიღება-დაბინავება, ჟურნალისტებისთვის სამუშაო პირობების შექმნა, უსაფრთხოების ზომების დაცვა?

გაგრძელება A6 გვერდზე



# რუსი დეპუტატები კავკასიური ომისთვის "ემზადებიან"

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქართველოში სამშვიდობოებთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებს გუშინ ვენიდან გამოეხმაურა.

**"საქართველოს ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთარი ცოდვების რუსეთზე გადაბრალებას წააგავს, რადგან, როგორც ყველამ დავინახეთ, ქართულ მხარეს ცხინვალთან დიალოგის უნარი არ აღმოაჩნდა,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა და ქართული მხარე მუდმივად პროვოკაციების მოწყობაში დაადანაშაულა.

საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე "ცისფერჩაფხუტიანთა" თემას გუშინ დიდი დრო დაეთმო რუსეთის უმაღლეს სათათბიროშიც. რუსი დეპუტატების განცხადებები, ტრადიციულად, მწვავე იყო.

**"ახლოვდება დიდი ომი კავკასიაში. სააკაშვილს სურს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ძალის გამოყენებით დაიპყროს. სოჭი და კრასნოდარის მხარე ათი წლის განმავლობაში ფრონტისპირა ზონა იქნება,"** - განაცხადა ფრაქცია "ლდპრ"-ის წევრმა ალექსეი მიტროფანოვმა.

კომუნისტი რუსლან გოსტევი მიიჩნევს, რომ **"საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები ის ნაპერწკალია, რომელიც მთელ კავკასიას ცეცხლად მოედება."**

ფრაქცია "როდინას" წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა კოლეგებს შესთავაზა, დღის წესრიგში შეეტანათ საქართველოდან რუსეთის ელჩის ვლადიმირ ჩხიკვიშვილის გამოწვევის საკითხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტის მოხსენების ექო

*14 თებერვალს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებულ ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. თუმცა გუშინ გამართულ დებატებში უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი ყოფილა: ოპოზიციამ პრეზიდენტს საყვედურები არ დააკლო, უმრავლესობამ კი - ქება-დიდება.*

გიორგი ასანიშვილი

იმან, რომ მიხეილ სააკაშვილი მისი გამოსვლის მეორე დღეს გამართულ პოლიტიკურ დებატებს არ დაესწრო, ოპოზიცია საკმაოდ გაანაწყენა. "მემარჯვენეებმა" დისკუსიაში ჩაბმა საერთოდ არ ისურვეს და ფრაქციის პოზიციის გამოხატვაზე უარი თქვეს. უკმაყოფილება არც მეორე ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელს ივლიანე ხაინდრავას დაუმალავს. მისი თქმით, პრეზიდენტის ანგარიში მონოლოგს არ უნდა ჰგავდეს და ქვეყნის პირველი პირი ოპოზიციის მოსაზრებების პირისპირ მოსასმენად მზად უნდა იყოს.

ხაინდრავას არც ის მოსწონს, რომ მოხსენების დაწყების წინ მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტი, კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები 50 წუთი ალოდინა. თუმცა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა პრეზიდენტი "ბოლომდე არ გაწირა" და თავის განცხადებაში ისიც აღნიშნა, რომ 14 თებერვალს პარლამენტში ჩატარებული ღონისძიება უკეთესად იყო ორგანიზებული და წინა წლის "ბალაგანს" არ ჰგავდა.

გაცილებით მკვეთრი და რადიკალური გამოსვლა ჰქონდა ზვიად ძიძიგურს, რომლის აზრითაც, უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ პრეზიდენტს, წარმატებების ხაზგასმასთან ერთად, ქვეყანაში არსებულ პრობლემებზეც ესაუბრა.

**"მიხეილ სააკაშვილს სიტყვა არ დაუძრავს სასამართლო რეფორმაზე, რომელიც მან ორჯერ წამოიწყო და ორივეჯერ ჩავარდა,"** - აცხადებს "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სახალხო დამცველი სპეცოპერაცია "ლომბარდს" მკაცრ შეფასებას აძლევს

*შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის პირადი ბრძანებით ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლითაც ძალოვნებმა თბილისში მოქმედ ყველა ლომბარდს ერთდროულად "დაარტყეს", საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს. მათ ხელთ არსებული წინასწარი მონაცემებით, სპეცოპერაცია, რომლის კოდური სახელწოდებაც "ლომბარდი" გახლდათ, კანონის უხეში დარღვევებით ჩატარდა.*

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, მათ შეამოწმეს შპს "პასაჟის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ლომბარდები, სადაც მასშტაბური სპეცოპერაცია განხორციელდა. მათთან საუბრისას ლომბარდების მეპატრონეებმა და თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ სპეცოპერაცია უხეში ფორმით, მათი უფლებების დარღვევით ჩატარდა. **"სამართალდამცველებმა მათ უმრავლესობას არ წარუდგინეს მოსამართლის ბრძანება ჩხრეკისა და ამოღების შესახებ, ფიზიკური ზემოქმედების გამოყენებით წაიყვანეს ლომბარდის მეპატრონეები და იქ მყოფი "საეჭვო გარეგნობის მქონე" პირები. წაიღეს როგორც უყუთო, ისე ყუთიანი მობილური ტელეფონები,"** - აცხადებს სახალხო დამცველის აპარატი.

ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ დაკავებულებსაც, რომლებიც 48 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ დროებითი დაკავების იზოლატორში. იმის მიუხედავად, რომ ეჭვმიტანილებმა მობილური ტელეფონების გამსხვისებელი პირები დაასახელეს და ადგილზეც მიიყვანეს ისინი, მათი გათავისუფლების შემდეგ, ტელეფონები რატომღაც კვლავ "მოდულის" შენობაში დარჩა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დააკავეს პირი, რომელსაც აღმოაჩნდა მოპარული ტელეფონი. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლომბარდის მეპატრონემ ტელეფონი ერთ-ერთი მოქალაქისგან პასპორტის წარდგენისა და მისი ქსეროასლის დატოვების შემდეგ შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილმა მობილური ტელეფონის გამსხვისებლის მისამართი მიუთითა, მას მაინც შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება - გირაო და დაეკისრა 4 ათასი ლარის გადახდა, ისე, რომ გამოძიებას საქმის რეალობა არც გაურკვევია.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "Heritage Foundation"-ის ხელმძღვანელი ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს და ექსპერტებს შეხვდება

დღეს საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში "Heritage Foundation"-ის ხელმძღვანელი მარკ მაილსი ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან შეხვედრას გამართავს. დისკუსია გაიმართება საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის, საქართველოში მიმდინარე ფისკალური ხასიათის რეფორმების, ახალი საგადასახადო ტარიფების, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის მთავრობის მონაწილეობის დახასიათების, ქვეყანაში მიმდინარე ამჟამინდელი მონეტარული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დახასიათების, ქვეყანაში ინვესტირებული კაპიტალისა და ინვესტიციების მონაცემთა შედარებითი ანალიზის, სამომხმარებლო ფასებისა და მათი რეგულირების, საკუთრების ფორმებისა და მესაკუთრეთა უფლებების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების და ცვლილებების რეიტინგული დახასიათებისა და ქვეყნის ფორმალური და არაფორმალური ბაზრის შეფასების თემებზე. მარკ მაილსი პირადად მოისმენს ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა და ექსპერტთა მოსაზრებებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

"Heritage Foundation"-ი, როგორც დამოუკიდებელი კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტი, 1973 წელს ამერიკაში დაარსდა. მისი ძირითადი მიზანი იმ პოლიტიკის დაცვა და ხელშეწყობაა, რომელიც თავის საფუძვლად შემდეგს აღიარებს: თავისუფალ მეწარმეობას, მთავრობის შეზღუდულ მონაწილეობას, პიროვნების თავისუფლებას, ძლიერ ეროვნულ თავდაცვას. ამ ორგანიზაციის ძირითადი ხაზი, რომელსაც ის ეყრდნობა, აღიარებს და გულისხმობს ეკონომიკურ თავისუფლებას.

ზემოაღნიშნული ორგანიზაცია ყოველი წლის ბოლოს "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის" მიხედვით სახელმწიფოების რეიტინგს აქვეყნებს. იგი თავის გათვლებში ქვეყნების მთავრობის ოფიციალურ, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს ეყრდნობა. საქართველო 2005 წლის მონაცემებით განეკუთვნებოდა კატეგორიას "შედარებით არათავისუფალი", ხოლო 2006 წლის მონაცემებით კი გადაინაცვლა კატეგორიაში "შედარებით თავისუფალი".

მარკ მაილსი მოწვეულ იქნა ორგანიზაციის "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" მიერ, ეკონომიკური თავისუფლების იდეების ქართული საზოგადოებისათვის გაცნობისა და ინდექსის პრეზენტაცია-განხილვის მიზნით.

*24 საათი*

# რუსეთმა სამხრეთ ოსეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე შეზღუდვა შემოიღო

რუსეთმა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე შეზღუდვა შემოიღო. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანა ამიერიდან მხოლოდ იმ სპეციალური დოკუმენტაციის თანხლებით იქნება შესაძლებელი, რომელიც დაადასტურებს, რომ პროდუქცია ადგილზეა მოყვანილი. როგორც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული სანქციები რუსეთის ფედერაციის სანიტარული სამსახურის მიერ საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთის ტერიტორიაზე შეტანის შეზღუდვასთანაა დაკავშირებული. როგორც დე ფაქტო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, მეწარმეებზე გაიცემა პროდუქციის ადგილობრივი წარმომავლობის დამადასტურებელი ცნობები.

მიუხედავად ამისა, გასულ კვირაში ცხინვალის ავტოსადგურსა და ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით დატვირთული ავტომანქანების სიმრავლე შეინიშნება. ოსური მხარის განცხადებით, ვაშლით დატვირთული ავტომანქანების უმრავლესობაში საქართველოში მოყვანილი პროდუქციაა და ამიტომაც მათ არ აქვთ საბუთები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სამგზავრო ვაგონების მოდერნიზებას დნეპროპეტროვსკის ქარხანა განახორციელებს

სამგზავრო მატარებლების მოდერნიზაციასთან დაკავშირებით რკინიგზის მიერ გამოცხადებულ ტენდერში დნეპროპეტროვსკის სამგზავრო ვაგონების სარემონტო-სამშენებლო ქარხანამ გაიმარჯვა. ამის შესახებ "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს.

სატენდერო პირობების მიხედვით, გამარჯვებულმა ქარხანამ ვაგონების კონდიცირების თანამედროვე სისტემით აღჭურვა, ახალი ტიპის ფანჯრების დამონტაჟება, დასაჯდომი ადგილებისათვის გამძლე და ხარისხიანი მასალების გამოყენება, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით აღჭურვა და მომსახურე პერსონალის გადამზადება უნდა განახორციელოს. ასევე, პირობების მიხედვით, მოდერნიზებული ვაგონების ვარგისიანობის ვადა არანაკლებ 23 წლით უნდა განისაზღვროს, საგარანტიო მომსახურება კი 2 წლით.

პირველად დნეპროპეტროვსკის ქარხანა 20 სამგზავრო ვაგონს ჩაუტარებს მოდერნიზაციას, რომელიც ექსპლოატაციისთვის მზად ივნისის თვეში იქნება.

*ინტერპრესნიუსი*

# დედაქალაქში თხევადი გაზის მონობლოკები მარტამდე დარჩება

ქალაქის ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, ენერგოდეფიციტის გამო, დედაქალაქში დამატებული თხევადი გაზის მონობლოკები მარტამდე დარჩება. როგორც ქალაქის ზედამხედველობის სამსახურში განაცხადეს, აღნიშნული მონობლოკები თბილისში თხევად გაზზე მოთხოვნილების გამო დარჩება.

ქალაქის ზედამხედველობის სამსახურმა 2 თვის წინ დედაქალაქში 40 უკანონო თხევადი გაზის მონობლოკი აიღო, რადგან მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა, თუმცა ენერგოდეფიციტის გამო მათი ნაწილი დააბრუნეს.

მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, თბილისში თხევადი გაზის მონობლოკები თბილისში გასული თვის ბოლოს დაამატეს. იგი დედაქალაქში ბუნებრივი აირის აღდგენის შემდეგ უნდა აელოთ.

*ინტერპრესნიუსი*

# EBRD-მა ბანკ "რესპუბლიკას" მიკროსესხებისთვის 3 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი დაუმტკიცა

EBRD-ის დირექტორთა საბჭომ ბანკ "რესპუბლიკას" მიკროსესხებისთვის 3 000 000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი დაუმტკიცა. ასევე ბანკი განახორციელებს ვაჭრობის დაფინანსების პროექტს, რომლისთვისაც 2 000 000 აშშ დოლარს მოიხმარს.

EBRD-ი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფინანსური ინსტიტუტია. იგი ბანკ "რესპუბლიკის" პარტნიორად მოიაზრება და ბანკ "რესპუბლიკაში" მცირე ბიზნესისა და ვაჭრობის განვითარებისათვის მხარდასაჭერ გრძელვადიან კრედიტს გამოყოფს.

ბანკი "რესპუბლიკა" 1991 წელს დაარსდა და დღეს საქართველოში მოქმედ უმსხვილეს კომერციულ ბანკებს შორის მეექვსე ადგილზეა მთლიანი აქტივების მიხედვით, ხოლო მოწინავე პოზიციას ფლობს - წმინდა მოგების თვალსაზრისით.

EBRD-ი ყველაზე მსხვილი ინვესტორია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. იგი მობილიზებას უწევს უცხოურ ინვესტიციებს ბანკებში არსებული მრეწველობისა და ბიზნესპროექტების დაფინანსებისათვის, ასევე მხარს უჭერს კომპანიების ახალ წამოწყებებს და მათ ინვესტირებას. EBRD-ი მუშაობს სახელმწიფო ორგანიზაციებთან აღორძინების, პრივატიზაციის და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების კუთხით და მხარს უჭერს რეგიონში ბიზნესგარემოსათვის კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნას.

*ინტერპრესნიუსი*

# ენერგოპრივატიზაცია ექსპერტების თვალით

## ნაწილი მეოთხე

*საპრივატიზაციო ენერგოობიექტები განსაზღვრულია. ვადები დადგენილია. ახლა მთავარია, ვინ და რა პირობებში გახდება ხელისუფლების რჩეული. ვარიანტები ბევრია, ეჭვი ერთ მხარეს იხრება, ხელისუფლებაში კი დაინტერესებულ კომპანიებზე ხმამაღლა არ საუბრობენ. მაინც, რამდენად შედეგიანად შეძლებს ხელისუფლება ქართული ენერგოობიექტების პრივატიზებას იმ პირობებში, როცა დღემდე ამ კუთხით არსებული გამოცდილება არცთუ სახარბიელოა. ამ და სხვა საკითხებზე დაპირებულ ექსპერტულ შეფასებებს "24 საათი" დღევანდელ ნომერში მოგაწვდით.*

დიანა ჩაჩუა

პირველი კითხვა, რომლითაც "24 საათმა" ექსპერტებს მიმართა, დაახლოებით ასე ჟღერს: როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა საფრთხე, რომ საქართველოს ენერგოსისტემის სრულად დაპატრონების მცდელობა ისევ და ისევ რუსული კომპანიების მხრიდან განხორციელდება, რომლებიც, პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, საქართველოში დასავლეთზე გაცილებით დიდ ეკონომიკურ რისკებზე არიან წამომსვლელნი? პასუხი დადებითია. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტების აზრით, ერთადერთი გზა, რათა ეს საფრთხე თავიდან იქნას აცილებული, ენერგოსექტორში ნორმატიული ბაზის დახვეწაა. **"საჭიროა ასევე, მკაფიოდ განისაზღვროს ინვესტორთა უფლება-ვალდებულებები, როგორც საკონკურსო პირობებში, ასევე სამომავლოდ ინვესტორებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში,"** - მიიჩნევენ ცენტრში.

ამ კითხვის აქტუალობა მით უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ "თელასის" რუსმა მფლობელმა "რაომ" ერთხელ უკვე დააფიქსირა თავისი ინტერესი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიმართ.

საინტერესოა, რომ ექსპერტების აზრით, ხელისუფლებას ჰქონდა შანსი, სხვა გზით წასულიყო. კერძოდ, ენერგოუსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეექმნა და ენერგოსადისტრიბუციო ბიზნესით ადგილობრივი ბიზნესი დაეინტერესებინა. **"მაგრამ, იმ მოტივით, რომ ამ შემთხვევაში სექტორის განვითარება შეფერხდებოდა, კომპანიების გაყიდვა გადაწყვიტა,"** - აცხადებენ ცენტრში.

რაც შეეხება იმავე "რაოსთან" დაკავშირებულ საკითხს, ექსპერტების შეფასებით, რუსულ კომპანიასთან ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით (იგულისხმება "ეი-ი-ესისგან" ქართული აქტივების შესყიდვის შემდეგ ჩუბაისის დაპირება, რომ ელექტროენერგიის ტარიფი არ მოიმატებდა და 24-საათიანი ელექტრომომარაგება იქნებოდა), უკეთესი იქნება, თუ ინვესტორი სხვა - პოლიტიკურად ნეიტრალური და მძლავრი კომპანია გახდება. თუმცა, **"მთავარი მაინც ის იურიდიული ბაზა იქნება, რომელიც ინვესტორის კომპანიაში შემოსვლას დაედება საფუძვლად. ამ შემთხვევაში ინვესტორს, "რაო" იქნება ის თუ სხვა, პირობების დარღვევა გაუჭირდება,"** - ასეთია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტების შეფასება.

რიგი ექსპერტების აზრით, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების პრივატიზება დაჩქარებული წესით, იმ პირობებში, როცა მათი "ამოღების მაჩვენებელი" დაბალია, ვალები კი - საკმაოდ დიდი, პრივატიზაციიდან მისაღები თანხის ოდენობას სერიოზულად ამცირებს. ბუნებრივია, ეს არა მხოლოდ ენერგოობიექტების პრივატიზაციას ეხება. ცენტრის შეფასებით, ეს პრობლემა არა ხაზინის გავსება-არგავსებასთან, არამედ მაკროეკონომიკურ გათვლებთანაა დაკავშირებული. კერძოდ: **"რა თანხაც არ უნდა შემოვიდეს პრივატიზაციიდან, კომპანიის ეფექტური მუშაობის შემთხვევაში მოსალოდნელ თანხებთან ახლოსაც ვერ მოვა. ანუ, თუ კომპანია 100-პროცენტიან, თუნდაც 90-პროცენტიან მაჩვენებელზე გავა, ბიუჯეტში გაცილებით მეტი თანხები შევა, ვიდრე ერთჯერადად - მისი გაყიდვის შემთხვევაში,"** - სწორედ ამიტომ, ცენტრის ექსპერტების შეფასებით, ყურადღება არა გასაყიდ ფასს, არამედ მომავალი ინვესტორის სამუშაო პირობებს უნდა მიექცეს, - **თუ ინვესტორის სასტარტო პირობად შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი და სხვადასხვა ტიპის პრივილეგიები იქცევა, ქვეყანა სოლიდურ შემოსავლებს დაკარგავს."**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - საპრივატიზაციო კომპანიების ვალებია. როგორც ცენტრში აცხადებენ, ამ ვალების დიდი ნაწილი კომპანიისთვის ხელოვნურადაა აკიდებული, თუმცა დოკუმენტურად გაფორმებულია. **"თუ ისე მოხდა, რომ მევალეებმა კუთვნილი თანხები ვერ დაიბრუნეს და სასამართლოს გზით კომპანიის ახალ მფლობელს მიაკითხეს, ორმაგ ყულფში აღმოჩნდებით. ჯერ ერთი, ნაკლებად სავარაუდოა, ინვესტორმა ეს ვალები თავის თავზე აიღოს. შესაბამისად, მევალეები "ჰაერში" აღმოჩნდებიან. მეორეც: თუ ხელშეკრულება ამ საკითხს წინასწარ არ დაარეგულირებს, არსებობს რისკი, რომ ინვესტორმა ქართულ მხარეს მის წინაშე აღებული ვალდებულებების დარღვევაში დასდოს ბრალი,"** - საუბრობენ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრში".

ლოგიკურად, ქართული ენერგობაზრიდან ამერიკული "ეი-ი-ესის" წასვლის ფაქტი ამ ბაზარს დასავლელი ინვესტორების თვალში კარგად არ უნდა ახასიათებდეს. მეტიც, რიგი ექსპერტების შეფასებით, უარყოფითადაც კი ახასიათებს. **"საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ცხოვრების დონის გაუმჯობესებამდე ტარიფის მნიშვნელოვანი ზრდის პერსპექტივა არ იარსებებს. შესაბამისად, ამ ბაზარზე სოლიდური მოგების მიღების მიზნით არავინ შემოვა. ამიტომ ინვესტორებისთვის წინასწარ გასაგებია: საქართველოს ენერგობაზარზე შემოსვლა პოლიტიკურ ორთაბრძოლაში ჩაბმის რისკთანაა დაკავშირებული და ეს "ეი-ი-ესის" მაგალითმაც დაადასტურა,"** - მიიჩნევენ ექსპერტები.

განსხვავებული შეხედულება აქვს "ეი-ი-ესის" ბაზრიდან გასვლასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ექსპერტს ზურაბ გარაყანიძეს. ამ უკანასკნელს ამ კომპანიის საქართველოდან წასვლის ფაქტი საგანგაშოდ არ მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, **"ეს ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობების ფარგლებში ხდება. ამერიკელებს თავად შეექმნათ პრობლემები არასწორი მენეჯმენტის გამო".** მისივე თქმით, სხვა საქმეა საინვესტიციო საკონკურსო პირობების შესრულება, რაც **"პრივატიზების ამ ფორმის დროს სახელმწიფოს მონიტორინგით უნდა ხდებოდეს. ეს საკითხი კი დღეს საკმაოდ პრობლემატურია".**

და მაინც, რა არის ქართული ენერგოგენერაციის ობიექტებში სერიოზული დასავლური ინვესტიციების შემოსვლის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი? აი, რას ამბობენ ექსპერტები: **"ისევ და ისევ საკანონმდებლო ბაზა და ტარიფი. საქართველოში არ არის ენერგოსექტორის ინვესტირებისთვის კეთილსასურველი გარემო - ინვესტირებისთვის ტარიფი საკმაოდ დაბალია. საერთაშორისო სტანდარტებით 1 მეგავატი სიმძლავრის აშენება 1 მილიონ დოლარამდე ღირს. იმისთვის, რომ ხარჯები ამოიღოს, ინვესტორს ტარიფის გაზრდა მოუწევს... ამასთან, ამ ობიექტების "მიმზიდველობის" ამაღლების მიზნით საჭიროა, პრივატიზებას სერიოზული რესტრუქტურიზაციის სამუშაოები უსწრებდეს წინ. იგივე აღრიცხვიანობის მოწესრიგება რესტრუქტურიზაციის გზით უნდა მოხდეს..."**

დაბოლოს, საინტერესოა ექსპერტული ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შედეგიანად შეძლებს საქართველოს ხელისუფლება ქართული ენერგოობიექტების პრივატიზებას. ექსპერტული "ვერდიქტი" ასეთია: **"გამოცდილება სახარბიელო არ არის, თუმცა მაინც გამოცდილებაა. ამიტომ, თუ ხელისუფლება მოახერხებს და საკონკურსო პირობებს ენერგეტიკული პოლიტიკის გათვალისწინებით შეადგენს, ენერგოობიექტების პრივატიზების შემდეგ დარგს განვითარებისთვის სერიოზული იმპულსი მიეცემა. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ენერგეტიკული პოლიტიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს. მართალია, ენერგეტიკის სამინისტრომ განსაზღვრა პრიორიტეტები, მაგრამ ყველა აქამდე შემუშავებული დოკუმენტი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისგან. დარგში დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა. აქედან გამომდინარე, პრივატიზაციის წინ სასტარტო პირობები სახარბიელო არ არის."**

მოკლედ

# გიორგი ბარამიძემ ლიტვის სახელმწიფო ჯილდო მიიღო

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ვილნიუსში ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვალდას ადამკუსს შეხვდა. ადამკუსმა ბარამიძე ლიტვის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და საქართველო-ლიტვას ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის ლიტვის რესპუბლიკის ორდენით - "The Grand Cross of Commander of the Order for Merits to Lithuania" - დააჯილდოვა. ცერემონიის შემდეგ ლიტვის პრეზიდენტი საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებით დაინტერესდა. ვალდას ადამკუსმა აღნიშნა, რომ ლიტვამ და საქართველომ, ისევე როგორც მთლიანად ევროპამ, ერთად უნდა მოძებნონ გზა, რათა მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე არ იყვნენ დამოკიდებულნი.

საქართველოში იანვრის ენერგობლოკადის დროს ლიტვის რესპუბლიკამ საქართველოს 100 ათასი დოლარი გამოუყო. ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი მაისში ვილნიუსში ბალტიისა და შავი ზღვის სახელმწიფოთა მეთაურების ფორუმის გამართვის შესახებ ინიციატივით გამოვიდა. ფორუმზე ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკის საკითხებს განიხილავენ.

შეხვედრაზე გიორგი ბარამიძე ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ესაუბრა და ხაზი გაუსვა საქართველოს მიზნების განხორციელებაში ლიტვის რესპუბლიკის აქტიურ და ძალიან მნიშვნელოვან მხარდაჭერას, რასაც საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ დროა, ევროკავშირი რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში უფრო აქტიურად ჩაერთოს და აშშ-სთან ერთად შერეული სამშვიდობო კომისიის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. გიორგი ბარამიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობებზე, რაც ევროპისათვის ენერგიის მიღების ალტერნატიულ წყაროდ შეიძლება იქნას განხილული.

გიორგი ბარამიძე ასევე შეხვდა ლიტვის თავდაცვის მინისტრს და ლიტვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს.

გიორგი ბარამიძე მონაწილეობას მიიღებს ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი (16 მარტი) მიძღვნილ ღონისძიებებში. ის ასევე შეხვდება ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრს, ლიტვის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ვიტაუტას ლანდსბერგისს.

*24 საათი*

# "ფეროს" 2000 თანამშრომელი საწარმოზე ზეწოლას აპროტესტებს და პრეზიდენტს შველას სთხოვს

**მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს,**

**ბატონ მიხეილ სააკაშვილს**

სს "ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანა" 2003 წლიდან განიცდის აღმავლობის პროცესს - 150 პროცენტით გაიზარდა წარმოების მოცულობა, შეიქმნა 300 ახალი სამუშაო ადგილი და ყოველთვიურად სტაბილურად გაიცემა ხელფასი.

2005 წლის 24 დეკემბერს კომპლექსური სარევიზიო შემოწმების მიზნით საწარმოში შემოვიდა ფინანსური პოლიცია. ჩვენ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ღონისძიების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ შემოწმების პროცესში თავი იჩინა არაკანონიერმა ქმედებებმა. კერძოდ, მიმდინარე წლის 14 თებერვალს სააქციო საზოგადოებაში გამოცხადდა მოქალაქე გიგა ბედინეიშვილი და სპეციალური ოპერატიული შეიარაღებული თანამშრომლების დახმარებით უკანონოდ სცადა გენერალური დირექტორის ფუნქციების განხორციელება, რითაც მოახდინა ქარხნის კოლექტივის დემორალიზება.

ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებს ის ფაქტი, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად გაჩერდა სს "ჭიათურმანგანუმი" და შეწყდა მადნის მიწოდება. ჩვენი საწარმო ასევე დადგა გაჩერების რეალური საფრთხის წინაშე, რის გამოც ქარხნის 3000-მდე მუშა-მოსამსახურეს და მათ ოჯახებს სარჩოს გარეშე დარჩენა ემუქრებათ. მომხდარმა ზესტაფონს გაახსენა უიმედობის ძველი პერიოდი. ყოველივე ეს იმ ფონზე, როცა მშრომლები ახალი წლიდან ხელფასების საგრძნობ გაზრდას ველოდით.

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ჩვენი სატკივარი და თავიდან აგვაცილოთ მოსალოდნელი მძიმე შედეგები, ნურავის მისცემთ უფლებას, დაგვაბრუნონ ავადმოსაგონარ უახლოეს წარსულში.

**უღრმესი პატივისცემით,**
**სს ზესტაფონის გ.ნიკოლაძის სახელობის**
**ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი.**
**ხელს აწერს 2000 კაცი**

მაია ტაბატაძე

ზესტაფონის "ფეროშენადნობთა ქარხანაში" 14 თებერვალს მომხდარი ფაქტის გამო "ფეროს" ადვოკატმა გიგა კვერენჩხილაძემ გუშინ (15 თებერვალს) სასტუმრო "თბილისი- მერიოტში" პრესკონფერენცია გამართა: " დღეს იძულებული ვართ, "გავხსნათ ფრჩხილები" და განვაცხადოთ, რომ ქარხნის დღევანდელი ხელმძღვანელობა - "ფეროს" ქართველი აქციონერები ბატონი ილია კოკაია და ბატონი გიორგი კაპანაძე და ქარხნის გენერალური დირექტორი ბატონი ნიკოლოზ ჩიქოვანი ავსტრიასა და დიდ ბრიტანეთში იმყოფებიან დევნილობაში და ეს არ არის საქმიანი ვიზიტი, როგორც აქამდე ვამბობდით, რადგან იმედი გვქონდა, რომ ეს იყო გაუგებრობა და მოგვარდებოდა. - განაცხადა მან. - ისინი განიცდიდნენ მუდმივ შანტაჟსა და ზეწოლას ხელისუფლების მხრიდან, მათ პირდაპირ სთხოვდნენ, თავიანთი კუთვნილი აქციები გადაეფორმებინათ მთავრობის მიერ შემოთავაზებული კომპანიებისათვის. ბუნებრივია, ისინი ამას არ დათანხმდნენ და როდესაც დაინახეს, რომ მათი დაპატიმრების სერიოზული საფრთხე არსებობდა, უცხოეთს შეაფარეს თავი". კვერენჩხილაძე აცხადებს, რომ " 14 თებერვალს, დღის პირველ ნახევარში ბატონი გიგა ბედინეიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. "სოდის" და "კუდის" დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად( დაახლოებით 30-35 შეიარაღებული პიროვნება) შევიდა ქარხნის ადმინისტრაციულ კორპუსში, დაიკავა დირექტორის კაბინეტი და თანამშრომლებს თავი ქარხნის ახალი ხელმძღვანელად წარუდგინა. შემდგომ როცა დაინახა შრომითი კოლექტივის უკმაყოფილება, მან განაცხადა, რომ იგი არის ქარხნის აქციონერის "დი-ეს-ემ დეკომეტალის" წარმომადგენელი. "დი-ეს-ემ დეკომეტალი " დაახლოებით ერთი წელია, აღარ გახლავთ ქარხნის აქციონერი - მან თავისი კუთვნილი აქციები გაყიდა ქარხნის დღევანდელ მფლობელზე. დღეს ქარხანას ჰყავს ერთი ძირითადი აქციონერი - ეს არის აქციების 96,3 პროცენტის მფლობელი კომპანია "სევრომექსი", რომლის წარმომადგენლები არიან ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე. - აცხადებს ადვოკატი, - დანარჩენ აქციებს ფლობენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები. გიგა ბედინეიშვილს დღესდღეობით არავითარი კავშირი არ აქვს "ფეროსთან", შესაბამისად, გაუგებარია, თუ რის საფუძველზე მოიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ქარხანაში. მოგეხსენებათ, ქარხანა კერძო საკუთრებაა და თუ ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი, დირექტორი და ა.შ. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადასაწყვეტი. თუმცა, ბედინეიშვილი ახლა უკვე აცხადებს, რომ არის ფინანსური პოლიციის კონსულტანტი და საწარმოში შესვლას იმით ამართლებს, რომ ვითომდა "ფეროს" მფლობელებს საწარმოს გაჩერება სურდათ, რაც სრული აბსურდია - მათ ერთი წლის წინსწრებით აქვთ გადახდილი გადასახადები, შემოტანილი აქვთ მასალები და დადებული აქვთ პერსპექტიული ხელშეკრულებები. მომხდარი ფაქტი ჩვენი მხრიდან შეიძლება შეფასდეს მხოლოდ, როგორც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან განხორციელებული უხეში ჩარევა კერძო მესაკუთრეთა უფლებებში."

კვერენჩხილაძე "ფეროზე" ზეწოლაში მთავრობის გავლენიან წრეებს ადანაშაულებს, თუმცა კონკრეტულ პიროვნებას ვერ ასახელებს.

"ჩვენ დარწმუნებული ვართ და ვიმედოვნებთ, რომ პრეზიდენტი ამ შემთხვევაში არ არის სწორად ინფორმირებული და ვიმედოვნებთ, რომ ეს გაუგებრობა უმოკლეს დროში იქნება აღმოფხვრილი, მით უმეტეს, რომ ქარხნის კოლექტივმაც - 2000 კაცმა გაუგზავნა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ,- ამბობს ადვოკატი - წინააღმდეგ შემთხვევაში, გაჩერების საფრთხის წინაშე დადგება ზესტაფონის "ფერო", ხოლო "ჭიათურმანგანუმი", რომელიც რეალურად სულდგმულობდა ფეროშენადნობთა ქარხნით, უკვე პრაქტიკულად გაჩერებულია და ველარ აწვდის პროდუქციას ფეროშენადნობთა ქარხანას."

ცნობისათვის: გასული წლის დეკემბერში, შემოწმების მიზნით, "ფეროში" ფინანსური პოლიცია შევიდა, რომელმაც საწარმოს 90 მლნ ლარი გადასახადი დააკისრა. გიგა კვერენჩხილაზე აცხადებს, რომ ეს აქტი უკანონოა, რადგან ფინანსურმა პოლიციამ დოკუმენტაცია 29 დეკემბერს ამოიღო და აქტი უკვე მეორე დღესვე - 30 დეკემბერს დაწერა: "ერთ დღეში ამდენი თანხის მარტო დათვლა და დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლებელია, ქარხანას ბიუჯეტისათვის 90 მლნ კი არა 90 თეთრიც არ დაუმალავს, - აცხადებს იგი, - რაც შეეხება ბრალდებას, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა ხელოვნურად ამცირებდა პროდუქციის ფასს, აბსურდია. პროდუქციის ფასი მცირე იყო მაშინ, როცა საწარმოს "დი-ეს-ემი" აკონტროლებდა. "სევრომექსის" მფლობელობის პერიოდში პროდუქციის ფასი საერთაშორისო სტანდარტს გაუტოლდა".

კვერენჩხილაძე აცხადებს, რომ ზეწოლამ შედეგი მაინც გამოიღო და "სევრომექსის" ქართველი აქციონერები ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე იძულებული გახდნენ ორი თუ სამი დღის წინათ თავიანთ საკუთრებაში მყოფი აქციები ("ფეროს" აქციათა პაკეტის 96,3 პროცენტი) მიეყიდათ ბრიტანული "სტემკორისათვის." "სტემკორს", რასაკვირველია, არა აქვს არავითარი კავშირი არც საქართველოს მთავრობასთან, არც - გიგა ბედინეიშვილთან და არც, მით უფრო, - "დი-ეს-ემთან", "სტემკორის" უკან არავინ შეიძლება იყოს, ის არის ძალიან დიდი და ცნობილი კომპანია და მის უკან "კრიშა"(მაპატიეთ გამოთქმა) გამორიცხულია. - ამბობს ადვოკატი გიგა კვერენჩხილაძე, - თუმცა, ეს მაინც გახლდათ იძულებითი ნაბიჯი ანუ დღეს უკვე "ფეროს" აქციათა 96,3 პროცენტი "სტემკორის" საკუთრებაა, უახლოეს დღეებში მათი წარმომადგენელი ჩამოვა საქართველოში და გააკეთებს შესაბამის განცხადებას."

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# პარლამენტმა თავისი დადგენილების მოდიფიცირება მოახდინა

პირველი გვერდიდან

გუშინ მიღებული დადგენილების თანახმად, ცხინვალის რეგიონში განთავსებული, რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ მათთვის მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება "მკვეთრად უარყოფითად" არის შეფასებული, ხოლო რუსეთის ქმედებები - "ანექსიის პერმანენტულ მცდელობად".

დოკუმენტი ავალებს საქართველოს მთავრობას, დაიწყოს პარლამენტის მიერ გასული წლის 11 ოქტომბერს მიღებული დადგენილებით განსაზღვრული დავალებების შესრულება. კერძოდ, შეუდგეს სოჭის 1992 წლის შეთანხმების გადასინჯვისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტით ჩანაცვლების პროცედურას.

გარდა ამისა, მთავრობას ევალება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან მუშაობის გააქტიურება, რათა დაიწყოს ეუთო-ს ლუბლიანის მინისტერიალზე მოწონებული სამშვიდობო გეგმის იმპლემენტირება.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ გუშინ მიღებული დადგენილება, 11 ოქტომბრის დოკუმენტთან შედარებით, უკან გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან ოთხი თვის წინანდელ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ სამშვიდობო ძალების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების შემთხვევაში, პარლამენტს 15 თებერვლიდან უნდა მოეთხოვა "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტა, აგრეთვე, საერთაშორისო შეთანხმებების დენონსირება". ამის ნაცვლად, ახალ დადგენილებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ და მხოლოდ სოჭის 1992 წლის შეთანხმების გადასინჯვაზეა საუბარი.

**"გამოდის, რომ რუსებს კონფლიქტის ზონაში მანამდე ვუგრძელებთ მანდატს, სანამ ჩვენთვის მისაღებ საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტს არ გამოვძებნით... ან უნდა აღიაროთ, რომ 11 ოქტომბერს მოუფიქრებლად გადადგით ნაბიჯი, ან - მაშინდელი დადგენილების მეოთხე მუხლი ავტომატურად გადმოიტანოთ დღევანდელში,"** - მონანიებისკენ (ან ვა-ბანკზე წასვლისკენ) მოუწოდებს ივლიანე ხაინდრავა სახელისუფლებო ფრაქციის წევრებს.

**"ხდება 11 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების რევიზია. ეს დადგენილება ოთხი თვის წინათ მიღებულ დოკუმენტზე ბევრად უარესია,"** - ამტკიცებს კობა დავითაშვილი.

სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციის არგუმენტებს არ იზიარებს. უმრავლესობის წარმომადგენელთა თქმით, შესაძლოა, მკვეთრი გამოთქმები და მყვირალა ჩანაწერები უფრო ეფექტურია, მაგრამ საქმისთვის უკეთესი ნამდვილად არ არის.

**"დადგენილებაში "შეწყვეტის" ნაცვლად "გადახედვას" თუ ჩავწერთ, ამით 10-12 თვეს მაინც მოვიგებთ,"** - ამუნათებს ოპოზიციას დავით ბაქრაძე.

**"სწორედ შეთანხმების "გადახედვა" მიგვიყვანს მის "შეწყვეტამდე,"** - იგივეს იმეორებს გიგა ბოკერია, რომელიც ოპონენტებს იმასაც შეახსენებს, რომ სოჭის შეთანხმების დენონსაცია იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოხდება, რომ ის რატიფიცირებული არ ყოფილა (მაშინ, გაუგებარია, რატომ იყო დენონსაციაზე საუბარი 11 ოქტომბრის დოკუმენტში, - რედ.)

**"შეთანხმების გაუქმება უფრო გრძელვადიანი პროცესია, ჩვენთვის მიუღებელი მუხლების გადასინჯვა კი გაცილებით ადვილია. თუ მთავრობა ამ მიმართულებით არ წავა, შეთანხმების შეწყვეტის მოთხოვნას მერე წამოვაყენებთ,"** - თანაფრაქციელების არგუმენტებს გივი თარგამაძეც იმეორებს.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციის ალტერნატიული წინადადება ჩავარდა, მისმა წარმომადგენლებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და უმრავლესობის ვარიანტს თვითონაც მისცეს ხმა.

პარლამენტის მიერ "მოდიფიცირებული" დადგენილების მიღების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა.

**"საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობს, კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოები ნეიტრალური სამშვიდობო კონტინგენტით ჩაანაცვლოს. იმ ფორმატით, რომლითაც სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ, იქ ყოფნას ველარ გააგრძელებენ,"** - განაცხადა პარლამენტის სპიკერმა. მისივე თქმით, პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში რუსი სამხედროების გაყვანის კონკრეტული თარიღი შეგნებულად არ არის მითითებული, რადგან **"საკითხი დელიკატურია და დიდ სამუშაოს მოითხოვს".**

# რუსი დეპუტატები კავკასიური ომისთვის "ემზადებიან"

პირველი გვერდიდან

**"სრულიად უპასუხოდ დავტოვეთ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას უპრეცედენტოდ აგრესიული გამოსვლა, როდესაც მან რუსეთს ფაშისტური ქვეყანა უწოდა. რუსეთის ელჩის პრესმდივანმა კი განაცხადა, რომ ამ განცხადებაში საშიში არაფერია და ქართველების მენტალიტეტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ,"** - აღნიშნა როგოზინმა

როგოზინს ეთანხმება დეპუტატი ალქსნისი, რომელიც ჩხიკვიშვილს არა რუსეთის, არამედ საქართველოს ინტერესების ლობირებაში ადანაშაულებს.


საპასუხო მზადება რუსეთის დუმაში.

განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა დუმის დსთ-ს კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი კოკოშინმა. მისი თქმით, ჩხიკვიშვილის საქართველოდან გამოსაწვევად მიზეზი არ არსებობს.

როგოზინის განცხადებით, თვით ის ფაქტი, რომ **"დღეს საქართველოს პარლამენტი იმ თავისი დადგენილების პროექტს იხილავს, რუსეთისთვის ომის გამოცხადების ტოლფასია". "თუ ჩვენ სათანადო ზომებს დღესვე არ მივიღებთ, კავკასიაში ომი გარდაუვალია,"** - დასძინა როგოზინმა.

*24 საათი*

# პრეზიდენტის მოხსენების ექო

პირველი გვერდიდან

მისთვის ასევე მიუღებელია ისიც, რომ პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი თვითმმართველობის სფეროზე.

**"თბილისის მოსახლეობის 90-მა პროცენტმა მერის პირდაპირი არჩევნები მოითხოვა, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობამ ისეთი კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქის მერი, შესაძლოა, მაგალითად, კობა ბექაურიც კი გახდეს,"** - ხელისუფლების მიმართ საყვედურებს აგრძელებს ძიძიგური.

გუშინ მას არც იმ ფაქტის აღნიშვნა დავიწყებია, რომ პრეზიდენტმა საარჩევნო თემატიკას საერთოდ გვერდი აუარა. ამ საკითხზე სააკაშვილის "ნაცვლად" ზვიად ძიძიგური თავად საუბრობს.

**"საარჩევნო ადმინისტრაციები, პრაქტიკულად, ერთპარტიულია, ცესკო კი "ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ საბჭოს წარმოადგენს... გია ქავთარაძე იუსტიციის მინისტრად კი არ დააწინაურეს, არამედ ცესკო-ს თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს, რადგან მან მონური მორჩილება არ გამოიჩინა და წინააღმდეგობა გასწია, როდესაც წინასწარ შედგენილი სიები მიუტანეს და გარკვეული ხალხის დანიშვნა მოსთხოვეს,"** - არწმუნებდა კოლეგებს ოპოზიციონერი პარლამენტარი.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე პოლიტიკური ოპონენტების გამოსვლებით მთლიანობაში მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან მათში რაიმე "ექსცენტრული" ვერ აღმოაჩინა. თუმცა ზოგიერთ არგუმენტზე პასუხის გაცემა მაინც საჭიროდ ჩათვალა.

**"თუ პირდაპირი გზით არჩეული მერი ხალხის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, მისი სასწრაფოდ გადარჩევის მექანიზმი, გარდა რევოლუციურისა, არ არსებობს. არადა, ახლა არც იმის დრო გვაქვს, რომ ოთხი წელიწადი ველოდოთ, სანამ ახალი არჩევნები ჩატარდება,"** - განმარტავს უმრავლესობის ლიდერი, რომელსაც "ვერ აუხსნია", დედაქალაქის მერის "მაგალითად" ზვიად ძიძიგურმა რატომ დაასახელა კობა ბექაური და არა თავისი თანაგუნდელი ბეჟან გუნავა.

**"ანგარიში ნიშნავს იმას, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში,"** - ასე ხსნის ნადირაძე იმ გარემოებას, რომ თავის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტს "გაუკეთებელ საქმეებზე" ყურადღება არ გაუმახვილებია...

საქართველოს პარლამენტში, მაჟორიტარი დეპუტატების ბაზაზე, სამი ფრაქცია არსებობს. მართალია, არც ერთი მათგანი, ფორმალურად, საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედის, მაგრამ სამივე, სხვადასხვა ხარისხით, სახელისუფლებო გუნდის სატელიტ ძალას წარმოადგენს.

ამდენად, სავსებით ბუნებრივი იყო ის, რომ გუშინდელ დებატებში მაჟორიტარებმა პრეზიდენტის კურსის მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატეს. ამ შემთხვევაში, უცნაურად მხოლოდ ის გამოიყურებოდა, რომ ბესო ჯუღელმა და გოგი ლიპარტელიანმა "არქაულ" ხერხს მიმართეს და წინაწარ მომზადებული ტექსტის კითხვით დატანჯეს კოლეგები.

რაც შეეხება მაჟორიტართა მესამე ფრაქციის წარმომადგენელს ვალერი გელბახიანს, იგი შეეცადა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური - პრეზიდენტს "შთამბეჭდავი გამოსვლა" შეუქო. ამავე დროს, მთავრობა გააკრიტიკა იმისთვის, რომ თავის დროზე, მისი რჩევა არ გაითვალისწინა და თამბაქოს პროდუქციაზე სააქციზო გადასახადი გაზარდა, რამაც უკუეფექტი გამოიღო და კონტრაბანდის გაზრდას შეუწყო ხელი...

ერთი სიტყვით, გუშინდელი დებატები ისე წარიმართა, როგორც სავარაუდო იყო: ოპოზიციამ ხელისუფლება აკრიტიკა, სახელისუფლებო გუნდმა კი პრეზიდენტს ერთგულების ფიცი "გზაში დაადევნა".

## მოკლედ

### რუსი დეპუტატები კოკოითსა და კულახმეტოვს შეხვდნენ

რუსეთის სათათბიროს დეპუტატთა ოთხკაციანი დელეგაცია გუშინ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერს ედუარდ კოკოითს და შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს მარატ კულახმეტოვს შეხვდა.

"სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა კავკასიაში, შევინარჩუნოთ ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატი და ყოველმხრივ უნიკალური სამშვიდობო ოპერაცია; ასევე, ქართულ მხარესთან მივაღწიოთ შეთანხმებას სამეტაპიანი სამშვიდობო გეგმის დაწყების შესახებ," - განაცხადა შეხვედრის შემდეგ კოკოითმა.

რუსი დეპუტატების დელეგაციის წევრის, სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ბაბიჩის განცხადებით, საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე ქართველმა კოლეგებმა მათ გააცნეს ცხინვალის რეგიონში განლაგებული რუსი სამშვიდობოების ეფექტურობის წინადადებები. "ჩვენთვის გადმოცემული წინადადებები ბოლო ორი წლის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების ანალიზს ეფუძნება," - აცხადებს მიხეილ ბაბიჩი.

14 თებერვალს რუსეთის სათათბიროს დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე.

ბაბიჩის თქმით, რუსი დეპუტატები შეისწავლიან ამ წინადადებებს; მას განიხილავენ შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობასთან და, ასევე, წარუდგენენ რუსეთის ხელმძღვანელობას.

*მედიანიუსი*




## მოკლედ

# უცნობი თავისუფლება

**გადაცემის სტუმარია პარლამენტარი, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი კახა კუკავა**

**კობა ლიკლიკაძე:** ყველა ელოდა, რომ ბატონი კობა დავითაშვილი ყურადღებას ერთ მძიმე ინციდენტზე გაამახვილებდა, რომელიც თბილისში მოხდა. და რომელშიც, მისი ვერსიით, შეიძლება არაპირდაპირ იყვნენ ჩართული შსს-ს მაღალჩინოსნები. რატომ თქვა კობა დავითაშვილმა უარი, დღეს პარლამენტის ტრიბუნაზე გამოსულიყო?

**კახა კუკავა:** რაც შეეხება ფრაქციის სახელით ზვიად ძიძიგურის გამოსვლას, ეს, უბრალოდ, ფორმალობაა. ბატონი ზვიადი ახლა ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია. რეგლამენტით, პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გამოსვლის უფლება აქვს მხოლოდ ფრაქციის თავმჯდომარეს და მისი მოვალეობის შემსრულებელს. ბატონი კობა ამ უფლებით ვერ ისარგებლებდა. რაც შეეხება იმ ინციდენტს, ფრაქციაში მსჯელობა გვქონდა, გაგვეხადა თუ არა ის პოლიტიკური დებატების საგნად. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამაზე, ალბათ, აუცილებელი იქნება ცალკე საპარლამენტო მოსმენის ჩატარება. ჩვენ შეიძლება ყველამ დანამდვილებით ვიცოდეთ, სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ ხელისუფლებას აქვს პასუხი: ვეძებთ და ვერ ვპოულობთ.

**კ. ლ.:** აქვე დავაზუსტებთ, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ სანდრო გვირგვლიანის მკვლელობაზე...

**კ. კ.:** სანდრო გვირგვლიანის შემთხვევაში აქ არიან ცოცხალი მოწმეები, რომლებმაც დაინახეს, ადამიანები როგორ გამოჰყვნენ. და ვფიქრობ, გამოძიებას არ უნდა დასჭირდეს მრავალწლიანი მოკვლევისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ეს პირველი შემთხვევა არ არის. შეგახსენებთ იგივე საკრებულოს, იგივე ვალერი გელაშვილის შემთხვევას. აჭარაში იყო ანალოგიური შემთხვევები. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ქმნის შეიარაღებულ ფორმირებებს და იყენებს მათ არა მათი უშუალო კანონიერი ფუნქციების განსახორციელებლად. ისინი ადრე პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდნენ, და ახლა, როგორც ჩანს, - მინისტრების გარდა, მინისტრების მეუღლეების არაპოლიტიკურ დაკვეთებსაც. ეს არის ძალიან საშიში ფენომენი, და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მხოლოდ ოპოზიციის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, ძალიან ცდება.

**კ. ლ.:** დღევანდელი პრესა აჭრელებულია მეტად საყურადღებო, რომ არ ვთქვათ - საგანგაშო, ცნობით. ზესტაფონის "ფეროში" ძალადობრივი აქციით, ძალოვანი უწყების მონაწილეობით შეეცადნენ ხელმძღვანელის შეცვლას და ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას, რომელიც, როგორც ჩანს, იყო პრეზიდენტ სააკაშვილის ეკონომიკური მრჩეველი. "ფერო" კი არის არა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არამედ დამოუკიდებელი ბიზნესსუბიექტი. რასთან გვაქვს საქმე?

**კ. კ.:** წუხელ შევხვდი "ფეროს" წარმომადგენლებს, და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლებისაგან ამგვარი ნეგატივი არ უნდა მიკვირდეს, რაც მითხრეს, ძალიან გამიკვირდა. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ბედინეიშვილი იქ შევიდა, როგორც კერძო პირი. მას თან ახლდა ე. წ. "სოდ"-ი. ვიკითხე, არის თუ არა რაიმე სასამართლო დავა, აქვს თუ არა ბედინეიშვილს რაიმე სადავო უფლება, პარტნიორებს შორის რაიმე წილების გადაფორმება? არაფერი ამგვარი. ამ შემთხვევაში, ბედინეიშვილი შევიდა, როგორც კერძო პირი, და მას ახლდა სოდ-ი, როგორც კერძო პირს, ანუ ასრულებდა მის კერძო დაკვეთას. არანაირი დოკუმენტი - არც შემოწმების, არც რევიზიის, არც აღსრულების - სოდ-ს არ გააჩნდა. უბრალოდ, მიდის დავა ერთ საკითხზე. კომპანია, რომელიც კარგა ხნის წინ არის პრივატიზებული, სასამართლოში კარგა ხნის წინ არის ყველაფერი რეგისტრირებული, და არანაირი დავა საკუთრების უფლებაზე არ არის... პრეზიდენტმა, მისმა ოჯახურმა კლანმა გადაწყვიტა, რომ უაზრობაა, ამდენი მილიონი კერძო მესაკუთრის ხელში იყოს. მაშინ, როდესაც შესაბამისი მადა აქვთ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს. და ბედინეიშვილი შეიყვანეს... ერთადერთი არგუმენტი, რაც მე მოვისმინე, ის იყო, რომ ეს არის შრომითი კოლექტივის მოთხოვნა. თუ საქართველოში უკვე იწყება დეპრივატიზაცია, ნაციონალიზაცია, თუ რა ჰქვია კიდევ... "ნეპი", ხელისუფლებას შეუძლია გამოაცხადოს, რომ კერძო მესაკუთრეების მართვისაგან ჩამოცილება დაიწყო. და იქ, ალბათ, შრომითი კოლექტივიდან მუშა-გლეხკომიტეტები იქნება არჩეული... ეს ფენომენი განსაკუთრებით კომიკური იყო, როდესაც პრეზიდენტი პარალელურად გამოდიოდა პარლამენტის სხდომაზე და აცხადებდა, რომ საქართველოში ყველა მეწარმეს შეუძლია, ამ ხელისუფლების პირობებში მშვიდად იგრძნოს თავი და აწარმოოს კერძო ბიზნესი.

## უცხოეთი

# "ფრინველის გრიპი" გერმანიასა და ავსტრიაში

"ფრინველის გრიპის" ვირუსი ამჟამად უკვე გერმანიასა და ავსტრიასაც ემუქრება. ორ მკვდარ გედს, რომლებიც გერმანიის ბალტიის სანაპიროსთან იპოვეს, სწორედ ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში H5N1 ვირუსი აღმოაჩნდა.

გედები სასწრაფოდ გადააგზავნეს ლონდონის ლაბორატორიაში შემდგომი კვლევებისთვის.

გერმანიის სანაპიროსთან აღმოჩენილი მკვდარი გედების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე ორიოდე საათით ადრე კი ანალოგიური ინფორმაცია, ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მკვდარი გედების შესახებ, ავსტრიის მასმედიის საშუალებებმაც გაავრცელეს.

უკანასკნელ ხანს მკვდარი გედები იპოვეს სამ სხვა ევროპულ ქვეყანაშიც - იტალიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში.

გერმანიისა და ავსტრიის ხელისუფლებები ამ ფაქტებმა სერიოზულად შეაშფოთა.

ყოველ შემთხვევაში, გერმანიის ხელისუფლება მომავალ კვირას ფერმერებისთვის ფრინველების საქათმიდან გამოშვების აკრძალვას აპირებს. თავიდან ფიქრობდნენ, აკრძალვა ძალაში მარტიდან შესულიყო, როდესაც გადამფრენი ფრინველების მიგრაცია დაიწყებოდა.

რაც შეეხება ავსტრიელებს, ხელისუფლებამ ფერმერებს გრაცის ოლქში აუკრძალა ფრინველებითა და კვერცხით ვაჭრობა, ისევე როგორც საქათმეებიდან ფრინველების გარეთ გამოშვება.

თუმცა, "ფრინველის გრიპის" ვირუსმა მხოლოდ აზიისა და ევროპის ქვეყნები არ მოიცვა, იგი უკვე აფრიკის კონტინენტზეც გავრცელდა. სიცოცხლისათვის საშიში ვირუსი აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გასულ კვირას გამოავლინეს. ნიგერიის ერთ-ერთ ფერმაში გამოვლინდა შინაური ფრინველების დახოცვის ფაქტები, მოგვიანებით ანალოგიური შემთხვევა ნიგერიის სხვა ჩრდილოურ შტატებშიც აღინიშნა. სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები შიშობენ, რომ "ფრინველის გრიპის" ვირუსი კიდევ ხუთ შტატშია გავრცელებული. ნიგერიაში არსებულ მდგომარეობაზე 8 კომისია მუშაობს, რომლებიც ვირუსოლოგების გარდა, ეპიდემიოლოგებითა და ვეტერინარებითაა დაკომპლექტებული. ისინი არა მარტო ფრინველების შემოწმებას ატარებენ, არამედ ფერმაში მომუშავე ხალხსაც უტარებენ გამოკვლევას. თუმცა, საქმის სრულყოფილად შესასრულებლად მათ სისხლის ანალიზისთვის საჭირო აღჭურვილობა არ აქვთ. ისინი შიშობენ, რომ გამოკვლევის შედეგები დადებითი აღმოჩნდება. ჯერჯერობით კი "ფრინველის გრიპის" ვირუსისთვის დამახასიათებელი ტიპური სიმპტომები მხოლოდ ორ ბავშვს აქვს. მათი ანალიზები უკვე გადაგზავნილია უცხოეთში.

2003 წლის დასაწყისიდან "ფრინველის გრიპის" ვირუსით გარდაცვლილი ადამიანების რიცხვი 90-ს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ დადასტურებულა ზემოაღნიშნული ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შემთხვევა, ექიმებს ეს დამამშვიდებელ ფაქტორად სულაც არ მიაჩნიათ.

*24 საათი*

# დიდი ბრიტანეთის პარლამენტი ტერორიზმის წინააღმდეგ

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა კენჭი უყარა ტერორიზმის წახალისების აკრძალვას. ოფიციალური ლონდონი მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს რადიკალების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

აღნიშნული კანონპროექტის განხილვა ლორდთა პალატამ ჯერ კიდევ იანვრის შუა რიცხვებში შეაჩერა. თუმცა, ამ პროექტს დიდი ბრიტანეთის პარლამენტი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა. კანონპროექტის განხილვის დროს პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ დეპუტატებმა უნდა მიიღონ შესწორება, რადგან სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება შეაფერხებს პოლიციის მუშაობას და ავნებს ლონდონის საერთაშორისო რეპუტაციას.

**"ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონის შესუსტებით ჩვენ მსოფლიოს არასწორ სიგნალს მივაწვდით და თანაც ვერაფრით დავეხმარებით ჩვენს პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთაც სურთ, ჰქონდეთ დამნაშავეების დასჯის უფლება,"** - აღნიშნა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო აკრძალვა, რაც ტერორიზმის წახალისების წინააღმდეგაა მიმართული, უმთავრესი იარაღი გახდება ე.წ. "ძალადობის მომხრეთა" (რადიკალურად განწყობილი მუსლიმი მოლები) წინააღმდეგ ბრძოლისა. ერთ-ერთ ასეთ მოლას - აბუ ჰამზას სასამართლომ გასულ კვირას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მკვლელების წახალისებისა და ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების მცდელობისთვის.

თუმცა, ოპოზიციაში მყოფი კონსერვატორები და ლიბერალ-დემოკრატები ასეთი ნორმების შემოღების წინააღმდეგნი არიანი. ისინი თავიანთ დამოკიდებულებას სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შიშით ხსნიან.

**"განა, უკეთესი არ იქნება, მივიღოთ საიმედო კანონი, რომელიც დამნაშავეთა დასჯას გაითვალისწინებს და არ იმუშავებს მხოლოდ ხელისუფლების თვითრეკლამაზე. კანონის ასეთი ფორმით მიღება მხოლოდ პრესრელიზების კარგი სათაურებით გაფორმებას ისახავს მიზნად,"** - აღნიშნავენ კონსერვატორები.

კონსერვატორების პოზიციას იზიარებენ ლიბერალ-დემოკრატებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ძალადობის წახალისების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება არაეფექტიანი აღმოჩნდება. მათი აზრით, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა იმ კანონის მიღება, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს სასამართლოში სატელეფონო მოსმენების ფაქტებად გამოყენების უფლებას მისცემდა.

ტერორიზმის წინააღმდეგ კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა დიდ ბრიტანეთში გასული წლის 7 ივლისს ლონდონში განხორციელებულმა ტერაქტებმა წარმოქმნა. ამ ტერაქტებს 52 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

*ბი-ბი-სი*

*მოკლედ*

## აფხაზური მილიციის "პროფილაქტიკურ რეიდს" კიდევ ერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა

გალის რაიონის ქართულ სოფლებში - ქვემო ბარღებში, განახლებასა და გაგიდაში - ე.წ. გალის მილიციის უფროსის მოადგილის ოთარ ტურანბას ხელმძღვანელობით, მორიგი "პროფილაქტიკური რეიდი" განხორციელდა. გავრცელებული ინფორმაციით, ტურანბას ჯგუფის მიერ ჩატარებული ოპერაციისას, 25 წლის მანუჩარ ფირცხალავა დაიღუპა, მისი ოჯახის ორი წევრი კი მძიმედ დაიჭრა. მანუჩარ ფირცხალავას ცხედარი აფხაზმა მილიციელებმა სოხუმში გადაიტანეს, დაჭრილები კი გალის საავადმყოფოში იმყოფებიან.

კონფლიქტის ზონიდან მიღებული ინფორმაციით, აფხაზმა მილიციელებმა მამა-შვილ ფირცხალავებს ცეცხლი მას შემდეგ გაუხსნეს, რაც ისინი მილიციელთა მოთხოვნას გაჩერების შესახებ არ დაემორჩილნენ და გაქცევა სცადეს. გარდაცვლილის ცხედარი მილიციელებმა სოხუმში სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაასვენეს.

როგორც ქართველი სამართალდამცველები განმარტავენ, ფირცხალავების ოჯახის არც ერთ წევრს ცეცხსასროლი იარაღი არასოდეს ჰქონია, შესაბამისად, მათ გაქცევის საბაბიც არ გააჩნდათ.

**"მოკლულ მანუჩარ ფირცხლავას, აფხაზმა მილიციელებმა, ხელში ავტომატი დააკავებინეს და ნივთმტკიცებისთვის სურათიც გადაუღეს,"** - ასეთი ინფორმაცია ვრცელდებოდა მომხდართან დაკავშირებით. **"აფხაზეთის ტერიტორიაზე დღეისთვის არსებული ტოტალური ვაკქანალიის შეჩერება მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის კატეგორიული ჩარევისა და აქტიური ზეწოლის შედეგად არის შესაძლებელი. ბოლო რეიდის დროს ტურანბას დაჯგუფებამ გაუფრთხილებლად გაუხსნა ცეცხლი ქართველი ეროვნების ორ ახალგაზრდას, რის შედეგად, ადგილზევე გარდაიცვალა მანუჩარ ფირცხალავა, ხოლო მისი მეგობარი ტყებუჩავა დაიჭრა და საავადმყოფოს ნაცვლად ის გალის ე.წ. მილიციაში გადაიყვანეს. ტყებუჩავას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე უცნობია. აფხაზური ბანდფორმირებების მიერ წარმოებული ე.წ. პროფილაქტიკური ღონისძიებები რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის თვალწინ, მათი სრული უმოქმედობის ფონზე მიმდინარეობს,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*24 საათი*

## "ხალვას" საქმის განხილვა დაიწყო

საქართველოში ექსტრადირებული ე.წ. "კანონიერი ქურდის" მურმან ტვილდიანის, მეტსახელად "ხალვას", საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო. საქმეს მოსამართლე ჯემალ კოპალიანი განიხილავს.

ტვილდიანს ბრალი ედება ადამიანის გატაცებასა და თანხის გამოძალვაში. მას დაემატება ახალი ბრალდება - სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა. ტვილდიანი, წლების განმავლობაში ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებასა და ფულის გამოძალვისთვის იძებნებოდა. აღნიშნულ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის საქართველოში სამი პირი უკვე გასამართლებულია და მათ პატიმრობა აქვთ მისჯილი.

მურმან ტვილდიანი იანვარში რუსმა სამართალდამცველებმა მოსკოვში დააკავეს. რუსეთის ფედერაციის ძალოვან უწყებებს ტვილდიანის ბრალდებების შესახებ ინფორმაცია საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიაწოდეს. ტვილდიანმა პირველი ჩვენება რუს სამართალდამცველებს მისცა. მისი საქართველოში ექსტრადიცია კი 18 იანვარს განხორციელდა. იგი, ამჟამად თბილისის N7 საპყრობილეშია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ მურმან ტვილდიანი პირველად 2005 წელს ესპანეთში, ბარსელონაში დააკავეს. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოდან მისი ბრალეულობის დამამტკიცებელი მასალები დროულად და სრულყოფილად არ გაიგზავნა, იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

*ინტერპრესნიუსი*

## იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელს ნარკოტიკები აღმოაჩნდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომელი გიორგი ვარდიაშვილი დააკავეს. დაკავების ოპერაცია შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებების შედეგად განახორციელეს.

ვარდიაშვილს პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებები "სუბუტექსი" და "ტრამალი" აღმოაჩნდა.

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე არაყიშვილი აცხადებს, რომ მიმდინარეობს გამოძიება და შესაბამისად, ამ ეტაპზე დამატებითი კომენტარის გაკეთება ობიექტურ გამოძიებას ხელს შეუშლის. "მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს სისტემაში ეფექტური საკადრო ფილტრის შექმნის აუცილებლობას, რის შესახებაც იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ არაერთხელ განაცხადა", - ამბობს ალექსანდრე არაყიშვილი.

*ინტერპრესნიუსი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** გუშინ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის ბიუროს თანამშრომლებს ბიუროს ახალი უფროსი ზაზა ზაქრაძე წარუდგინა. ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე ზაზა ზაქრაძე იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თბილისის ბიუროს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. ბიუროს თანამშრომლებისთვის ახალი საკადრო გადაწყვეტილების გაცნობისას იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ზაზა ზაქრაძეს სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და, შესაბამისად, ახალ თანამდებობაზე მუშაობა გაუადვილდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**გორი.** ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ გორში მდებარე კერძო სკოლის "სხივის" ხელმძღვანელ პირთა მიმართ "უკანონო სამეწარმეო საქმიანობის" მუხლით გამოძიება დაიწყო. როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, აღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციას განცხადებით გორის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მიმართა, რომლის შენობაშიც კერძო სკოლაა განთავსებული, თუმცა, საიჯარო გადასახადს არ იხდის. გამოძიების პროცესში გაირკვა ისიც, რომ სკოლა "სხივი" შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებდა და არც საბუღალტრო დოკუმენტაცია გააჩნდა. იუსტიციის სამინისტრო შს სამინისტროს მიერ პრობაციის დეპარტამენტის თბილისის ბიუროს ოფიცრის გიორგი ვარდიაშვილის დაკავების ფაქტს ეხმაურება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ ინდმეწარმე "ბორის სტეფნაძის" მიმართ გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მეწარმემ სხვა პირზე გამოწერილი ყალბი ანგარიშფაქტურით სხვადასხვა დასახელების საქონლის ფიქტიურად შეძენა, შემდეგ კი ჩამოწერა განახორციელა. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით, გამოძიება "ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გამოყენების" მუხლით მიმდინარეობს. გამოძიების პროცესში დადგინდება, თუ რა ღირებულების საქონლის ჩამოწერაზეა საუბარი. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე, ქართველმა მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, დაკავების ღონისძიება თბილისის აეროპორტში "ლარნაკა-თბილისის" რეისზე სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს განხორციელდა. აღნიშნული პირი შემდგომი რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**


# განცხადება

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 იანვარს გაზეთ "24 საათში" საავტომობილო საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი".

**საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისია**


# ადამიანის უფლებების დამცველები პატრულის დასჯას მოითხოვენ

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" და საქართველოს სახალხო დამცველი საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მხრიდან მოქალაქის ცემის ფაქტზე გამოძიების დაწყებასა და დამნაშავეების დასჯას მოითხოვს. ადამიანის უფლებების დამცველები მიმართავენ ბათუმის საპატრულო პოლიციის უფროსს, გამოძიების დასრულებამდე და ჭეშმარიტების დადგენამდე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს უფლებამოსილება შეუჩერდეს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი
შორენა გოგიჩაიშვილი

საუბარია 12 თებერვალს მომხდარ ინციდენტზე, როდესაც ბათუმის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 47 წლის ჯემალ ბარამიძე დააკავა. ბარამიძე მახინჯაურის მიმართულებით ავტომობილით მოძრაობდა, როცა საპატრულო პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბების გამო გააჩერა. დაზარალებულის განცხადებით, შელაპარაკების შემდეგ, პატრულმა ის უმოწყალოდ სცემა, რის შედეგადაც სერიოზული ფიზიკური დაზიანებები მიიღო. ეს ექიმის სამედიცინო დასკვნაშიც ცხადად არის აღნიშნული. ბარამიძის თქმით, პოლიციელმა მისი ცემა ხელბორკილის დადების შემდეგაც განაგრძო.

განვითარებული მოვლენას კი ბრალდებული და ბრალმდებელი სხვადასხვაგვარად ხსნიან: **"ჯემალ ბარამიძე ნასვამი იყო, მან პატრულს წინააღმდეგობა გაუწია, დაეცა და სახე დაიზიანა, პატრულს კი, პერანგი შემოახია. მას ბრალი სისხლის სამართლის 353-ე მუხლით აქვს წაყენებული. ვითხოვთ, რომ სასამართლომ ბარამიძეს გირაოს სახით, ათი დღის განმავლობაში ხუთი ათასი ლარის გადახდა დააკისროს,"** - აცხადებს საქმის გამომძიებელი ჯემალ წულუკიძე.

ბრალდებულის ადვოკატები კი აცხადებენ, რომ: **"ჯემალ ბარამიძე არც უარყოფდა, რომ ნასვამი იყო, მაგრამ გაუგებრობა მოხდა და საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა, კერძოდ კი, მამუკა ჯინჭარაძემ ის სასტიკად სცემა. ბარამიძე ისე სასტიკად სცემეს, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორში სასწრაფო დახმარების ბრიგადა სამჯერ მივიდა და მისი საავადმყოფოში გადაყვანაც კი უნდოდათ, რაზეც ბარამიძემ უარი განაცხადა, რადგან არ იცოდა სად მიჰყავდათ. წინასწარი დაკავების იზოლატორის ჟურნალში სასწრაფო დახმარების ექიმებმა ჩანაწერიც გააკეთეს, ესაჭიროება ჰოსპიტალიზაციაო. მას ხუთი ნაკერი აქვს თავზე,"** - განაცხადა ადვოკატმა გია ბრუნჯაძემ.

**"გვყავს მოწმე, რომელიც მანქანაში იმყოფებოდა და რომელმაც დაინახა დასისხლიანებული ჯემალ ბარამიძე, მართალია, ის ცემის ფაქტს ვერ შეესწრო, მაგრამ შედეგი ადგილზევე დაინახა, თუმცა გამოძიებას ის ჯერ არ დაუკითხავს. სამომავლოდ ვაპირებთ მორალური და ფიზიკური ზიანის ასანაზღაურებლად სარჩელის შეტანას, ამ ეტაპზე კი მოსამართლის გადაწყვეტილებას ობიექტურად და სამართლიანად მივიჩნევთ,"** - აცხადებს ადვოკატი კოტე ნემსიწვერიძე.

საქმე ისაა, რომ მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ ადვოკატების შუამდგომლობა გაითვალისწინა და ჯემალ ბარამიძე თავდებით გაათავისუფლა. საქმეზე ძიება კვლავ გრძელდება.

**"სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენელმა ამ ფაქტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებები ჩამოართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ბათუმის N1 დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსს სულეიმან ბერიძეს, ასევე, ფაქტის თვითმხილველებს - ბარამიძის თანამგზავრ ლაშა შაინიძეს და ტარიელ ბოლქვაძეს, რომელიც ინციდენტს შემთხვევით შეესწრო. თვითმხილველები ბარამიძის სასტიკი ცემის ფაქტს ადასტურებენ. იზოლატორის უფროსის თქმით კი, დაკავებული იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახებაც კი გახდა საჭირო"**, - ამბობს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე. მისივე განცხადებით, ეს არ არის პოლიციელის მხრიდან მოქალაქეზე ძალადობის პირველი შემთხვევა და თუკი წელიწადნახევრის წინ დაკავებულების 80 პროცენტი ამბობდა, რომ ფიზიკური დაზიანებები წინასწარი დაკავების იზოლატორში ან პოლიციის ნაწილში მიიღეს, დღეს უმრავლესობა აცხადებს, რომ დაკავების მომენტში დაშავდნენ.



*თეა თუთბერიძე გამოძიების დაწყებას ითხოვს.*

**"როგორც ჩანს, უღირსი ადამიანები საპატრულო პოლიციაშიც არიან, რომელთაც ვერ გაუცნობიერებიათ, რომ დაკავებულის მიმართ აკრძალული მეთოდების გამოყენება და კანონდარღვევა დაუშვებელია. ძალის გამოყენება მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევისას შეიძლება. თუმცა, რამდენად ადეკვატურია ძალის გამოყენება, ვერ დგინდება, რადგან პროკურატურა მსგავს შემთხვევებზე გამოძიებას არ ატარებს,"** - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტში".

ბათუმში, პოლიციის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტს გმობს სახალხო დამცველის აპარატიც. ომბუდსმენის აჭარის წარმომადგენლობას დახმარებისათვის ჯემალ ბარამიძის ვაჟმა ზაზა ბარამიძემ მიმართა. ბარამიძის განცხადებიდან ირკვევა, რომ პოლიციელის სასტიკად მოპყრობის შედეგად, ჯემალ ბარამიძემ მიიღო თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის დაჟეჟილობა, თვალისა და ცხვირის მიდამოების დაზიანება.

ბარამიძის თანამგზავრი შაინიძე აცხადებს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მამუკა ჯინჭარაძე მას იარაღით ემუქრებოდა, თუ ის გაბედავდა და ბარამიძის ცემაში ხელს შეუშლიდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლობამ აჭარის რეგიონში მოიძია ბათუმის N1 საავადმყოფოს მორიგე ნევროპათოლოგის ნინო კახიძის სამედიცინო დასკვნა, ტრავმპუნქტის მორიგე ექიმის როზმანოზ ინდუაშვილის ჩანაწერი და დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმი. ყველა ამ დოკუმენტში ცხადად არის აღნიშნული ბარამიძის სერიოზული ფიზიკური დაზიანებები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციებით უკვე მიმართა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსს ვასილ სანოძეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს კახაბერ მაისურაძეს, შსს საპატრულო პოლიციის აჭარის სამმართველოს უფროსს დავით ბაკურაძეს და ჭეშმარიტების დადგენამდე ეჭვმიტანილი პოლიციელისთვის უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვა.

# ახმეტაში თანამდებობის ორი პირი დააკავეს

*ფინანსური პოლიციის სამიზნე ამჯერად ახმეტის გამგებელი, ამავდროულად, "ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის წარმომადგენელი, ზაქრო ქინქლაძე და გამგეობის კომუნალური სამსახურის უფროსი ზურაბ აფციაური გახდა. სამართალდამცველებმა ორივე თანამდებობის პირი დააკავეს და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით აღიძრა.*

ახმეტის ყოფილი გამგებლისა და კომუნალური სამსახურის ყოფილი უფროსის დაჭერაზე ახმეტაში სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. როგორც გამგეობაში ამბობენ, ქინქლაძის დაკავება რაიონის ენერგოდისტრიბუციის ყოფილი ხელმძღვანელთან გოგიტა გორელიშვილთან მის დაპირისპირებას უკავშირდება, რომლის შედეგადაც გორელიშვილს თანამდებობა დაატოვებინეს. გავრცელებული ვერსიით, განაწყენებულმა გორელიშვილმა ქინქლაძეს ფინანსურ პოლიციაში უჩივლა.

ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს უფროსის მოადგილის ზურაბ თომაძის თქმით კი, ქინქლაძემ და აფციაურმა თანამდებობები ბოროტად გამოიყენეს. სახელმწიფო ქონება მათთვის სასურველ პირებს აჩუქეს.

**"ზაქრო ქინქლაძემ თავის ძმას, ყოველგვარი ხელშეკრულების და მიქირავების გარეშე, გადასცა გარკვეული ფართი, სხვადასხვა სათავსო, რითაც მან სახელმწიფოს ზარალი მიაყენა"**, - აცხადებს თომაძე. საუბარია იმ წისქვილზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკიური მდგომარეობის დროს ახმეტის გამგეობამ სახელმწიფო სახსრებით ააშენა.

საგულისხმოა, რომ ზაქარო ქინქლაძე "ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის ახმეტის რაიონული ხელმძღვანელია და ახმეტის გამგებლის თანამდებობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც პანკისის ხეობაში მცხოვრები ბოევიკების წინააღმდეგ განცხადებებს აკეთებდა. უკავშირდება თუ არა მისი დაკავება მის პარტიულ საქმიანობას, ამაზე არავინ საუბრობს. სამართლადმაცველები აცხადებენ, რომ ქინქლაძემ და აფციაურმა, ერთობლივი მოქმედების საფუძველზე, სახელმწიფო სერიოზულად აზარალეს, რისთვისაც მათ პასუხი უნდა აგონ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 332-ე მუხლით აღიძრა. რაიონულმა სასამართლომ ზაქრო ქინქლაძეს და ზურაბ აფციაურს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

*24 საათი*

# სახალხო დამცველი სპეცოპერაცია "ლომბარდს" მკაცრ შეფასებას აძლევს

პირველი გვერდიდან

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სპეცოპერაციის დროს დააკავეს ლომბარდებში მყოფი ტელეფონის შემკეთებლები, რომელთაც შესაკეთებლად მიტანილი მობილური ტელეფონებიც ჩამოართვეს.

**"სპეცოპერაციისას დაკავებულთა უმრავლესობა უდანაშაულო მოქალაქეები იყვნენ, რასაც მოწმობს შსს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული მონაცემებიც. კერძოდ, 61 დაკავებული პირიდან მხოლოდ 24 ეჭვმიტანილი დარჩა დროებითი მოთავსების იზოლატორში, საბოლოოდ კი, გარდა სამი პირისა, ყველა დაკავებული გათავისუფლდა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეც შეწყდა,"** - ასეთია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაკეთებული დასკვნა, რომელშიც პრეტენზიებია გამოთქმული, როგორც შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ასევე, შსს-ს პრესსამსახურის მიმართ.

**"ლომბარდების მესაკუთრეების განმარტებით, სპეცოპერაციის პირველივე დღიდან მათ მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგან შსს-ს პრესცენტრმა და მედიამ დაკავებული 61 პიროვნება წარადგინა, როგორც მოპარული მობილური ტელეფონების გამსაღებლები, შსს-მ კი მათი ფოტოები ოფიციალურ საიტზე გამოაქვეყნა,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები.

ომბუდსმენის აპარატში იმასაც აპროტესტებენ, რომ ინდივიდუალური მეწარმეები გაურკვეველ ვითარებაში არიან.

**"სამართალდამცველებმა ზეპირად გააფრთხილეს ლომბარდების მფლობელები ტელეფონების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. თუმცა, არ არსებობს ბრძანება ან დებულება, რომელიც კრძალავს ამ ტიპის საქმიანობას. სპეცოპერაციით შეიზღუდა სამეწარმეო საქმიანობა, რადგან 8 თებერვლის შემდეგ ლომბარდები, ფაქტობრივად, ვერ ფუნქციონირებენ,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

დასკვნაში საუბარია სპეცოპერაციისას გამოვლენილ სხვა დარღვევებზეც.

ომბუდსმენის აპარატი რეკომენდაციით მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაუყოვნებლივ დაუბრუნონ მეპატრონეებს მათი კუთვნილი მობილური ტელეფონები, რომლებიც დღემდე "მოდულის" შენობაშია ჩაკეტილი.

სახალხო დამცველი აგრძელებს სპეცოპერაციის "ლომბარდის" შესწავლას და უახლოეს დღეებში შესაბამის ორგანოებს საბოლოო რეკომენდაციით მიმართავს.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

[illegible]

# საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მცირე და საშუალო საწარმოთა შორის საუკეთესონი დააჯილდოვა



საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მეორე წელია მცირე და საშუალო საწარმოთა შორის საუკეთესოთა გამოსავლენად კონკურსს ატარებს. წელს კონკურსის ორგანიზებაში USAID და ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკაც" ჩაერთო. გუშინ "შერატონ მეტეხი" პალასში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

გამოცხადებულ ხუთ ნომინაციაში გამარჯვებულები არიან:

**საუკეთესო მცირე საწარმო** - შპს "მარიონელა";

**საუკეთესო ექსპორტიორი** - შპს "გიორგი XXI";

**საუკეთესო ფერმერი** - გამარჯვებული არ გამოვლინდა.

1 ლაურეატი - შპს "ნაქორუ";

2 ლაურეატი - ფერმერი ლაშა ღლონტი;

**საუკეთესო ინოვაცია** - შპს "ბედეგი;"

**საუკეთესო საშუალო საწარმო** - "ბიოფარმი".

გამარჯვებულები პალატასთან შექმნილმა საკონკურსო კომისიამ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაში ცნობილი ბიზნესმენები, ეკონომიკის ექსპერტები და მასმედიის წარმომადგენლები შედიან.

გასული წლის კონკურსის გამარჯვებულები დღესაც აგრძელებენ წარმატებულ ბიზნესს: სტუდია "დემეტრე" - 2004 წლის საუკეთესო მცირე საწარმო, "თელიანი ველი" - საუკეთესო საშუალო საწარმო, რომელიც გასულ წელს მსხვილთა კატეგორიაში გადავიდა; საუკეთესო ფირმა აგრარულ სექტორში "გორის ხილის ექსპორტი"; საუკეთესო ექსპორტიორი - ღვინის მწარმოებელი ფირმა "ვაინ მენი" და საუკეთესო ინოვაცია - შპს "სამგორი+".

ღონისძიებას სპონსორობა გაუწიეს: USAID-ის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტმა, კომპანიამ "ლუკოილ-ჯორჯია", ბანკმა "რესპუბლიკა" და სს "თბილღვინომ".



















ტურინი 2006

# ოლიმპიური ქაოსი ანუ იტალიური შთაბეჭდილებები

პირველი გვერდიდან




სანამ გარესამყარო ურწმუნოდ აქნევდა თავს, პიემონტელები მუშაობდნენ. მართალია, საკმაოდ ნელა, მაგრამ შედეგიანად. 10 თებერვალს, საზეიმო ცერემონიის მსვლელობისას, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო. თითქმის ყველაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დამსწრე საზოგადოების უმრავლესობას საკმაოდ დიდხანს მოუხდა ლოდინი, სანამ უსაფრთხოების დამცველთა პედანტურ კონტროლს გასცდებოდა და სტადიონამდე მიაღწევდა.

ქაოსი ძირითადად მეორე დღეს დაიწყო. მოგეხსენებათ, ზამთრის ოლიმპიური თამაშები მხოლოდ ერთ ქალაქში ან ერთ სპორტულ დარბაზში არ ტარდება, არამედ სხვადასხვა სათხილამურო ბილიკებზე თუ ტრამპლინებზეა გაბნეული. მაგალითად, ბიატლონის მოყვარულებს სან სიკარიო მასპინძლობს, მოთხილამურეების შეჯიბრებები სესტრიერში ტარდება, პრაჯელატოში ტრამპლინიდან მხტომელები იბრძვიან ოლიმპიური მედლებისთვის. ტურინში დაბინავებული სპორტსმენები, გულშემატკივრები თუ სპორტული ჟურნალისტები, წესით, ავტობუსებით უნდა მიდიოდნენ ერთი ასპარეზობიდან მეორემდე. თეორიულად ასე იყო ჩაფიქრებული. ოლიმპიური რეალობა კი დაახლოებით ასე გამოიყურება: ავტობუსი ან საერთოდ არ მოდის, ან თუ მოდის, იქ არ მიდის, სადაც შენ გინდა. ანდა, თუ ბედმა გაგიღიმა და სწორი ნომერი შეგხვდა, მძღოლი შესვენებაზე მიდის ან საერთოდ უარს ამბობს მგზავრების გადაყვანაზე. ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ მძღოლების უმრავლესობა არატურინელია. რაკი პიემონტის მხარეში იმდენი მძღოლი არ მოიძებნებოდა, რამდენიც ასეთი გრანდიოზული ღონისძიებისთვის იყო საჭირო, ორგანიზატორებმა მთელ იტალიაში დაიწყეს კვალიფიციური კადრების მოგროვება. ასე მოხვდნენ ნეაპოლელი პიეტრო და მისი ავტობუსი ტურინში. საყოველთაო სტრესის გარემოცვაში არვის უკითხავს პიეტროსთვის, იცოდა თუ არა, როგორ უნდა გადაეყვანა მგზავრები ტურინიდან ჩეზანამდე. არც ტურინის ქუჩების რუკა მიუცა მისთვის ვინმეს. პიეტრო ამ ყველაფერს მართლაც რომ ოლიმპიური სიმშვიდით ხვდება: "ვინც ნეაპოლში ახერხებს გზის გაკვლევას, ის არც ტურინში დაიკარგება", - ასეთია მისი დევიზი. პიეტრო ნელა მიიწევს წინ და მის მგზავრებს უკვე მოთმინება ეწურებათ. გულშემატკივრებთან და სპორტულ ჟურნალისტებთან ერთად პიეტროს ავტობუსში ოლიმპიური კომიტეტის წევრებიც სხედან. სწორედ ისინი, ვინც თავის დროზე ტურინის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. საათნახევრიანი მოლოდინით გულგაწყალებულებს, უკვე ეჭვი ეპარებათ საკუთარი არჩევანის სისწორეში. "ალბათ შეცდომა იყო ოლიმპიადის ტურინში ჩატარება", - უიმედოდ ოხრავს ერთ-ერთი მათგანი. დანარჩენები უხმოდ აქნევენ თავს. ამასობაში პიეტროს ავტობუსი პრაჯელატოს უახლოვდება, სადაც ასპარეზობა ტრამპლინიდან ხტომაში უკვე კარგა ხანია დაიწყო. ავტობუსი უკანასკნელად უხვევს მარჯვნივ და ჩერდება. მგზავრები თითქმის სირბილით მიმართებიან შესასვლელისკენ, სადაც მათ კიდევ ერთი დაბრკოლება ელით - წესრიგის დამცველთა კონტროლი. უსაფრთხოება - უპირველეს ყოვლისა!

ტრამპლინზე კი მოვლენები დრამატულად და უცნაურად ვითარდება. უცნაურად ყველა იმ ფანისთვის, ვინც ფინალში იანენ აარონენის ან ავსტრიელი ადრეას ვილდჰოლცელის გამარჯვებას ელოდა. არაფერი ამდაგვარი! დღეს ნორვეგიელი ლარს ბისტულის ტრიუმფის დღეა!

# ოსლოს პორტიდან ტურინის ზეცამდე

ტრამპლინიდან ხტომის პირველივე ტურნირზე თითქმის ყველა ფავორიტს უმტყუნა ბედმა. იმათაც კი, ვისაც მეორე ცდის წინ მედლები უკვე ჯიბეში ეგულებოდათ. რუსი დმიტრი ვასილიევი თუ ავსტრიელი ტომას მორგენშტერნი, ჩეხი იაკუბ იანადა თუ პოლონელი ადამ მალიში. არც ერთს არ გაუმართლა. ასე დარჩა ოლიმპიური ოქრო ნორვეგიელ ლარს ბისტულს. 27 წლის ბისტული თავისი ღრმად ჩამჯდარი თვალებით და ჩაცვენილი ლოყებით ისე გამოიყურება, თითქოს მთელი ცხოვრება უკვე უკან ჰქონდეს მოტოვებული. ბობოქარი 27 წელი აწევს მის ვიწრო მხრებს. ნორვეგიის ერთ-ერთ სოფელში დაბადებული და გაზრდილი ლარსისთვის თხილამურებით სრიალი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ზამთარში მის სოფელში ისეთი თოვლი მოდიოდა, რომ თხილამურების გარეშე გარეთ გასვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ასე ჩამოყალიბდა 15 წლის ლარსი კარგ მოთხილამურედ, მაგრამ ფიზიკურად სუსტი იყო და გამძლეობა აკლდა. ამის გამო სპორტის სხვა ჟანრში - ტრამპლინიდან ხტომაში მოსინჯა ძალა. 2002 წელს ნაკრებში მიიწვიეს. უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ბისტული ნამდვილი ტალანტი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ტრამპლინიდან ხტომაში. ლარსის სიყვარულს თანაბრად ინაწილებდნენ ზამთრის სპორტი და ალკოჰოლი. სკანდალი სკანდალს მოსდევდა - 2001 წელს საგზაო პოლიციამ ნასვამი დააკავა საჭესთან, რის გამოც ახალგაზრდა სპორტსმენი 24 დღით გაამწესეს ციხეში. 2002 წელს ტაქსის მძღოლთან მოუხდა კონფლიქტი, რადგან მთვრალ ლარსს ფულის გადახდა არ უნდოდა. მწვრთნელმა იმით დასაჯა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ლოთობამ კინაღამ არ იმსხვერპლა ნორვეგიელთა ახალგაზრდა ვარსკვლავი. 2003 წლის შემოდგომაზე ლარსი მეგობრებთან ერთად გამოთვრა და ოსლოს პორტში ნავით მოისურვა გასეირნება. მოულოდნელად ჩხუბი ატყდა. ერთ-ერთმა თანამეინახემ ლარსს ისე ძლიერად უბიძგა, რომ ის გადავარდა და თავი ნავის კიდეს დაარტყა. ერთმა მეგობარმა და ორმა პოლიციელმა ძლივს ამოათრიეს წყლიდან. ამ ინციდენტის შემდეგ ლარსი დასერიოზულდა. "იმ დღეს სიკვდილს გადავურჩი. უსაზღვროდ მადლობელი ვარ ჩემი მხსნელების. მათ მეორე სიცოცხლე მაჩუქეს." ამის შემდეგ ლარს ბისტული დისკოთეკებისა და ღამის კლუბების იშვიათი სტუმარი გახდა და დაჯილდოვდა კიდეც უზადო სპორტული ცხოვრებისთვის - ოლიმპიური ოქრო ტურინში და საყოველთაო ქებადიდება ნორვეგიაში. ადრინდელი სკანდალები დავიწყებას მიეცა. ნორვეგიამ დიდსულოვნად აპატია თავის სახელოვან სპორტსმენს ახალგაზრდული ცოდვები.

# პირველი იტალიური ოქრო და უყურადღებო ჟურნალისტები

იტალიელ გულშემატკივრებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი სპორტსმენები. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ყველა სპორტსმენი თუ სპორტული ჟანრი ნამდვილად ვერ მოიწონებს თავს ტიფოზების ზღვარგადასული ყურადღებით. არსებობს სპორტის სახეობები, რომლებიც იტალიელებს საერთოდ არ აინტერესებთ. არსებობენ ოლიმპიური ჩემპიონები, რომელთაც მხოლოდ სპორტის მოყვარულთა ვიწრო წრეებში იცნობენ. სამხრეთტიროლელი სკელეტონისტი არმინ ციოგლერი ერთ-ერთი მათგანია. 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტიში მოპოვებულ პირველ ოქროს მედალს ტურინში მეორეც დაემატა, მაგრამ ეს იტალიაში არავის აინტერესებს. არც არმინ ციოგლერი თვლის საკუთარ თავს ეროვნულ გმირად, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში მიმდინარე ოლიმპიადაზე მოიპოვა პირველი იტალიური ოქრო. ჩემთვის სულ ერთია, ტურინში გავიმარჯვებ თუ სოლტ ლეიკ სიტიში. მთავარია გავიმარჯვო", - ცივად ამბობს სპორტსმენი.

ცნობილი ამბავია, რომ იტალიელებს მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ ავსტრიული წარმოშობის თანამემამულენი, რომლთაც მუდამ გერმანული სახელები ჰქვიათ და იტალიურად ზუსტად ისეთივე მკვეთრი აქცენტით ლაპარაკობენ, როგორც ავსტრიელები და გერმანელები. სამხრეთტიროლელი სპორტსმენების წარმატება არასოდეს ითვლება წმინდა წყლის იტალიურ გამარჯვებად. იტალიელთათვის სამწუხაროდ, ზამთრის სპორტის თითქმის ყველა სახეობაში იტალიას სწორედ სამხრეთტიროლელები წარმოადგენენ. არმინ ციოგლერი ერთ-ერთი მათგანია - არაპოპულარული ავსტრიელი. არადა, 32 წლის სიმპათიური სპორტსმენი მართლაც რომ იდეალური ტიპია რეკლამებისა თუ ეროვნული გმირის როლისთვის. ნამდვილი იტალიელი რომ იყოს, ალბათ ისევე პოპულარული გახდებოდა, როგორც სათხილამურო სპორტის ვარსკვლავი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალბერტო ტომბა, რომელიც ყველა შესაძლო სარეკლამო კამპანიის სასურველი პროტაგონისტი იყო და არის წლების მანძილზე. იტალიაში ციოგლერი ასეთ წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს. მას არც სპორტული ჟურნალისტები ანებივრებენ სტატიებით და ინტერვიუებით. სწორედ იმ დღეს, როცა იტალიამ ციოგლერის წყალობით 2006 წლის პირველი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა, იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა "იუვენტუს"-"ინტერის" მატჩს უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს, ვიდრე ციოგლერის წარმატებას. "კორიერე დელა სერამ" და "გაძეტა დელო სპორტმა" "ინტერ"-"იუვენტუსის" მატჩი პირველ გვერდზე გამოიტანეს, ციოგლერისთვის კი ერთი სვეტი ძლივს გაიმეტეს. რა გაეწყობა, იტალიელებს ფეხბურთი ყველაფერს ურჩევნიათ!

"მთელი სეზონის განმავლობაში ლამის ყველა ტურნირზე ვიმარჯვებდი, მაგრამ არც ერთ იტალიელ ჟურნალისტს ერთხელაც არ შემოუვლია ჩემი ასპარეზობის სანახავად. როცა დედა გარდამეცვალა, ერთ გაზეთსაც კი არ გამოუთქვამს თანაგრძნობა", - გულდაწყვეტილია ციოგლერი. სწორედ ამის გამო არმინ ციოგლერი იტალიაში თავს უცხოდ გრძნობს. ავსტრიასა და გერმანიაში ის ნამდვილი სუპერვარსკვლავია. აქ ყველამ იცის მისი ფასი.

მეორე ოლიმპიური ოქროს შემდეგ ერთი-ორი იტალიელი ჟურნალისტი მაინც დაესწრო ციოგლერის პრესკონფერენციას და, იმის მაგივრად, რომ ხოტბა შეესხათ, პროვოკაციული შეკითხვები დააყარეს. "რის ყიდვას აპირებთ იმ 130 000 ევროთი, რასაც იტალიური ოლიმპიური კომიტეტისგან მიიღებთ, ალბათ "პორშესი"? ციოგლერს "პორშეს" ან სხვა სწრაფ სპორტულ მანქანას სახლი ურჩევნია. არავინ იცის, სად იყიდის ახალ სახლს, ალბათ ისევ მშობლიურ სამხრეთ ტიროლში, რომლის დათმობასაც არაფრით არ აპირებენ ავსტრიელი იტალიელები.

# ბელგიურ-გერმანული მედლები

რა ფერია გერმანიის დროშა? შავ-წითელ-ოქროსფერი თუ პირიქით? ან იქნებ შავ-ოქროსფერ-წითელი? ბოლო-ბოლო, რა მნიშვნელობა აქვს ფერთა თანამიმდევრობას? მთავარია, სამივე ფერი ადგილზე იყოს, თუნდაც არასწორი განლაგებით. ალბათ ასე იმსჯელეს საყოველთაოდ ცნობილი სპორტული ფირმის "ადიდასის" დიზაინერებმა და შესაშური არხეინობით შეუკერეს გერმანელ ოლიმპიელებს ქუდები შეჯიბრებისთვის, რომლებზეც შავის, წითლისა და ოქროსფერის ჰარმონიული შეთანხმების ნაცვლად შავი, ოქროსფერი და წითელი იწონებდნენ თავს. მერე რა მოხდაო, იკითხავთ. დიდი რამე, თუ ყველამ ზუსტად არ იცის, რომელი განლაგებაა სწორი. საქმე ის არის, რომ შავი, ყვითელი და წითელი ბელგიის დროშის ფერებია. "ადიდასის" მახვილგონიერების წყალობით სან სიკარიოში ბიატლონის საყურებლად შეკრებილმა მცირერიცხოვანმა ბელგიელმა ფანებმა გერმანელი ბიატლონისტი მარტინა გლაგოვი თავისიანად ჩათვალეს და ლამის გერმანელ ფანებთან ერთად იზეიმეს მარტინას ბრინჯაოს მედალი. ბედი არ გინდა? სწორედ იმ დღეს ასპარეზობას ესწრებოდა გერმანიის თავდაცვის მინისტრი ფრანც იოზეფ



ოლიმპიადაზე პირველი ოქრო გერმანელმა ბიატლონისტმა მიხაელ გრისმა (შუაში) მოიგო.

იუნგი, რომლის მახვილ თვალს არაფრით არ გამოეპარებოდა "ადიდასის" ცოდვები. "ბოდიშს ვუხდით ყველას ამ უნებური შეცდომისთვის. მომავალ კვირამდე სპორტსმენებს აუცილებლად შევუკერავთ ახალ ქუდებს", - პირობა დადო "ადიდასის" მენეჯერმა.

ამ შეცდომამ გერმანიის ნაკრები საკმაოდ უხერხულ და სასაცილო სიტუაციაში ჩააყენა. ბელგიელები ნამდვილად არ მიეკუთვნებიან იმ ერების რიცხვს, რომლებიც განებივრებული არიან გამარჯვებებით ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. მთელი ამ წლების მანძილზე ბელგიელმა სპორსტმენებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს ოლიმპიური მედლის მოპოვება - 1948 წელს სანკტ-მორიცში ბელგიურმა ბობსლეის ოთხეულმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამას გარდა, შავ-ოქროსფერ-წითელი ერთ-ერთი გერმანული პროვინციის - შვაინფურტის გერბის ფერებიცაა.

ბიატლონში მესამე ადგილზე გასულ მარტინა გლაგოვისთვის ეს ყველაფერი უკვე აბსოლუტურად სულ ერთი იყო 15-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვის შემდეგ. სასტიკად დაღლილმა მარტინამ გადაკვეთა ფინიშის ხაზი და იქვე, თოვლზე დაეცა. იმ წუთებში ალბათ ზუსტად აღარც კი იცოდა, რომელი ნაკრებისთვის ასპარეზობდა - გერმანიისთვის, ბელგიისთვის თუ პროვინცია შვაინფურტისთვის. "იმდენად ძალაგამოცლილი ვიყავი, რომ აღარ მეგონა, ოდესმე ფინიშამდე თუ მივაღწევდი", - თქვა მარტინამ ტურნირის შემდეგ.

სხვათა შორის, ეს გერმანიისა და ბელგიის დროშების ერთმანეთში არევის პირველი შემთხვევა არ არის. გასულ წელს ბერლინის "ჰერტას" ექსტრავაგანტურმა ბრაზილიელმა ფორვარდმა მარსელინიომ მოისურვა ახალი ვარცხნილობის დაყენება და გერმანიის დროშის ფერებში თმის შეღებვა. მარსელინიოს პარიკმახერს დიდიდ არ შეუწუხებია თავი, რომ მეხსიერებაში აღედგინა ეროვნული დროშის ფერები. ადგა და ბრაზილიელ თავდამსხმელს შავ, ყვითელ და წითელ ფერებად შეუღება თავი. A la Belgique! ბელგიურ ყაიდაზე, რა თქმა უნდა.

*მოამზადა ნინო პირველმა*

# კარის გაჯახუნება ავსტრიულად

გიგა გურასაშვილი

*მოვლენები ჯერ კიდევ მაშინ განვითარდა, სანამ ქალი სამთომოთხილამურეები სწრაფდაშვებაში მედლებს გაითამაშებდნენ. ორშაბათს ფრანგმა კაროლ მონტიიემ და ამერიკელმა ლინდსეი კილდოუმ ვარჯიშისას ტრავმები მიიღეს და საავადმყოფოს გზას გაუყენეს. ექიმები ფიქრობდნენ, რომ, შესაძლოა, მათთვის ოლიმპიადა იმ დღეს დამთავრებულიყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ გუშინ ორივე გავიდა სტარტზე! გამარჯვებით კი ავსტრიელმა მიხაელა დორფმაისტერმა გაიმარჯვა.*




დორფმაისტერმა ოლიმპიურ ტრასას გადაუფრინა.

სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კაროლ მონტიიემ, რომელიც ორშაბათს დამცავ ბადეს შეასკდა, გუშინ სწრაფდაშვებისთვის განკუთვნილი ტრასა 28-ე შედეგით დაამთავრა.

ამერიკელთა ერთ-ერთმა დიდმა იმედმა ლინდსეი კილდოუმ კი მეცხრე შედეგი აჩვენა. იმის მერე, რაც მას ორშაბათს შეემთხვა, ესეც მაგარი შედეგია.

ჩემპიონობა კი, სრულიად დამსახურებულად, ავსტრიელმა მიხაელა დორფმაისტერმა მოიპოვა, თუ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონი ამავე დისციპლინაში ვადაზე ადრე დაეუფლა მსოფლიო თასს. გუშინდელი შეჯიბრების ერთ-ერთმა ფავორიტმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო სტარტზე გასვლა ვერ შეძლო. ასე რომ, ავსტრიელის გამარჯვება სულაც არ იყო მოულოდნელი. მოულოდნელობა უფრო ისაა, რომ ვერცხლის მედალი მოიპოვა შვეიცარიელმა მარლის შილდმა, რომლისთვისაც ეს შედეგი პირველი სერიოზული წარმატებაა.

მესამე ადგილზე შვედი ანია პერსონის გასვლა კი კანონზომიერებაა.

სწრაფდაშვებაში მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატების, მსოფლიო თასისა და ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე სუპერგიგანტში მოგებული ვერცხლის მედლის შემდეგ 32 წლის დორფმაისტერმა ტურინული ოქროთი ნატვრა აისრულა.

"ეს ჩემი ბოლო ოცნება იყო. ახლა შემიძლია კარგი განწყობით დავასრულო კარიერა. ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები ახალ ცხოვრებას, - დაჯილდოების შემდეგ თქვა ავსტრიელმა, რომელმაც ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში განიზრახა კარიერის დამთავრება, - ბოლო ორი დღის განმავლობაში ბევრი ვინერვიულე. ვერაფრით ვერ ვიძინებდი. მერე კი საკუთარ თავს ვუთხარი: "აბა, წავედით გამარჯვებისკენ-მეთქი".

ერთი სიტყვით, მიხაელა დორფმაისტერი სათხილამურო ტრასებს გამარჯვებით ტოვებს და ახალ ცხოვრებას იწყებს.

**სწრაფდაშვება**
**ქალები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 1:56.49 |
| 2. | მარლის შილდი (შვეიცარია) | 1:56.86 |
| 3. | ანია პერსონი (შვედეთი) | 1:57.13 |



ტურინი 2006

# მურვანიძე ტურინის ყინულს ასცდა

*ვაჟთა მოკლე (ანუ სავალდებულო, ანუ ორიგინალური) პროგრამა ფიგურული სრიალის ქართველი გულშემატკივრისთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი ვახტანგ მურვანიძე გამოდიოდა. სხვა დანარჩენს ფიგურული სრიალის მოყვარულთათვის მხოლოდ თავშესაქცევი დატვირთვა ჰქონდა. ერთი სიტყვით, ტურინის ოლიმპიური თამაშების მეოთხე დღე და საქართველოს ნაკრების პირველი წარუმატებლობა. თუმცა, არა მგონია, ვინმეს რაიმე წარმატების იმედი ჰქონოდა, მაგრამ მაინც.*



*მურვანიძე თავისუფალი პროგრამის მიღმა დარჩა.*

გიგა გურასაშვილი

ვახტანგ მურვანიძე ქართველ ოლიმპიელთაგან პირველი გახლდათ, რომელიც ტურინის ოლიმპიურ სარბიელზე გამოვიდა. ამიტომ "პალაველას" დარბაზში საქართველოს დელეგაციამ, ფაქტობრივად, სრული შემადგენლობით მოიყარა თავი. თუმცა, მურვანიძეს არც სხვათა მხრიდან აკლდა გულშემატკივრობა. კარგა ხანია მას ამერიკელი მწვრთნელი ავარჯიშებს და იქაური გულშემატკივრებიც მრავლად ჰყავს.

კულმინაციური მომენტი საწყის ეტაპზევე წარუმატებელი გამოდგა. მურვანიძემ კარგი ნახტომით სამნახევარი ბრუნი გააკეთა, მაგრამ დაეცა. მართალია, მერე სამმაგი და ორმაგი ტულუპი შეასრულა, რასაც სამმაგი ლუცი და რთული ნაბიჯებიც დაამატა, მაგრამ პირველი შეცდომა საბედისწერო გამოდგა. მოკლე პროგრამის შემდეგ აშკარად უკმაყოფილო ჩანდა. ცხადი იყო, რომ ფინალში გასასვლელ ქულებს ვერ მიიღებდა. ტექნიკაში 24,32 ქულა, პროგრამაში - 26,36, ჯამში 49,68 და შედეგი - მე-20 ადგილი. 30 სპორტსმენს შორის ოცეულში ყოფნა კარგი იქნებოდა, რომ მოგვიანებით 28-ე საფეხურზე არ ჩამოქვეითებულიყო. საქმე ისაა, რომ თავისუფალ პროგრამაში მონაწილეობისთვის 24 მოციგურავეს შორის მოხვედრა იყო საჭირო. ასე რომ, 26 წლის მურვანიძისთვის ოლიმპიური თამაშები დასრულებულია.

შეგახსენებთ, რომ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა მოციგურავემ მე-17 შედეგი აჩვენა.

ორიოდე სიტყვა მთლიანად ასპარეზობაზე: ვაჟთა მოკლე პროგრამა არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მედლის თითქმის ყველა პრეტენდენტმა თითო-ოროლა შეცდომა დაუშვა. ეს მაშინ, როდესაც ნაკლებად ცნობილმა მოციგურავეთა ერთმა ნაწილმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთადერთი, ვისთვისაც მსაჯებს ქულები არ დაენანათ, რუსი ევგენი პლუშენკო იყო. სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელმა (მაშინ რუსმა ალექსეი იაგუდინმა გაიმარჯვა.- რედ.), მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა ყველა დაჯაბნა. სავარაუდოა, რომ დღეისთვის გათვალისწინებული თავისუფალი პროგრამის შემდეგ საუკეთესო შედეგიც მას დარჩება და ჩემპიონობაც, თუ, რა თქმა უნდა, ყველა ნახტომზე არ წაიქცა.

"დღეს სეზონის საუკეთესო შედეგი მქონდა, - თქვა 23 წლის პლუშენკომ, - ბედნიერი ვარ, რომ ეს შედეგი ოლიმპიურ თამაშებზე ვაჩვენე.

ფავორიტად მიჩნეულმა რუსმა მოციგურავემ მისთვის რეკორდულ ქულათა რაოდენობა - 90,66 დაიმსახურა. უახლოეს მდევარს, ამერიკელ ჯონი ვეირს ათი ქულით გაუსწრო. მესამე ადგილი დაიკავა შვეიცარიელმა მსოფლიო ჩემპიონმა სტეფან ლამბიელმა (79,04).

აღსანიშნავია მეოთხე შედეგის (77,77) მქონე ფრანგი ბრიან ჟუბერიც, რადგან ის იმ ორ მოციგურავეს შორისაა, რომელმაც სოლტ ლეიკის თამაშების შემდეგ პლუშენკოს დამარცხება შეძლო. რუსი მოციგურავე 2003-2004 წლების სეზონზე გრან-პრის ფინალში კანადელ ემანუელ სანდიუსთან დამარცხდა, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე კი - ფრანგ ბრიან ჟუბერთან, რომელიც ასე აფასებს პლუშენკოს ახლანდელ გამოსვლას: "მეგონა, 85 ან 86 ქულას მიიღებდა, მაგრამ როდესაც 90 ქულა დავინახე, გაკვირვებული დავრჩი. მიმაჩნია, რომ გადაჭარბებული შეფასებაა. ეტყობა, მასჯები მისდამი კეთილად არიან განწყობილი. ასე რომ, ეს მისთვის კარგია".

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**1 ობიექტი - მარნეულის რაიონში, თანაკლიის ბაზალტის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 381 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 876 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**2 ობიექტი - ბორჯომის რაიონ, დაბა ბაკურიანში ინერტული მასალის (ქვიშა) მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 505 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 301 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ინერტული მასალების (ქვიშა) ჯამური მოცულობა | 15 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**3 ობიექტი - თერჯოლის რაიონში, სოფ. გოგნის ტერიტორიაზე საფლუსე კირქვის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 028 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 006 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი საფლუსე კირქვის ჯამური მოცულობა | 15 000 ტ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**4 ობიექტი - დუშეთის რაიონში, სოფ. ანანურის საკრებულოს ტერიტორიაზე ჯახას კირქვების მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 191 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 438 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის (მოსაპირკეთებელი) ჯამური მოცულობა | 7 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**5 ობიექტი - ასპინძის რაიონში სოფ. იდუმალას მიმდებარედ, ახალციხის საავტომობილო გზაზე "კაკლიანას" გადასახვევის მიმდებარედ და ახალციხის საავტომობილო გზის მიმდებარედ სოფ. რუსთავის გადასახვევის დასავლეთით მტკვრის მარჯვენა ჭალის ტერასებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 850 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 370 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 45 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**6 ობიექტი - დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვენა ჭალის ტერასაზე, ციხისძირის საბადოს მენესოს უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**7 ობიექტი - ქ. ქუთაისში, ქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე, ღარაკეთის უბნის პორფირიტის ქვის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 827 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 365 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი პორფირიტის ქვის ჯამური მოცულობა | 2 400 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**8 ობიექტი - წყალტუბოს რაიონში, სოფ. ხომულის ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 693 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 939 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის (საცემენტე) ჯამური მოცულობა | 50 000 ტ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**წ ყ ა ლ ი**

**11 - ქ. თბილისში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭიდან ტექნიკური წყლის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი წყლის ჯამური მოცულობა | 116 800 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 183 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 37 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 400 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 16 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 17 მარტს 12 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე)"ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. ვ) საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი. ზ)საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ" და "წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

**9 ობიექტი - მარნეულის რაიონში, რკინიგზის სადგურ მარნეულიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ში ყიზილაჯლოს ბაზალტის ქვის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 213 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 643 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 17 500 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**10 ობიექტი - გარდაბნის რაიონში, სოფ. ალთაქლის მიდამოებში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 291 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 858 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 32 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი ზემო აღნიშნულ ობიექტებზე 1-10 შეადგენს 900 ლარს | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ს.ს.ი.პ. "საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდი "ირმის ნახტომი"**

აცხადებს ტენდერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერული ლაბორატორიებისთვის დაცვითი მომსახურების შესაძენად (დაცვის სისტემების ინსტალაცია და ერთი თვის მომსახურება).

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

| ქალაქი | სკოლების რაოდენობა |
|---|---|
| | |
| თბილისი | 20 |
| ბათუმი | 7 |
| ქუთაისი | 12 |
| თელავი | 3 |
| გორი | 1 |
| მარნეული | 1 |
| საგარეჯო | 1 |
| სულ | 45 სკოლა |

დეტალური ინფორმაცია (ინფორმაცია საინსტალაციო სამუშაოების შესრულების, მომსახურების მიწოდების დაწყების ვადებსა და პირობებზე) მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე სატენდერო მოსაკრებლის (ორასი ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, **2006 წლის 10 მარტის 17 საათამდე,** მისამართზე: ს.ს.ი.პ. ფონდი "ირმის ნახტომი", თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობა, ოთახი №325).

სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხულ უნდა იქნას:

- მიმღების დასახელება: ს.ს.ი.პ. ფონდი "ირმის ნახტომი", საიდენტიფიკაციო კოდი: 202 294 980
- ანგ. №333609504, "თი-ბი-სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850
- გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში ქართულ ენაზე 3 (სამ) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ასლი) **2006 წლის 10 მარტის 17 საათამდე** ზემოთაღნიშნულ მისამართზე; დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 10 მარტს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 III სართულზე, ოთახი 325.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული პირისათვის

ბ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმისწარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი(ები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შს სამინისტროდან);

- ფიზიკურ პირთათვის

ა) ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა სასამართლოდან);

გ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შს სამინისტროდან);

- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (აუდიტის დასკვნა);

გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 956294. საკონტაქტო პირი: ბატონი დავით ჭიჭინაძე.





# წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნა (RFP)

## ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმასთან დაკავშირებით საქართველო

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებისთვის (SCP)**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით**

გამოქვეყნების თარიღი: **2006 წლის 13 თებერვალი**
წინადადებების მიღების დასრულების ვადა: **2006 წლის 10 აპრილი, დღის 12:00 თბილისის დროით.**

BP, რომელიც მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით, თხოვნით მიმართავს სათანადოდ კვალიფიცირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მოამზადონ ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის (KTMR) მართვის გეგმა.

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში - ბორჯომის რაიონში - მდებარეობს. აღკვეთილი 22,000 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მაღალმთიანი ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტბები, რომლებიც ზღვის დონიდან 1,990 - 2,080 მეტრის სიმაღლეზეა. ამჟამად მოცემული აღკვეთილის მართვის გეგმა ჯერ არ არის შემუშავებული. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული აღკვეთილის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა და აქტიურად არ ხორციელდება მართვის ღონისძიებები.

BP, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით და მის ინტერესებში მოქმედებს, მზადაა დააფინანსოს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ეფექტური მართვის გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად შემდეგის განხორციელება სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს:

- საჭირო ფონური კვლევების ჩატარება;
- კონსერვაციაზე მიმართული მართვის მიზნების განსაზღვრა;
- მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც ყველა საჭირო ასპექტს მოიცავს;
- მოცემულ პროცესში მონაწილე დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება;
- საჯარო კონსულტაციები;

მოცემული დავალების საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმა, რომელიც მისაღები იქნება ყველა მონაწილე მხარისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის და დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

BP-ის მოითხოვნის შესაბამისად ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ან ორგანიზაციათა კონსორციუმის სათავეში მდგომი ორგანიზაციის ფორმით მიიღებენ მონაწილეობას მოცემულ ტენდერში, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს მსგავსი პროექტების მართვის და/ან განხორციელების გამოცდილება, რომელთა დაფინანსება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში არანაკლებ 50,000 აშშ დოლარის ტოლი იყო.
- უნდა გააჩნდეს კონსერვაციისა და მართვის დაგეგმვის წარმატებული გამოცდილება თავად ორგანიზაციას ან წარმოდგენილ ჯგუფში შემავალ ინდივიდუალურ პირებს;
- თითოეულ წინადადებაში საქართველოს ეროვნული ექსპერტიზის მონაწილეობა, ორგანიზაციის ან ინდივიდუალური პირების სახით.

BP უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნულ ექსპერტებთან და მათ გამოცდილებას ეყრდნობიან.

სატენდერო დოკუმენტების მიღება შეგიძლიათ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე 13 თებერვლიდან 27 თებერვლამდე, BP-ის ოფისში, შემდეგ მისამართზე: საბურთალოს ქუჩა N38, თბილისი, საქართველო; ან ქვმოთ მოცემულ ინტერნეტ-გვერდეზე:

www.caspiandevelopmentandexport.com


# ქალაქი მხატვრის ფოტოობიექტივში

## გალერეა "შარდენი" მხატვარ გია მირზაშვილის ფოტოგამოფენას მასპინძლობს

თეონა ჯაფარიძე



გალერეა "შარდენი" ზედ ქუჩის პირზეა და თავისი გამჭვირვალე, შემინული კედლების წყალობით ლესელიძის ქუჩისა და მეიდნის საქმიან პეიზაჟთან საინტერესოდაა შერწყმული: აქ უკვე მომრავლდა რესტორნები, კაფეები, ტურისტული სააგენტოები და კერძო ფირმების ოფისები. ამიტომაც გალერეის კარს ხან ტურისტი შემოაღებს, ხან ბიზნესმენი და ხანაც უბრალო გამვლელი. ასე რომ, გალერეის გამჭვირვალე ვიტრინებში გამოფენილ თანამედროვე ტიხრულ მინანქარს (გალერეა ძირითადად ამ პროფილით მუშაობს) გარკვეული სიხშირით მოულოდნელი და საინტერესო დამთვალიერებელი ჰყავს.

ამ დღეებში მინანქრისსამკაულებიანი ვიტრინების გვერდით აქ ფოტოგამოფენაც გაჩნდა. "გაჩნდა" იმიტომ, რომ გამოფენა ოფიციალურად არ გახსნილა. ფოტოები აქ წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაიკიდა - ყველაზე უტყუარი - გარედან შემოსული "შემთხვევითი" დამთვალიერებლისთვის. ეს **მხატვარ გია მირზაშვილის** ფოტოებია. მათგან ქუჩის ხმაური და რიტმი გადმოდის, ეს ფოტოები პატარ-პატარა თბილისურ ამბებს ყვებიან და, ფაქტობრივად, ბოლო ორი წლის (ორი წელია, რაც მხატვარმა ფოტოაპარატს მოკიდა ხელი) თბილისის ფოტომატიანეა:

**"აი, ეს ავლაბრის რომელიღაც ეზოა. ეს სახლი, შესაძლოა, უკვე დაინგრა კიდეც. შესაძლოა, მისი არსებობის ბოლო წუთებიც კი გადავიღე"**, - მიხსნის მხატვარი. წლევანდელი თბილისური თოვლის თემაზე შექმნილ სერიაზე კი ცდილობს ზუსტად გაიხსენოს - **"თოვლიანი დილა დილის რვა თუ ცხრა საათზეა გადაღებული"**.

ექსპოზიცია "მეწაღის ჯიხური". თავად ფოტოები პატარა ზომისაა და რამდენიმე ათეული ერთად დიდ ჩარჩოშია მოთავსებული: **"შემეძლო უფრო დიდი ფოტოები დამებეჭდა, ცალკე ჩარჩოში ჩამესვა და რომელიმე დიდ სივრცეში გამომეფინა, მაგრამ ფოტოგრაფიაზე პროფესიონალური პრეტენზია არ მაქვს. აქ ისეა ჩემი ფოტოები წარმოდგენილი, როგორც ეს მეწაღის ჯიხურში ხდება ხოლმე - ერთმანეთის გვერდით სტალინის, დინ რიდისა და შოთა რუსთაველის ფოტოებს რომ გამოფენენ ხოლმე. თანაც, ქალაქის სიჭრელეს ნამუშევრების ამ ფორმით წარმოდგენა უფრო ამძაფრებს"**, - ამბობს გია.

მართალია, პროფესიულ ფოტოგრაფიაზე მას "პრეტენზია არა აქვს", მაგრამ მისი, როგორც მხატვრისა და ფერმწერის ფოტოები სწორედ კომპოზიციის ღრმა შეგრძნებითა და შუქჩრდილის პროფესიონალური გამოყენებით გამოირჩევა. ასეთი ნატურმოტების "დაწყობა" კი ალბათ მხოლოდ კარგ ფერმწერს თუ შეუძლია. ალბათ სწორედ ფერწერის ცოდნა და არაპროფესიონალიზმი ფოტოგრაფიაში ხდის ამ ფოტოებს თვალშისაცემად ცოცხალსა და ფოტოგრაფიის კანონებისგან თავისუფალს.

საერთოდ, ვიდრე "ზენიტსა" და "ქენონს" მოჰკიდებდა ხელს, პოეზიას მიმართა. მისი ტექსტები ისეთივე სიზუსტით აფიქსირებს თბილისის ქუჩებს, გრძნობებსა და დროს, როგორც მოგვიანებით ამას მისი ფოტოობიექტივი აკეთებს.

"...ნიაღვრის ქუჩა, ბაღი სამაია,
მე ვარ ზემელზე, თორმეტი
საათია".

ასეთია მისი პოეტური და ფოტოგრაფიული მზერა.

გია მირზაშვილი უამრავ ფოტოს იღებს. იღებს გაუჩერებლად და დაუღალავად.

**"ფოტოაპარატი პირველად ორი წლის წინ ავიღე ხელში. მაშინ მამამ ოპერაცია გაიკეთა. საავადმყოფოში მასთან სიარულის დროს გზად ყველაფერს ვიღებდი, რაც ჩემი თვალთახედვის არეში მოხვდებოდა. იყო დღეები, ხუთიექვსი ფირი მიმქონდა დასაბეჭდად. დაბეჭდვით კი კოსტავას ქუჩაზე, "ფუჯი ფილმში" ვბეჭდავ ხოლმე. ეს საინტერესო პროცესია. აქ ნამდვილი პროფესიონალები გავიცანი - ნუგზარ არჩვაძე, ალეკო ბარნაბიშვილი, გია სამხარაძე. ამ ბიჭებისგან ბევრ ახალს ვსწავლობ ფოტოგრაფიაში. მონიტორზე ერთად ვწყვეტთ ხოლმე ფოტოს ფერს, ფაქტურას. მათი დახმარებით რაღაც ნამუშევრები სეფიის ტექნიკითაც დავბეჭდე..."**

გალერეაში, მაგიდაზე, უკვე ღია ბარათებად ქცეული გიას ფოტოებია მიმობნეული. ღია ბარათების იდეა გიას მამას - მხატვარ თენგიზ მირზაშვილს ეკუთვნის. ჩვენი საუბრის პარალელურად, გალერეაში შიგადაშიგ ქუჩიდან დამთვალიერებელი შემოდის. მერე დიდხანს ტრიალებენ ფოტოებთან. ფრაგმენტულად ისმის მათი წამოძახილები: - "ეს ჩემი ინგლისურის მასწავლებელია", "ეს ჩემი ნაცნობია", "ეს ჩემი ქუჩაა"... ისინი გიკა მირზაშვილის ფოტოებში თავიანთ ქალაქს პოულობენ.

ცნობისთვის: ფოტოები გალერეა "შარდენში" 20 თებერვლამდე იქნება გამოფენილი.

# ვეტერანები ბერლინალეზე

რობერტ ალტმანი - ვეტერანი რეჟისორი - დიდ ეკრანზე ახალი პროექტით დაბრუნდა. ამჯერად ის დაინტერესდა ძველმოდური რადიოშოუთი, რომელიც დახურვის პირასაა და ამ სცენარით, როგორც თავად თქვა, ამერიკას ძველი, უდარდელი და უცოდველი ხანა გაახსენა.

ფილმში მერილ სტრიპი, ვუდი ჰარალსონი, ტომი ლი ჯონსი, ლინდსი ლოჰანი და კევინ კლაინი თამაშობენ. სცენარი სურათისთვის "პრერიების სახლის კომპანიონი" გერისონ კეილორმა დაწერა - ადამიანმა, რომელიც თავად უძღვება ყოველ კვირას რადიოშოუს და რომელსაც მილიონობით მსმენელი ჰყავს.

"არის რაღაც განსხვავებული იმ სამყაროში, რომელსაც გერისონ კეილორი ქმნის. ის გვახსენებს ბავშვობას, ნამდვილ ამერიკულ ბავშვობას", - გაანდო საკუთარი სანტიმენტები მერილ სტრიპმა ბერლინალეზე შეკრებილ პრესას და იქვე დასძინა: "დრო, როცა ყველანი ერთგულად ვუსმენდით რადიოს, დღევანდელობასთან შედარებით თითქოს უფრო უცოდველი და წმინდა იყო".

ფილმში თავად კეილორიც ჩნდება. სურათში კიდევ სხვა ბევრი დოკუმენტური დეტალია. ის სენტ პოლში (მინესოტას შტატი), ფიცჯერალდის თეატრშია გადაღებული, ანუ რადიოშოუს მშობლიურ მისამართზე.

ალტმანის ფილმს ბერლინის კინოფესტივალის აუდიტორია და პრესაც თბილად შეხვდა. მეტიც, ის უკვე ოქროს დათვის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად დაასახელეს. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში პირდაპირი პოლიტიკური მინიშნებები არ შეიმჩნევა, ალტმანი ამბობს, რომ მისი სურათი რაღაცით მაინც არის დაკავშირებული მიმდინარე მოვლენებთან: "ყოველ ჯერზე ომში წასვლა არ არის საჭირო იმისთვის, რომ ერაყის მოვლენების შესახებ შეგექმნას აზრი. არც ვიცი, ამას რა დავარქვა. ეს ომი არ არის, მაგრამ სახელიც რომ აქვს.... შეიძლება ასე ვუწოდოთ - დაბომბვითი კამპანია", - განაცხადა 80 წლის რეჟისორმა.

რობერტ ალტმანი "ოსკარზე" შვიდჯერ იყო წარდგენილი ფილმებისთვის - MASH, "ნეშვილი" და "გოსფორდ პარკი", მაგრამ შვიდჯერვე ჯილდოს გარეშე დარჩა. წლევანდელ ცერემონიალზე მას საპატიო "ოსკარს" გადასცემენ. ბერლინალეზე შეკრებილმა ჟურნალისტებმა რეჟისორს, ცხადია, ეს ბიოგრაფიული დეტალიც გაუხსენეს, რაზეც ალტმანმა განაცხადა: "მიხარია, რომ წელს დამაფასეს. ვამაყობ ამით. უკეთესი ჯილდო არ არსებობს".

ბერლინალეზე რობეტრ ალტმანის გარდა კიდევ ერთი ვეტერანი რეჟისორია - 81 წლის სიდნეი ლუმიე. მისი ფილმი "დამნაშავედ მცანით" სამართლიანობის თემას უბრუნდება, თემას, რომელიც დაახლოებით 50 წლის წინ ლუმიეს ფილმში "12 გაბრაზებული მამაკაცი" იყო წარმოდგენილი.

FM ჰიპოდრომი 92.0

# ეკა და მუჰამედი

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" თემაა დანიური გაზეთის მიერ წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნება. გადაცემის სტუმრები არიან თეოლოგი ნოდარ ლადარია და ფილოსოფოსი გიგა ზედანია.

**ეკა კვესიტაძე**: ეწინააღმდეგება თუ არა ამ კარიკატურების გამოქვეყნება მორწმუნე ადამიანების იდეალებს?

**ნოდარ ლადარია**: ძალიან ძნელია ვთქვათ, რა იყო მოტივაცია, შეიძლება მათ ვერ გაითვალისწინეს რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ ყველაფერს, ისინი ალბათ მუჰამედზე არ ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ მხოლოდ ტერორისტებზე, რადგან კარიკატურებზე ისინი იყვნენ გამოსახულნი.

**ეკა კვესიტაძე**: ბი ბი სის მეშვეობით კარიკატურების ავტორმა თქვა, რომ ტერორისტები თავიანთ სარწმუნოებას იყენებენ, რათა გაამართლონ ძალადობა, მეორეა ის, რომ ჩვენ არ გვინდა ჩავდგეთ იმ მდგომარეობაში, როცა ვილაცები გვაშანტაჟებდნენ და თავიანთ აზრს გვახვევდნენ თავზე.

**ნოდარ ლადარია**: ძალიან რთული გასაგებია ჩემთვის, რას ნიშნავს მილიარდ 4 ათასი ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. მე შემიძლია გავიგო, რას ნიშნავს ერთი ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ადამიანთა სიმრავლეს, ეს უკვე გადადის პოლიტიკაში. ამგვარი ტენდეცია ისლამში მოიტანა ჰომეინიმ. ავტორიტეტულ მამებს, ვინც ჰომეინამდე იყვნენ ისლამში, ამგვარი რამე არ გაეგოთ. ეს ნიშნავს პირდაპირ რაღაცის გამოყენებას პოლიტიკისათვის. ამ შემთხვევაში პოლიტიკისთვის გამოიყენეს, მარტივად რომ ვთქვათ, მრავალი ადამიანის უმეცრება. ანუ ამ ძალადობის გამოყენება მოხდა იმიტომ, რომ ხალხი ნაკლებად განათლებული და ინფორმირებულია. რა უნდა ვქნათ ჩვენ იმ შემთხვევაში, როცა დანტე ალიგიერს მუჰამედი ჯოჯოხეთში ჰყავს გამოყვანილი, ან როცა თალიბები აფეთქებენ ბუდას ქანდაკებას, რა ვქნათ, უარი ვთქვათ კაცობრიობის მონაპოვარზე - თავისუფლება, დემოკრატია?

**ეკა კვესიტაძე**: დღეს რა დგას ისლამის უკან? ხომ არ არის ეს ამერიკის და დასავლეთის სიძულვილი?

**გიგა ზედანია**: როდესაც ვსაუბრობთ ისლამზე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან ინდონეზია და თურქეთი. ეს ხალხი მუსულმანები არიან. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეს ხალხი სულაც არ არის წინააღმდეგი არაფრის, მათ შორის არც მოდერნიზაციის. პირიქით, თურქეთი ნატოშია შესული და ახლა ევროკავშირში აპირებს შესვლას. პრობლემა ძირითადად არაბულ ქვეყნებშია.

**ეკა კვესიტაძე**: მაგრამ ეს ფაქტი ვირუსივით მოედო მთელ მუსლიმანურ სამყაროს.

**გიგა ზედანია**: ეს მიბაძვის პროცესია, ანუ ადამიანები მთელი ცხოვრება ვილაცას ვბაძავთ. რაც შეეხება არაბულ ქვეყნებს, მათი მთავარი პრობლემაა ეკონომიური ჩავარდნები, წყენა და გაბრაზება.

**ეკა კვესიტაძე**: რისგან წარმოიშვა ეს გაბრაზება?

**გიგა ზედანია**: მთავარი პრობლემა მომავალია, თუ მომავლის პროექტი არ გაქვს, ადამიანი კვდება.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არ აქვთ მომავალი?

**გიგა ზედანია**: არაფერი მათთან არ მუშაობს, ქვეყანა არ შენდება. ეს არის კიდევ პოლიტიკური პრობლემა.

**ეკა კვესიტაძე**: რომელიმე გაზეთმა რომ გამოაქვეყნოს ქრისტეს უხერხული კარიკატურები, როგორი რეაქცია ექნება დასავლეთს?

**ნოდარ ლადარია**: არანაირი. ჩვენი ქრისტიანული სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ ჩვენს ტრადიციაში ყოველთვის იყო დისტანცია. ჩვენთან ამას არავინ არ გააკეთებს, არავის არ სჭირდება და იმიტომ.

**ეკა კვესიტაძე**: ამ ფაქტის შემდეგ დიდი პრობლემა გაჩნდა მუსულმანურ და დასავლურ ქვეყნებს შორის. შეიძლება თუ არა დიალოგები დაიწყოს ამ ორ ცივილიზაციას შორის?

**გიგა ზედანია**: დიალოგი შესაძლებელია, მაგრამ მე ვფიქრობ, არ შედგება, რადგან, მუსულმანებს ტოლერანტობა არ გააჩნიათ.

**ნოდარ ლადარია**: როცა ორი ქვეყნის, ორი ცივილიზაციის დიალოგებზეა საუბარი, ისინი რაღაცით მაინც უნდა იყვნენ თანაზომადი.

**ეკა კვესიტაძე**: შედეგი რა იქნება?

**ნოდარ ლადარია**: არსებობს კლაუზევიცის ცნობილი სიტყვები:" ომი ეს არის პოლიტიკის გაგრძელება." ვფიქრობ, არც ეს არის გამორიცხული.


# სწავლა ლონდონში

## London school of Commerce (LSC)

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

**MBA**

- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

**სრული კურსის ფასი £4950 ხანგრძლივობა 1 წელი**

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა £ 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამეტებითი £ 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული, ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
**ტელ: + 995 32 42 00 50**
**ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69**
**Email: info@stmlondon.co.uk**
**Email: nona-STM@mail.ru**



# გლობალ ერთი აცხადებს ვაკანსიას პროგრამისტის თანამდებობაზე

მოთხოვნები:
ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
**ორაკლის სისტემაში მუშაობის გამოცდილება**
პროგრამირების ენა : დელფი,
წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები;
ავტობიოგრაფია (CV)
განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან;
ანაზღაურება მაღალი - კვალიფიკაციის შესაბამისად;
საბუთების წარდგენის ბოლო ვადა - 2006 წლის 24 თებერვლის 15.00 საათი;
რუსთაველის გამზ. N31, 0 სართული; ტელ 43 91 28;
e-mail: rusiko@global-erty.net



# გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









# სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



ავსტრია - ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა

B2



ევროპორტრეტი: ევროპის მესაჭე

B4

# სამხრეთ კავკასია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

A1 გვერდიდან

ჩვენ გვინდა, რომ ის კეთილდღეობა და სტაბილურობა, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, მეზობლებს გავუზიაროთ, და ამის უნარიც შეგვწევს. არსებობს კონკრეტული გზები, რომელთა საშუალებით ჩვენ ხელს შევუწყობთ აზერბეიჯანს, საქართველოს და სომხეთს, რათა მათ თავიანთი მოსახლეობის ისეთივე კეთილდღეობა უზრუნველყონ, როგორიც ევროკავშირშია. მიგვაჩნია, რომ რაც უფრო კარგად იცხოვრებენ ჩვენი მეზობლები, მით უკეთ ვიცხოვრებთ ჩვენ. აღარ უნდა არსებობდეს უფსკრული ევროკავშირის საზღვრის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებთა შორის.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ განგვევრცო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა", რათა მას სამხრეთი კავკასია მოეცვა. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები სამხრეთი კავკასიის სამი ქვეყნის ხელისუფლებასთან კონკრეტული „სამოქმედო გეგმების" შემუშავების თაობაზე. ჩვენ შევთანხმდებით და ისეთ ნაბიჯებს გადავდგამთ, რომლებიც ხელს შეუწყობენ დემოკრატიული თავისუფლებების დანერგვასა და ეკონომიკურ რეფორმებს; ეს ნაბიჯები დაეხმარება ჩვენს პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკის ევროპის გიგანტურ ერთიან ბაზართან დაახლოებას, ეს კი მეტ სამუშაო ადგილს, ბიზნესის განვითარებას და ცხოვრების უკეთეს პირობებს გულისხმობს ამ ქვეყნების მოქალაქეებისათვის.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" სერიოზული შემოთავაზებაა. ეკონომიკის სფეროში ის გულისხმობს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, უკეთეს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, ეტაპობრივ მონაწილეობას ევროკავშირში მიმდინარე ზოგიერთ პროცესსა და პროგრამაში (რაც ადრე მხოლოდ ევროკავშირის წევრ და წევრობის კანდიდატი ქვეყნებისთვის იყო გათვალისწინებული), დაბოლოს, „წილი" ევროკავშირის შიდა ბაზარზე, რაც „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ყველაზე ახალი და წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ ბაზარზე თქვენი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, დაგეხმარებით თქვენი წესებისა და სტანდარტების ჩვენ წესებთან და სტანდარტებთან ჰარმონიზებაში, ეს კი ვაჭრობაში დაბრკოლებების შემცირებას მოემსახურება.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" გულისხმობს, აგრეთვე, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებას და თავისუფალი მასმედიის ჩამოყალიბებას. გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დაგეხმაროთ კორუფციის აღმოფხვრაში და ისეთი ეფექტური ადმინისტრაციული ორგანოების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შეძლებენ სამართლიანი და ეფექტური მთავრობის მართვას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში კონსულტაციების დაწყება ამ ქვეყნებს ევროკავშირის ისეთი მეზობლების რიგში აყენებს, როგორიცაა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები, უკრაინა და მოლდოვა. ყოველ ცალკეულ ქვეყანასთან ერთად შემუშავდება „სამოქმედო გეგმა," რომელიც პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკას მოერგება. „სამოქმედო გეგმაში" აღნიშნული იქნება რამოდენიმე პრიორიტეტი, რომელსაც და პარტნიორ ქვეყანასთან შევათანხმებთ.

გვსურს გავაღრმავოთ ურთიერთობები იმ სფეროებში, რომლებიც ორივე მხარის ინტერესებში შედის. თქვენი რეგიონის შემთხვევაში ეს სფერო ენერგეტიკული თანამშრომლობაა. უნდა მოვითათბიროთ იმაზე, თუ როგორ ვიმუშაოთ უფრო ეფექტურად და როგორ მივიღოთ ერთობლივი სარგებელი, უნდა ვიმუშაოთ მოწოდების და ტრანზიტის საკითხებზე და ენერგიის ეფექტური და მდგრადი გამოყენების თაობაზე. უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ როგორ უზრუნველვყოთ ჩვენი ინვესტორებისათვის მისაღები ეკონომიკური კლიმატი თქვენი ქვეყნების ენერგეტიკის სექტორში, რათა ის განვითარდეს.

მე ხშირად მეკითხებიან, „რას სთავაზობს „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" იმ ქვეყნებს, რომლებსაც ევროკავშირში გაწევრიანება სურთ?" „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" არანაირად არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობას. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობა არ არის მოსამზადებელი ეტაპი გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად, ის არც გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივაა. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" მიზანი თვით იმ ამოცანების შესრულებაა, რომლებიც მასშია მოცემული.

ის, თუ რამდენად შორს წაგვიყვანს „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში ერთობლივი მუშაობა, დამოკიდებულია სამხრეთ კავკასიის თითოეულ სახელმწიფოზე.

ერთი რამ ნათელია: ჩვენი შემოთავაზების სრულად გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოგვარდება გაყინული კონფლიქტები რეგიონში. ევროკავშირს, რომლის კეთილდღეობა და სტაბილურობა რეგიონულ თანამშრომლობასა და კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას ეფუძნება, მტკიცედ სჯერა რომ სწორედ ესაა წინსვლის აუცილებელი პირობა სხვა რეგიონებშიც.

როდესაც კონფლიქტის შედეგად დაზარელებულ მხარეებს სამშვიდობო მოლაპარაკებას სთხოვენ, მათ უჭირთ ამ არჩევანის გაკეთება. ევროპაში ოდესღაც მოსისხლე მტრები დღეს პარტნიორები არიან და ერთ მაგიდას უსხედან. იმედი გვაქვს, რომ ის ადამიანები, ვინც პასუხს აგებენ მშვიდობის დამკვიდრებაზე სამხრეთ კავკასიაში, იპოვიან სწორ მიდგომას და გამოიჩენენ გამბედაობას, რათა ასეთივე შედეგს მიაღწიონ.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში ჩვენ გვყავს პარტნიორები, რომლებიც კონფლიქტების მოგვარებას ცდილობენ და ჩვენ მათ ხელს ვუწყობთ. ჩვენი „სამოქმედო გეგმები" მოლდოვასათან, აგრეთვე უკრაინასთან ხელს უწყობს ერთობლივ მუშაობას დნესტრისპირეთის პრობლემაზე. ახლო აღმოსავლეთში ჩვენი „სამოქმედო გეგმები" ისრაელსა და პალესტინასთან წარმოადგენენ სამმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას.

მე იმედი მაქვს, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში ჩვენ მოწმენი გავხდებით სამხრეთ კავკასიაში იმ გაყინული კონფლიქტების მოგვარებისა, რომლებმაც ამდენ ადამიანს ტანჯვა და სიღატაკე მოუტანა. მაშინ ჩვენ შევძლებთ უფრო მეტი შევთავაზოთ ამ ქვეყნებს და უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ მათთან, ვინც მშვიდობიან გზას აირჩევს.



**ბენიტა ფერერო-ვალდნერი**

**დაიბადა 1948 წლის 5 სექტემბერს ზალცბურგში, ავსტრია;**
**მეუღლე - პროფესორი ფრანცისკო ფერერო კამპოსი;**
**1966-1970 - ზალცბურგის უნივერსიტეტი, იურისპრუდენცია (Dr irius);**
**1971-1978 - კომპანია "პოლ კიფელი", ქ. ფრაილასინგი, გერმანია. (1971-72), ექსპორტის დეპარტამენტი. კომპანია "გერნს უნდ გალერი," დირექტორი ექსპორტის ხელშეწყობის საკითხში;**
**1978-1981 - კაუფმანის კორპორაცია, ნიუ იორკი. ევროპული გაყიდვების დირექტორი;**
**1981-1983 - კომპანია "გერნს უნდ გალერი," ქ. ფრაილასინგი, გერმანია. მთავარი თანაშემწე მენეჯმენტის საკითხებში;**
**1 სექტემბერი 1984 - ავსტრიის საელჩო, მადრიდი, სპეციალური კონსულტანტი;**
**1984სექტემბერი -1986იანვარი საგარეო საქმეთა ფედარალური სამინისტრო ეკონომიკური დეპარტამენტი. პოლიტიკური დეპარტამენტი. საკონსულო დეპარტამენტი;**
**იანვარი-ივნისი 1986 - ავსტრიის საელჩო, დაკარი, სენეგალი, პირველი მდივანი;**
**1986 ივნისი - 1987 მაისი - საგარეო საქმეთა ფედარალური სამინისტრო ეკონომიკური დეპარტამენტი. განვითარების დეპარტამენტი;**
**1987მაისი -1990ივლისი - ავსტრიის საელჩო, პარიზი, მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში;**
**1990 ივლისი - 1993 თებერვალი – ავსტრიის საელჩო, პარიზი. პირველი მრჩეველი და ელჩის მოადგილე, ელჩის მოვალეობის შემსრულებელი;**
**1993 თებერვალი - 1993 დეკემბერი – საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო. პროტოკოლის ხელმძღვანელის მოადგილე;**
**1993-1995 - გაეროს პროტოკოლის ხელმძღვანელი;**
**4 მაისი 1995 -3 თებერვალი 2000 - საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი;**
**2000 თებერვალი - 2004 ნოემბერი საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი.**

# ჰეიკი ტალვიტი: „ეს იყო ძალიან საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე სამუშაო”

## ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში საქართველოს ემშვიდობება

*ჰეიკი ტალვიტის ამჟამინდელი ვიზიტი, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რანგში, უკანასკნელი გამოდგა. დაახლოებით, 2,5 წლის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობაზე მომუშავე ფინელი დიპლომატის თქმით, მისი ბოლო ოფიციალური ვიზიტის მიზანი იყო, გაერკვია, კონკრეტულად რა როლის შესრულება შეუძლია ევროკავშირს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში. “ხალხს ეშინია ცვლილებების...”; “რისკი აუცილებელია...”, “გარეშე მხარეებს მხოლოდ მხარდაჭერა შეუძლიათ - პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეთანხმების მიღწევაში მდგომარეობს”, - ასეთი პათოსით დაემშვიდობა ტალვიტი ქართველ ჟურნალისტებს და ისიც გაუმხილა, რომ მის ნაცვლად აუცილებლად მაღალი რანგის დიპლომატი ჩამოვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რეგიონის მნიშვნელობის ზრდას ევროკავშირისთვის.*

ნანა შონია
ნიკა თარაშვილი

ჰეიკი ტალვიტი სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად 2003 წლის 7 ივლისს დაინიშნა. რასაკვირველია, სპეციალური წარმომადგენლის დანიშნვა რეგიონის მიმართ ბრიუსელის გაზრდილი ინტერესის მანიშნებელი იყო. **“მანდატი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ჩემი ფუნქციები, ყველაზე პრიორიტეტულად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობას მიიჩნევდა. მეორე პრიორიტეტული საკითხი იყო კონფლიქტის მოგვარება და მჭიდრო კავშირების შენარჩუნება მოსკოვთან, ვაშინგტონთან, ანკარასთან და თეირანთან,”** - იხსენებს თავად ელჩი ტალვიტი დღეს.

მას შემდეგ ორწელიწადნახევარი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში წარმოშობით ფინელი დიპლომატი საქართველოში არაერთხელ იმყოფებოდა. განსაკუთრებით გახშირდა კონტაქტები “ვარდების რევოლუციის” შემდეგ. ტალვიტის თქმით, ვარდების რევოლუციამ ახალი პერსპექტივები შექმნა საქართველო ევროკავშირის ურთიერთობაში, თუმცა, რევოლუცია შემდგომშიც საჭიროებს განვითარებას – დასძენს ბატონი ელჩი.



რადგანაც საქართველოს წევრობა ევროკავშირში ჯერ არ დგას დღის წესრიგში, ახლანდელ ეტაპზე ევროკავშირის მიზანი იყო, ხელი შეეწყო საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასთვის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის. სწორედ ამ სფეროში ურთიერთობების ხელშეწყობა იყო მისი მისიის დროს ტალვიტისთვის უპირველესი ამოცანა. **“ჩვენ გვაქვს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება,** - აცხადებს ტალვიტი, - **ახლა ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს სამოქმედო გეგმაზე სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. იგი საქართველოს დამატებით შესაძლებლობებს მისცემს ევროსტრუქტურებში უფრო ღრმა და აქტიურად ჩასართველად”.**

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დამატებითი შანსია საქართველოსათვის, - აღნიშნავს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, მით უმეტეს, რომ “არსებობს საქართველოაშშ-ს ურთიერთობები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის რევოლუციის შემდგომი ორი წლის განმავლობაში. რუსეთი უდიდესი პარტნიორია საქართველოსათვის, ხანდახან არსებული მათი დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად”. **“მე მქონდა კონსულტაციები როგორც ამერიკელებთან, ისე რუსებთან. ჩვენ საკითხს ერთნაირად ვუყურებთ,”** - აღნიშნავს 40 წლიანი წარმატებული კარიერის მქონე დიპლომატი, რომლის კარიერა ასევე მოიცავდა საქმიანობას ნიუ იორკში და მოსკოვში.

23-25 იანვარს ჰეიკი ტალვიტი სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რანგში უკანასკნელად ეწვია საქართველოს. მისი თქმით, ძირითადად იმისთვის, რომ გაერკვია, კონკრეტულად რა როლის შესრულება შეუძლია ევროკავშირს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში. შეხვედრებიც სწორედ ამ მიზნის შესაბამისად იყო დაგეგმილი.

გაგრძელება B3 გვერდზე

### მოკლედ

## კონსტიტუციის ამოქმედებამდე ევროკავშირის გაფართოება შეჩერდება

ევროკავშირის გაფართოების პროცესი უნდა შეჩერდეს, ვიდრე გაერთიანების 25-ივე წევრ-სახელმწიფოში ახალი კონსტიტუცია არ შევა ძალაში, - ამის შესახებ ნათქვამია ევროპარლამენტის მიერ გუშინ მიღებულ რეზოლუციაში.

თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ შეეხება რუმინეთსა და ბულგარეთს, რომელთა მიღება ევროპულ სახლში მომავალ, ან უკიდურეს შემთხვევაში, 2008 წელს უნდა მოხდეს. ამის შემდეგ, როგორც ევროპარლამენტარებმა მიიჩნიეს, ვერც ერთი ახალი სახელმწიფო ველარ გახდება ევროკავშირის წევრი, ვიდრე დადებითად არ გადაწყდება კავშირის საერთო ძირითადი კანონის საკითხი.

შეგახსენებთ, ევროკავშირის კონსტიტუციის ამოქმედების საკითხი ეჭვქვეშ მას შემდეგ დადგა, რაც გასულ წელს საკონსტიტუციო რეფერენდუმები ერთმანეთის მიყოლებით ჩავარდა საფრანგეთსა და ნიდერლანდებში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 13-მა ქვეყანამ (ანუ უმრავლესობამ) კონსტიტუციის რატიფიცირება უკვე მოახდინა, თუმცა, მისი ამოქმედებისთვის ყველა წევრის თანხმობაა საჭირო.

## საშინაო რეფორმების შედეგად დახმარების გაწევა გაუმჯობესდა

2005 წელს ევროკომისიამ რეკორდულად სწრაფად და ეფექტურად იმოქმედა პროგრამების განსახორციელებლად, რათა ფული მიეღო მათ, ვინც ამას ნამდვილად საჭიროებდა.

შედეგებმა ცხადყო ევროკომისიის მიერ მესამე ქვეყნებისთვის დახმარების გასაუმჯობესებლად 2001 წელს ჩატარებული რეფორმების სისწორე. 2005 წელს 6.2 მილიარდი ევრო დაიხარჯა განვითარების დახმარებისთვის, ხოლო ერთი წლით ადრე 5.7 მილიარდი ევრო. რეფორმების წყალობით ევროკომისიის ფულის მართვა უფრო ეფექტურად მიმდინარეობს შიდა პროცედურებისა თუ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში. 2001 და 2005 წლებს თუ შევადარებთ, შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოყოფილი და დახარჯული თანხები გაუმჯობესდა შესაბამისად 54 პროცენტი და 52 პროცენტით.

## თანამშრომლობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში

ევროპასა და მერკოსურის ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოების ეკონომიკური კონკურენტულობა და სოციალური ჩართვა განიხილეს ბრაზილიის და არგენტინის წამყვან მინისტრებსა და ევროკომისიას შორის გამართულ მოლაპარაკებებზე. ვივიან რედინგი, ევროკომისარი საინფორმაციო საზოგადოებასა და მედიის საკითხებში, ეძებს გზებს ევროკავშირსა და ბრაზილიასა და არგენტინას შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის მობილური გადაცემის, კომპიუტერულ-პროგრამული და სატელიტური კომუნიკაციების სფეროებში. ევროკომისარმა ასევე, ისაუბრა ბრაზილიის და არგენტინის მთავრობებთან ციფრული ტელევიზიის განვითარების და სწორი სტანდარტების არჩევის ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობაზე .

## 38 მილიონი ევრო ცენტრალური აფრიკის ტყის დაცვისა და მდგრადი მართვისთვის

ევროკომისიამ ახალი 38 მილიონ ევროდ ღირებული ECOFAC-ის IV პროგრამის ფარგლებში, გააძლიერა ცენტრალური აფრიკის ტროპიკული ტყის დაცვა. ევროკომისიის მიზანია ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივი დაცვა და მდგრადი მართვა გარანტირებული იყოს ცენტრალური აფრიკის შვიდ ქვეყანაში. ესენია: კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კონგო, ეკვატორული გვინეა, გაბონი და საო ტომე და პრინსიპი.

პროგრამა 180 000 კვ. კმ-ზე გადაჭიმულ ტროპიკულ ტყეებსა და სავანის ეკოსისტემას დაფარავს.

## ევროკავშირი-ჩინეთის მინისტრთა შეხვედრა ვენაში

3 თებერვალს ვენაში ევროკავშირი-ჩინეთის მინისტრთა ტროიკის შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს: ევროკომისარმა საგარეო საქმეთა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, ბენიტა ფერერო-ვალდნერმა, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურსულა პლასნიკმა და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანამ.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ლი ძაოსინთან შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირი-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობები, ახალი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების და ვაჭრობის საკითხები. ასევე, ისაუბრეს ადამიანის უფლებების დაცვაზე და საერთაშორისო და რეგიონულ საქმეებზე.

# ავსტრია - ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა

2006 წლის 1 იანვარს ავსტრია გახდა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, რაც ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 30 ივნისამდე საბჭოს მუშაობას ავსტრია უხელმძღვანელებს და წარმოადგენს მას სხვა ევროპულ (ძირითადად ევროპარლამენტი და ევროკომისია) და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობაში. წლის მეორე ნახევარში კი თავმჯდომარის მოვალეობებს ფინეთი გადაიბარებს.

როგორც ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანამ, ავსტრიამ უნდა შეიმუშაოს კავშირის ძირითადი მიმართულებები და მიიღოს გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე. როგორც ვენაში აცხადებენ, ავსტრია (ისევე როგორც მომდევნო თავმჯდომარე - ფინეთი) ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულება ექვსი თვის განმავლობაში პირნათლად შეასრულოს და კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესი კვლავაც გრძელდება.

ოცდახუთწევრიანი გაერთიანების (რომელსაც მალე კიდევ ორი წევრი შეემატება), თითოეული წევრის ინტერესებში შედის ის, რომ მათი საერთო და სულ უფრო მეტად ურთიერთგადაჯაჭვული მომავალი განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას ეფუძნებოდეს.

ევროპის შუაგულში მდებარე ავსტრიის პოლიტიკოსები და დიპლომატები სრული პასუხისმგებლობით ეკიდებიან იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელიც მისი მმართველობის პერიოდში ევროკავშირის დღის წესრიგშია შეტანილი. რასაკვირველია, უპირველესი ამოცანა გასულ წელს ევროკავშირში წარმოქმნილი სერიოზული კრიზისიდან გამოსავლის მოძებნა იქნება.

შექმნილ სიტუაციაში ბუნებრივია, ექვსი თქვე არც ისე დიდი ვადა იქნება, ამიტომ ავსტრიამ და მისმა მომდევნო თავმჯდომარემ, ფინეთმა ერთობლივი, მთელი წლის სამუშაო გეგმა წარმოადგინეს. ოფიციალური ცნობით,



ვოლფგანგ შუსელი: "ევროკავშირი არ უნდა "გადაიტვირთოს".

ეს გეგმა ეფუძნება კავშირის სტრატეგიას 2004-2006 წწ. განმავლობაში.

უკანასკნელმა დებატებმაც ნათლად უჩვენა, რომ ევროკავშირმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ საკითხებს, რომლებიც თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ საქმიანობას უკავშირდება, - ნათქვამია, ოფიციალურ დოკუმენტში. 2006 წლის ორი თავმჯდომარე ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობის პირობას დებს, რათა საბჭოს მუშაობა 2006 წლის მანძილზე წაადგეს ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას, გარემოს დაცვას, ევროპის მოქალაქეთა თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, ისევე როგორც ევროკავშირის როლის გაძლიერებას მსოფლიოში.

რაც შეეხება ძირითად პრიორიტეტებს 2006 წლის განამავლობაში, მათგან უმეტესობა ავსტრიამ წინა თავმჯდომარე-ქვეყნისგან – ბრიტანეთისგან მიიღო მემკვიდრეობით. და სავარაუდოდ, ვენაც გადაულოცავს გადაუჭრელი საკითხების მნიშვნელოვან ნაწილს მომდევნო თავმჯდომარე ფინეთს.

ავსტრიის მთავრობისა და ევროკომისიის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა ვოლფანგ შუსელმა განაცხადა, რომ მომავალი ექვსი თვის მანძილზე აუცილებლად გაგრძელდება დისკუსიები ევროკონსტიტუციაზე. შუსელმა ხაზი გაუსვა, რომ ამ დოკუმენტს კიდევ აქვს გადარჩენის შანსი. თუმცა, თავის სატელევიზიო გამოსვლაში შუსელმა აღარ დააკონკრეტა კონსტიტუციის ტექსტი იგივე დარჩება თუ ცვლილებები შევა მასში. შეგახსენებთ, გასული წლის მაის-ივნისში, საკონსტიტუციო რეფერენდუმების ჩავარდნას ერთმანეთის მიყოლებით საფრანგეთსა და ნიდერლანდებში, ევროკავშირის მომავალი ძირითადი დოკუმენტის ძალაში შესვლის პროცესი, ფაქტობრივად შეაჩერა.

კონსტიტუციის გარდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება გაერთიანების სამომავლო (2007-2013 წწ.) დაფინანსების შესახებ შეთანხმების დამტკიცება. ბრიტანეთმა მოახერხა ეროვნულ მთავრობებს შორის კონსენსუსის მიღწევა. თუმცა, როგორც გასულ თვეში გაირკვა, მთავრობების მიერ მიღებული ფინანსური პერსპექტივები არ აკმაყოფილებთ ევროპარლამენტარებს.

იანვარში ევროპარლამენტში "ფინანსური პერსპექტივების" ჩავარდნის მიუხედავად, შუსელს მიაჩნია, რომ აპრილამდე შეძლებს ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო ენის გამონახვას, როგორც ევროპარლამენტთან, ასევე ევროკომისიასთან.

გარდა ამისა, თავმჯდომარე-ქვეყანას დაგეგმილი აქვს დიდი ადგილი დაუთმოს ლისაბონის სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკას 2010 წლისთვის მსოფლიოში ყველაზე მოწინავესა და ეფექტიანს გახდის. თუმცა, ამჟამინდელი არასასურველი საერთაშორისო კონიუნქტურა, (პირველ რიგში, გაზრდილი ფასები ენერგომატარებლებზე, ევროს მაღალი გაცვლითი კურსი) მეტად აძნელებს ლისაბონის პროცესის მიმდინარეობას. ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ეკონომიკური ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა გამოაცხადა.

გაერთიანების წინაშე სხვა, არანაკლებ მწვავე პრობლემებიც დგას, მაგალითად, მოლაპარაკებების დაწყება თურქეთის გაწევრიანების შესახებ. შუსელი კატეგორიულად აცხადებს, რომ თურქეთმა (და ყველა ქვეყანამ, ვისაც ევროკავშირის წევრობა სურს), პირველ რიგში სწორედ კოპენჰაგენის კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს. თუმცა, იქვე იმასაც დასძენს, რომ **"ევროკავშირი არ უნდა "გადაიტვირთოს"**.

შუსელის მოსაზრება სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერჯერობით კიდევ მწვავედ დგას არათანაბარი ეკონომიკური განვითარების დონის საკითხი გაერთიანების ძველ წევრებსა და ახალგაწევრიანებულებს შორის.

ფრიად დაძაბული იქნება გაერთიანების დღის წესრიგი "საგარეო ფრონტზეც." ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული ირანის ბირთვული პრობლემის გადაწყვეტაში, ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესში, ერაყისა და ავღანეთის აღორძინებასა, და ბელორუსში "ევროპის უკანასკნელ დიქტატორ" ლუკაშენკოს რეჟიმთან "ბრძოლაში". გარდა ამისა, ევროკავშირი აქტიურად მონაწილეობს გაეროს რეფორმირების, და მთლიანობაში მრავალპოლუსიანი პოლიტიკის გატარებაში.

ასე რომ, დღის წესრიგი ფრიად დატვირთული იქნება და, სავარაუდოდ, ხმამაღალი დებატებიც არ იქნება იშვიათი.

ავსტრიელი პოლიტიკოსის თქმით, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩამოყალიბდება ნათელი წარმოდგენა ევროპის მომავალზე. ავსტრიელებმა კარგად იციან, რომ დისკუსიები ევროპული ცხოვრების მოდელზე, ისევე როგორც მის საზღვრებზე, ეროვნულ მთავრობათა იურისდიქციასა და ბიუროკრატიის შემცირებაზე ზაფხულამდე აუცილებლად კიდევ უფრო "ცხელი" გახდება.

# შეხვედრა ბრიუსელში

### საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბელორუსის, ავღანეთის, ირანისა და ერაყის შესახებ იმსჯელეს

*30 იანვარს ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა ყოველთვიური შეხვედრა შედგა. მთავარ თემებს შორის, რომლებიც ამ შეხვედრაზე განიხილეს, ბელორუსიის წინასაარჩევნო სიტუაცია, ავღანეთის მომავალი, ირანის ატომური პროგრამა და ერაყთან ევროკავშირის სამომავლო თანამშრომლობა იყო.*

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ბელორუსში მარტში დაგეგმილი არჩევნები გაყალბდება, ისინი ბელორუსიას სანქციებს დაუწესებენ.

30 იანვარს ბრიუსელში შემუშავებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თუ ბელორუსია საარჩევნო პროცესში საერთაშორისო სტანდარტებს არ დაიცავს, 25 მინისტრი შესაბამის ზომებს მიიღებს.

საგარეო ურთიერთობების საკითხებში ევროკომისრის ბენიტა ფერერო-ვალდნერის თქმით, ამ ზომებში სავიზო რეჟიმის გამკაცრება და ეკონომიკური სანქციები შევა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ბელორუსის საკითხის განხილვას ბრიუსელში ბელორუსის ოპოზიციის ლიდერისა და პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ალექსანდრ მილინკევიჩის ვიზიტი დაემთხვა. ამ დამთხვევამ ერთგვარი დილემაც შექმნა - ევროკავშირი, ერთი მხრივ, ღიად ატარებს ლუკაშენკოს ავტოკრატული რეჟიმის საწინააღმდეგო კამპანიას, მაგრამ, მეორე მხრივ, არ სურს, რომ რომელიმე კონკრეტულ კანდიდატთან ან პარტიასთან გახდეს ასოცირებული.

თუმცა, მილინკევიჩს ევროკავშირში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა. მათ შორის, ალბათ, ყველაზე საყურადღებო მისი ნახევარსაათიანი შეხვედრა იყო ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. ამასთან, მილინკევიჩი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორს ხავიერ სოლანას, ევროკომისარს საგარეო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო ვალდნერს და ევროპის პარლამენტის პრეზიდენტს ჟოსეპ ბორელს შეხვდა.

ევროკომისიის ოფიციალური წარმომადგენლის ემა ადვინის თქმით, ბელორუსიასთან მიმართებით ევროკავშირის შეშფოთება იზრდება: **"ევროკავშირი კვლავ ძალიან შეშფოთებულია ბელორუსში არსებული სიტუაციით, რომელიც მუდმივად უარესდება დემოკრატიასთან, პოლიტიკურ თავისუფლებებთან და ადამიანის უფლებებთან მიმართებით. ჩვენ ძალიან ყურადღებით ვადევნებთ თვალს წინასაარჩევნო პროცესს და, როგორც გასული წლის ბოლოს უკვე ვთქვით, თუ საერთაშორისო სტანდარტები დაცული არ იქნება, ევროკავშირი არ გამორიცხავს, რომ მიღებულ ზომებს კიდევ უფრო გაამკაცრებს,"** – ამბობს ადვინი.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც საგარეო საქმეთა მინისტრებმა იმსჯელეს, ავღანეთი იყო. ევროკავშირის დიპლომატები ავღანეთის განვითარებისთვის აუცილებელ პირობად სამი სფეროს გაძლიერებას მიიჩნევენ - უსაფრთხოებას, სწორ მმართველობას და სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ნარკოტიკებით ვაჭრობის აღკვეთა, მათი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა იმ კონფერენციაზეც იმსჯელეს, რომელიც 31 იანვარს ლონდონში გაიხსნა და რომელმაც საერთაშორისო თანამეგობრობასა და ავღანეთს შორის ახალი შეთანხმება უნდა შეიმუშაოს.

ევროკომისიის წარმომადგენელი ემა ადვინი მიიჩნევს, რომ ეს კონფერენცია ავღანეთის საერთაშორისო მხარდამჭერებს საშუალებას მისცემს აშკარად აჩვენონ, რომ მზად არიან ავღანეთს განვითარებაში დაეხმარონ. **"ავღანეთს და მის დონორებს შორის დადებულ ახალ შეთანხმებაში იმ პირობებსა და მიზნებს გაითვალისწინებენ, რომლითაც ჩვენი სამუშაო უახლოესი წლების განმავლობაში უნდა წარიმართოს. უნდა გამოჩნდეს, რომ ეს მხოლოდ თალიბების რეჟიმის დაცემაზე რეაქციით კი არ არის გამოწვეული, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის სურვილით, ავღანეთს სტაბილიზაციის, დემოკრატიზაციისა და კეთილდღეობის რთულ და გრძელ გზაზე დაეხმაროს,"** – აცხადებს ევროკომისიის ოფიციალური წარმომადგენელი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ირანის ატომური ენერგეტიკის პროგრამის შესახებაც იმსჯელეს. მათ მიერ შემუშავებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირი ძალიან შეშფოთებულია ირანის გადაწყვეტილებით, გახსნას დალუქული მოწყობილობა და ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებული სამუშაოები აწარმოოს. ირანის ატომური ენერგეტიკის საქმესთან მიმართებით ევროკავშირი მოლაპარაკების წარმოების მომხრეა, მაგრამ მოლაპარაკების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობასთან ირანის მთავრობის თანამშრომლობა გამჭვირვალე უნდა იყოს.

30 იანვარს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს პირველად მიეცათ ერაყზე საუბრის საშუალება იქ ჩატარებული არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. ოფიციალური წყაროების თანახმად, როგორც კი ერაყში ახალი მთავრობა შეიქმნება, ევროკავშირი ვაჭრობის და თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას გეგმავს.

30 იანვარს შემუშავებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სასურველია ერაყში ახალი მთავრობა რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს და მასში ყველა ის პოლიტიკური ძალა იყოს წარმოდგენილი, რომელიც მშვიდობას უჭერს მხარს.



ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს შეხვედრა 30-31 იანვარს ბრიუსელში.



# ჰეიკი ტალვიტი: „ეს იყო ძალიან საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე სამუშაო"

B1 გვერდიდან

**"პრობლემა, რომელიც არსებობს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით, არის ის, რომ მათ ეძახიან "გაყინულ კონფლიქტებს". ეს ზოგჯერ ნიშნავს, რომ ხალხს ეშინია ცვლილებების, რომელიც მოჩვენებით სტაბილურობას დაარღვევს. ამიტომაც საჭიროა, იყოს გარკვეული ოპტიმიზმი, გარკვეული არგუმენტაცია, რათა ხალხი მიხვდეს ამ ახალ შესაძლებლობებს. ვფიქრობ, საჭიროა გარკვეულ რისკებზეც წასვლა, რათა გადაიჭრას პრობლემები,"** ამბობს ტალვიტი.

მისივე თქმით, როცა არსებობს ახლებური სიტუაცია, ისეთი, როგორიც დღეს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, პოლიტიკოსი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მის გამოყენებას. ამ პროცესში ევროკავშირის თანამონაწილეობა კი ბრიუსელში უკვე მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი. თუმცა, ევროპელი დიპლომატი იქვე იმასაც უსვამს ხაზს, რომ აუცილებელია სიფრთხილე და ზომიერება.

**"თუ ძალიან ამბიციურები ვიქნებით, გადაწყვეტილებები ვერ შესრულდება,"** - განაცხადა ტალვიტიმ და დასძინა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ქართულ და ოსურ მხარეებზე, დანარჩენ მხარეებს კი მხოლოდ დამხმარეების ფუნქცია აკისრიათ.



ჰეიკი ტალვიტი: გარეშე მხარეებს მხოლოდ მხარდაჭერა შეუძლიათ.

ჰეიკი ტალვიტიმ "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე ზოგადად საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარებაზეც ისაუბრა. როცა ელჩს ჰკითხეს, თუ რა ფაზაში შეგვეძლო განგვეხილა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ტალვიტიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირს ამ ეტაპზე არ ჰქონდა ამბიციური გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით. **"ზოგჯერ ქართულ მხარეს გადაჭარბებული მოლოდინები აქვს, ხოლო ევროკავშირი ვერ ახერხებს, განახორციელოს ყველაფერი, ისე როგორც საქართველოს სურს. მაგრამ ეს რეალური ცხოვრებაა, ამას ვერ გავექცევით. მომავალში თუ გვსურს, მართლაც განვახორციელოთ ჩვენი ერთობლივი გეგმები, ერთად უნდა ვიმუშაოთ და მაშინ აუცილებლად მივაღწევთ მიზანს,"** – ამბობს ევროპელი დიპლომატი.

ელჩის სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ტალვიტი ამბობს, რომ მიმდინარე წლის დიდი ნაწილს ევროკავშირის თავმჯდომარე-ქვეყნის (2006 წლის მეორე ნახევარში ამ პოსტს ფინეთი შეითავსებს) დახმარებას მოახმარს და როგორც ბატონი ელჩი აღნიშნავს, მას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარების გაწევისა.

"ჩემი მთავარი ინტერესია, თვალი ვადევნო ამ სამ ქვეყანაში განვითარების პროცესს, - ამბობს ტალვიტი, - დაახლოებით 10 წლის განმავლობაში მე ჩართული ვიყავი მსოფლიოს ამ ნაწილში. ეს იყო ძალიან საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე საქმიანობა. მე აქ ბევრი მეგობარი მყავს და შესაძლოა, ერთ დღესაც დავბრუნდე და ვნახო, თუ როგორ ხართ, როგორ შეძლო საქართველომ მოეგვარებინა თავისი პრობლემები".

# ბენიტა ფერერო-ვალდნერი სამხრეთ კავკასიას სტუმრობს

*საგარეო ურთიერთობათა და "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ევროკომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი 16 და 17 თებერვალს პირველად ეწვევა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას. მისი ვიზიტი აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ხაზს უსვამს ევროკომისიის მზადყოფნას, საფუძველი ჩაუყაროს "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში უფრო მჭიდრო ურთიერთობას ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიას შორის და დაეხმაროს სამხრეთ კავკასიის პარტნიორ ქვეყნებს რეფორმების განხორციელებაში. ბაქოში, თბილისსა და ერევანში ყოფნისას ქალბატონი ფერერო-ვალდნერი შეხვდება სამივე ქვეყნის პრეზიდენტს და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას - საგარეო საქმეთა მინისტრებს და პარლამენტის თავმჯდომარეებს. ქალბატონი ფერერო-ვალდნერი ისაუბრებს "სამოქმედო გეგმებზე", რომლებიც შემუშავების პროცესშია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან ცალ-ცალკე, აგრეთვე, რეგიონში არსებულ "გაყინული კონფლიქტებზე" და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე.*

ვიზიტის წინ ქალბატონმა ფერერო-ვალდნერმა თქვა: **"სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის "ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში" გაწევრიანებით დაიწყო ჩვენი ამ ქვეყნებთან ურთიერთობის ახალი ეტაპი. იმედი მაქვს, რომ სწრაფად დავასრულებთ მუშაობას "სამოქმედო გეგმებზე" აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და სომხეთთან, რათა ჩვენი ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდეს მომავალში. 2006 წელმა ახალი მუხტი უნდა შეიტანოს ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობებში".**

**"მე ასევე იმედი მაქვს, რომ 2006 წელს იქნება წინსვლა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხებში. ჩემი ვიზიტის დროს საუბარი მექნება იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია ამ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა სტაბილურობის, დემოკრატიის და კეთილდღეობის დამკვიდრების პროცესში მომავალში. ეს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს მოუტანს სარგებელს, არამედ სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონს".**

"ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" არის განსაკუთრებული შეთანხმება ევროკავშირსა და მის სამეზობლოს შორის. მისი მიზანია უფრო ინტენსიური გახადოს ურთიერთობა და ხელი შეუწყოს ინტეგრაციას და ამისათვის მეზობლებს სთავაზობს ევროკავშირის შიდა ბაზარზე მონაწილეობის მიღებას. დემოკრატიის გაძლიერების, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის, ვაჭრობის ლიბერალიზების, ენერგეტიკის და ტრანსპორტის განვითარების სფეროებში თანამშრომლობით ", ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" ევროკავშირის მოსაზღვრე ქვეყნებს დამატებით ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს სთავაზობს.

"სამოქმედო გეგმები" აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და სომხეთთან თითოეულ ამ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის უკვე დადებული "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებების საფუძველზე შედგება. კონსულტაციები თითოეულ ამ ქვეყანასთან ინდივიდუალურ "სამოქმედო გეგმაზე" გასულ წელს დაიწყო.. ყოველი გეგმა კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებს არის მორგებული. ქალბატონი ფერერო-ვალდნერის ვიზიტი სტიმულს მისცემს კონსულტაციების პროოცესს. მისი ვიზიტის შემდეგ კონსულტაციები ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის გაგრძელდება, რათა, რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს "სამოქმედო გეგმებზე" მუშაობა.

ევროკავშირი ერთ-ერთი ძირითადი დონორია, რომელიც სამხრეთ კავკასიას დახმარებას უწევს. 1991-2004 წლებში ევროკავშირმა აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს 1.2 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარება გაუწია. ამ დახმარებიდან თითოეულ ქვეყანას თითქმის თანაბარი წილი ერგო - 400 მილიონი ევრო. ამ დახმარების ნახევარი მიმართულია სიღარიბის დაძლევასა და სასურსათო უსაფრთხოების პროგრამების ფარგლებში დასმული ამოცანის შესრულებაზე. მეორე ნახევარი დახმარებისა პროგრამა "ტასისის" და მაკროფინანსური დახმარების ფარგლებში განხორციელდა. "ტასისის" პროგრამის (ანუ "ტექნიკური დახმარება ახლად დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობისათვის") საშუალებით ხდება სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების, ვაჭრობის, ინვესტიციების, საბაზრო ეკონომიკის, კანონის უზენაესობის და მმართველობის, დემოკრატიული ინსტიტუტების და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. ის მასშტაბური ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც 90–იანი წლების დასაწყისში და მოგვიანებითაც ამ რეგიონს გაეწია, თანდათანობით შემცირდა.

# ევროკავშირის მორიგი კონკურსი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

*ევროკავშირი დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ მიკროპროექტებს აფინანსებს. მიკროპროექტების ძირითადი მიზანია სწრაფი რეაგირება მოახდინონ არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებზე ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის სფეროში სამი პრიორიტეტული მიმართულებით: 1) არჩევნების მხარდაჭერა; 2) გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა; 3) სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა, რათა უფრო მეტად ჩაერთონ დემოკრატიულ მმართველობასა და პოლიტიკურ დიალოგში. პროგრამით გამოყოფილი გრანტების საერთო ოდენობა ამჯერად 560 000 ევროა.*

"ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში" 1994 წელს ევროპარლამენტის ინიციატივით შეიქმნა. მისი მიზანია ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პოპულარიზება და მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. აღნიშნულ პროგრამას ევროკავშირის სხვა პროგრამებისგან ის განასხვავებს, რომ იგი, შესაძლოა, განხორციელდეს სხვადასხვა პარტნიორთან, კერძოდ ადგილობრივ არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად. ამდენად, პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის მიერ სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებისთვის გაწეული დახმარებების ერთგვარი დაბალანსება ხდება. პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონ ევროს შეადგენს და მის მართვას ევროკომისია ახორციელებს.

31 იანვარს ევროკომისიის წარმომადგენლობაში ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრაზე პროექტების განყოფილების ხელმძღვანელმა ადრიანა ლონგონიმ განაცხადა, რომ პროგრამის "ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში" ფარგლებში, ევროკავშირი არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებს დააფინანსებს. მიკროგრანტების დასაფინანსებლად გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი 560 000 ევროს შეადგენს.

ევროკომისიის წარმომადგენლობა მიიღებს განაცხადებს არაკომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სფეროში მოღვაწეობენ. განაცხადების შემოტანა შეუძლია ორგანიზაციას, რომლის სათავო ოფისი საქართველოში მდებარეობს, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციას რომელსაც სათავო ოფისი სხვა ქვეყანაში აქვს, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი დამოუკიდებელი დანაყოფითაა წარმოდგენილი. განმცხადებელს შეუძლია წინადადებების ინდივიდუალურად და კონსორციუმის შემადგენელი ნაწილის სახით შემოტანა. პროექტის ხარჯების მაქსიმალური ზღვარი, რომლის დაფარვა შესაძლებელია გრანტებით, 80%-ია. გრანტებით დაფინანსდება პროექტები, რომელთა ფარგლებში სამუშაოები 24 თვემდე პერიოდის განმავლობაში გრძელდება. გრანტის მინიმალური ოდენობაა 10 000, ხოლო მაქსიმალური 50 000 ევრო.

მიკროპროექტებთან დაკავშირებული წინადადებები შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ა) არჩევნების მხარდაჭერა

(მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგია):

სამოქალაქო და ამომრჩეველთა განათლების ხელშეწყობა;

საზოგადოების უფრო მეტად გაცნობიერებისა და აქტივობის პროგრამები;

ადგილობრივ დამკვირვებელთა და მედიის საარჩევნო პროცესების გაშუქების შესაძლებლობების გაზრდა, ისევე როგორც რეგიონული ორგანიზაციების არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობების გაზრდა.

ბ) გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა

(მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგია):

დამოუკიდებელი პრესისა და მაუწყებლობის მასტიმულირებელი აქციების ხელშეწყობა;

მედია ორგანიზაციების პროფესიული სტანდარტების ამაღლება;

მედიის როლი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში;

უმცირესობის საკითხების ტოლერანტული და ეთიკური გაშუქება;

სიცოცხლისუნარიანი მედია ორგანიზაციების დაფუძნება, რომლებიც აღწევენ ადგილობრივ მოსახლეობამდე და საზოგადოების მარგინალიზებულ ნაწილს ხმის უფლების დამკვიდრებაში ეხმარებიან.

გ) სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა შესაძლებობების ზრდის ხელშეწყობა, რათა უფრო მეტად ჩაერთონ დემოკრატიულ მმართველობასა და პოლიტიკურ დიალოგში

(მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგია):

ქალების თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

# ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის ძველი და ახალი ამოცანები

*ევროკომისიასა და საქართველოს შორის ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებები ახლო მომავალში დასრულდება ისეთი გეგმის შემუშავებით, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ორი მხარის თანამშრომლობის ხასიათს, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკურ, ინსტიტუციონალურ და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს საშუალოვადიან პერსპექტივებში, - ასეთი შინაარსის განცხადებით გახსნა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ 17 იანვარს თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართული კონფერენცია, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს და სამომავლო პერსპექტივებს მიეძღვნა. კონფერენციის ორგანიზატორი იყო ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC).*

ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპულმა საკონსულტაციო ცენტრმა (GEPLAC) გასულ თვეში სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტ"-ში გამართა კონფერენცია, რომლის მიზანიც იყო ცენტრის ამოცანებისა და სამუშაო მიმართულებების საზოგადოებისთვის გაცნობა, ასევე, პროექტის ბენეფიციარებთან, პარტნიორებთან და საზოგადოების დაინტერესებულ წრეებთან შეხედულებების ურთიერთგაცვლა. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის, სამოქალაქო საზოგადოების წევრები, საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ გახსნეს. მოხსენებით გამოვიდნენ "ჯეპლაკის" გუნდის ხელმძღვანელი ბ-ნი ალექსეი სეკარევი, პროექტის დირექტორი ბ-ნი კახა გოგოლაშვილი და მთავარი ექსპერტი, გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორი ივან სამსონი.

გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ორგანიზაცია ყველა იმ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის ექსპერტიზას განახორციელებს, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესს უკავშირდება. ცენტრი ჩაერთვება ასევე ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი რეფორმების პროცესში.

როგორც საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ აღნიშნა, დაარსებიდან დღემდე "ჯეპლაკი" მაქსიმალურად უწყობდა ხელს ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროცესს. ცენტრმა სახელი გაითქვა, რგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, რომლის მიერ შემუშავებული ანალიზები საქართველოში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე ყოველთვის გამოირჩეოდა ობიექტურობით. შარშან ცენტრი ჩაერთო ევროკავშირის "სამეზობლო ინიციატივის" განხორციელებაში საქართველოს მიმართ.

**"მოლაპარაკებები, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ევროკომისიასა და საქართველოს შორის, ახლო მომავალში დასრულდება ისეთი გეგმის შემუშავებით, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ორი მხარის თანამშრომლობას, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკურ, ინსტიტუციონალურ და სოციალურ-**



"ჯეპლაკი" საქართველოს მთავრობას ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდასა და საზოგადოებაში ევროპული ინტეგრაციის იდეის გავრცელებაში დაეხმარება.

**ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს საშუალოვადიან პერსპექტივებში,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

## პროექტის შესახებ

"ჯეპლაკი" წარმოადგენს პროექტს, რომელიც უკვე 8 წლის განმავლობაში უწევს დახმარებას საქართველოს მთავრობას ევროკავშირთან გაფორმებული "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" იმპლემენტაციაში. ეს უკვე პროექტის მეხუთე ფაზაა და მის ახალ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საქმეში.

პროექტის მიმდინარე, მეხუთე ფაზა დაიწყო 2005 წლის 3 ოქტომბერს და 2007 წლის მარტში დასრულდება. იგი ხორციელდება "ალტაირ ასესორეს" (Altair Asesores), "ბრითიშ ქაუნსილ ეუროპიან"-ის (The British Council European), "სოუშალ ენდ ლიგალ ექონომიქ პროჯექთ" (Social and Legal Economic Projects – ESTEP) და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) მიერ. პროექტის ბიუჯეტი 1,8 მლრდ ევროს შეადგენს.

წინა ეტაპების მსგავსად პროექტის საქმიანობის ძირითადი სფერო კვლავაც საკონსულტაციო მომსახურება იქნება. პროექტის დირექტორის კახა გოგოლაშვილის თქმით, **"ეკონომიკური კონსულტაციები, ამჟამადაც ჩვენს პრიორიტეტად რჩება, რადგანაც "ჯეპლაკი" ძირითადად ეკონომიკური პროფილის ცენტრია. ჩვენ ვცდილობთ ქართული კანონმდებლობის მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან"**. თუმცა, პროექტის ახალი მე-5 ფაზა ახალ ამოცანებსა და ელემენტებსაც მოიცავს.

ამ თვალსაზრისით, ახალ კომპონენტს წარმოადგენს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რაც ძირითადად სახელმწიფო მოხელეთა სწავლებას ითვალისწინებს.

"ჯეპლაკი" დაეხმარება საქართველოს მთავრობას საზოგადოებაში ევროპული ინტეგრაციის იდეის გავრცელებაში და ხელს შეუწყობს ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლებას. ასევე ახალ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის განხორციელების საქმეში. პროექტის გუნდი მოწოდებულია განავითაროს "ჯეპლაკის" კვლევითი შესაძლებლობები და მოამზადოს მისი დამოუკიდებელ კვლევით-ანალიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება.

თუმცა, ამავე დროს, ცენტრი აქტიურად გააგრძელებს მთავრობის დახმარებას საქართველოს კანონმდებლეობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საქმეში, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების 43-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება და ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

ევროპორტრეტი

# ევროპის მესაჭე

## ჟოზე მანუელ დურაო ბაროზუ - იურისტი, პოლიტოლოგი და დიპლომატი

*ნეტავ, რას განიცდის ადამიანი, როცა ზესახელმწიფოებრივ მთავრობას ხელმძღვანელობს და ჩინოვნიკთა დაახლოებით ოციათასიან არმიას მეთაურობს? ჯერჯერობით ევროკომისიის არც ერთ ყოფილ პრეზიდენტს არ გამოუქვეყნებია მემუარები, სადაც გაგვიმხელდნენ მოგონებებს, თუ როგორ მართავდნენ ევროკავშირს. იქნებ ევროკომისიის ამჟამინდელმა მესაჭემ, პორტუგალიელმა ჟოზე მანუელ დურაო ბაროზუმ აიღოს ოდესმე ხელში კალამი... მით უმეტეს, რომ განათლებით იურისტმა უკვე გამოაქვეყნა 6 წიგნი. თავისი პირველი პოლიტიკური "ნაშრომი" კი სულ რაღაც 12 წლის ასაკში შექმნა. თხზულებას ერქვა "სკოლა, როგორც საზოგადოებრივი წინსვლის საშუალება".*



*მაინც როგორია 49 წლის პოლიტიკოსის მრწამსი?*

დაიბადა ლისაბონში 1956 წლის 23 მარტს. პოლიტიკისადმი ინტერესს ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა. პირველად, პარტიულ თავყრილობაზე რაც არ უნდა გასაკვირი იყოს 5 წლის ასაკში შეიპარა... საიდანაც ბაბუამ გამოაძევა. ცამეტი წლის ბიჭუნა უკვე ქუჩის დემონსტრაციებში იღებდა მონაწილეობას.

მომავალ პრეზიდენტს ლისაბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა სწორედ იმ პერიოდში მოუწია, დღეს მღელვარე 70-იანებს რომ უწოდებენ. ისიც ისევე, როგორ თანატოლთა უმრავლესობა გრძელი თმითა და განუყრელი შლიაპით დადიოდა. ამ თაობის ახალგაზრდობის მსგავსად, ბაროზუც მარქსისტული მოძრაობის წევრი იყო. "პროლეტარიატის პარტიის რევოლუციური მოძრაობის" ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი იხსენებს, რომ ზე მანუელმა (ასე ეძახდნენ ბაროზუს) სწორედ მაშინ გამოიჩინა თავი როგორც კარგმა ორატორმა.

თუმცა, 1977 წელს მამის დაღუპვის შემდეგ ბაროზუ ჩამოშორდა მემარცხენე ორგანიზაციებს და სტუდენტურ ასოციაციას ჩაუდგა სათავეში.

პოლიტიკური განათლების მიღება ბაროზუმ შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძო, შემდეგ კი უკვე ჯორჯთაუნის უნივერსტიტეტში გადიოდა კურსებს. ამ პერიოდში დაუმეგობრდა მემარჯვენე პორტუგალიელ პოლიტიკოსებსაც.

1980 წელს ჟოზე მანუელი პორტუგალიაში დაბრუნდა – სწორედ იმ წელს დაიღუპა ქვეყნის პრეზიდენტი ფრანსიშკუ სა კარნეირუ ავიაკატასტროფაში. ამავე წლიდან იწყება ბაროზუს მოღვაწეობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. "მოწითალო" სახელის მიუხედავად ეს პარტია მემარჯვენეცენტრისტული მიმართულების ორგანიზაცია იყო. ეს წელი ბაროზუსთვის კიდევ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი დაოჯახდა.

სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შემდეგ 29 წლის ბაროზუმ პირველად დაიკავა თანამდებობა მთავრობაში – იგი შიდა ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივნად დაინიშნა. როგორც ამბობენ, მთავრობის მეთაური ანიბალ კავაკუ სილვა დიდად აფასებდა ბაროზუს. არჩევნებში ხელმეორედ გამარჯვების შემდეგ კავკუმ მას უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული თანამშრომლობის სახელმწიფო სამდივნო ჩააბარა, სადაც ბაროზუმ თავი გამოიჩინა ანგოლის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში აქტიურობით. კავაკუ სილვას მესამე მთავრობაში ჟოზე ბაროზუს უკვე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი უკავია.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბაროზუმ საერაშორისო აღიარება მოიპოვა, პირველ რიგში იმის გამო, რომ შეძლო მიეღწია გაერო-ში აღმოსავლეთი ტიმორის (პორტუგალიის ყოფილი კოლონია, რომელიც ინდონეზიამ დაიპყრო) პრობლემის განხილვისათვის. ეს თემა ბაროზუს მცდელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა გახდა.

1995 წელს, მას შემდეგ, რაც წარუმატებლად სცადა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურის თანამდებობის დაკავება, ეროვნული კრების დეპუტატი გახდა და თითქმის ერთი წელი ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიას. 1996 წლიდან იგი სამეცნიერო სარბიელზე ბრუნდება და ლისაბონის უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი გახდა.

მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1999 წლის 2 მაისს იყარა ხელახლა კენჭი პარტიის ხელმძღვანელობაზე და ამჯერად გაიმარჯვა. სხვათა შორის, ამ დროს მან პირობა დადო, რომ თუ მას პოლიტიკასა და ოჯახს შორის არჩევნის გაკეთება მოუწევს, იგი აუცილებლად უკანასკნელს აირჩევს.

2001 წელს მისმა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა და ბაროზუც პორტუგალიის მე-13 პრემიერ-მინისტრი გახდა.

ეკონომიკურმა სირთულეებმა პრემიერ-მინისტრს მთელი რიგი არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგა, თუმცა, ამ ზომების შედეგად ლისაბონმა (პარიზისა და ბერლინისგან განსხვავებით) შეძლო იმ პარამეტრების დაცვა, რომელსაც სტაბილურობის პაქტი ითვალისწინებს.

მაინც როგორია 49 წლის პოლიტიკოსის მრწამსი?

იგი თავის თავს უწოდებს ზომიერ ცენტრისტს, რეფორმატორს, რაც მთავარია, "სახელმწიფო ეკონომიკის" მოწინააღმდეგეს. თუმცა, პორტუგალიაში მას ხშირად უხსნებდნენ, რომ ქვეყანამ მისი მმართველობის დროს ბევრი სოციალურ პროგრამაზე თქვა უარი, რომ არაფერი ვთქვათ ერაყის კამპანიის მხარდაჭერაზე. რასაკვირველია, მისი მმართველობის დროს ეს პრეტენზიები აისახა ევროპარლამენტის არჩევნებზეც, სადაც ოპოზიციურმა სოციალისტურმა პარტიამ მიაღწია წარატებას.

პორტუგალიელის კანდიდატურა ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტზე ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტ აჰერნმა სრულიად მოულოდნელად წარადგინა. მანამდე დასახელდა ათამდე სხვა კანდიდატი, მათ შორის თავად ბერტ აჰერნსაც უწინასწარმეტყველებდნენ გაპრეზიდენტებას. თუმცა, ყველა კანდიდატზე უარის თქმა სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. მთავარი მიზეზი კი ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა ლიდერებს შორის კონსენსუსის არარსებობა იყო.

აი, ჟოზე მანუელ ბაროზუს სახელის ხსენებას კი ერთსულოვანი მოწონება მოჰყვა. პორტუგალიელის კანდიდატურა მრავალი მიზეზის გამო იყო მისაღები: პირველ რიგში იგი ევროინტეგრაციის მხურვალე მხარდამჭერი იყო; ჰქონდა დიდი პოლიტიკური გამოცდილება, მათ შორის საერთაშორისო ასპარეზზე; მშობლიური პორტუგალიურის გარდა, თავისუფლად ფლობდა ესპანურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს; გარდა ამისა, ევროპარლამენტის კონსერვატიული უმრავლესობის მხარდაჭერის იმედიც უნდა ჰქონოდა. მართლაც, მან ადვილად დაძლია, სტრასბურგის ბარიერი – ევროპარლამენტის 413 წევრი იყო მისი კანდიდატურის მომხრე და 251 – წინააღმდეგი.

ევროკომისიის მომავალმა ხელმძღვანელმა თავიდანვე მტკიცედ განაცხადა, რომ ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს "პიროვნულ დაღს" დაასვამდა და პირობა დადო, რომ კომისია "ძლიერი და დამოუკიდებელი" იქნებოდა.

პირველი ნაბიჯი, რაც ბაროზუმ თანამდებობის დაკავებისთანავე გადადგა იყო ჯიუტი განცხადება იმის შესახებ, რომ ევროკომისიის წევრთა ბრიუსელის სხვადასხვა რაიონში გაბნეული კაბინეტები აუცილებლად უნდა მოქცეულიყო ერთ შენობაში. ეს იქნებოდა "ბერლემონი" – ზღვის ვარსკვლავის ფორმის შენობა, რომელიც 1991 წლიდან დაკეტილი იყო კაპიტალური რემონტის საბაბით. აღსანიშნავია, რომ ახალი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ყველა არ მოუყვანია აღფრთოვანებაში, მით უმეტეს, რომ მისი წინამორბედი რომანო პროდი მაქსიმალური დეცენტრალიზაციის კურსს ატარებდა.

ასევე მტკიცე იყო ბაროზუს გადაწყვეტილებები კომისიის შემადგენლობის თაობაზეც. მან თავიდანვე განაცხადა, რომ მის გუნდში არ იქნებოდნენ "პირველ და მეორეხარისხოვანი" კომისრები. პორტუგალიური პრესა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ბაროზუმ გაუძლო "დიდი" ქვეყნების ზეწოლას პორტფელთა განაწილების დროს. **"მე თავად გადავწყვეტ ამ საკითხს – მეტად მნიშვნელოვანს ამ ორგანოს დამოუკიდებლობისა და მისდამი ნდობისთვის,"** – ერთგვარი სიჯიუტით განაცხადა პორტუგალიელმა.

შესაძლოა, დღეს, როცა ევროკავშირში ძალიან დიდი, ერთი შეხედვით დაუძლეველი პრობლემები დაგროვდა, სწორედ ბაროზუსნაირი მმართველი იყო საჭირო. ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ევროკომისიის პრეზიდენტი ხმამაღლა აცხადებს: **"ევროკავშირს არ შეუძლია ავტოპილოტის რეჟიმში მუშაობა. აუცილებელია გამოვლინდეს პოლიტიკური ლიდერობა, პოლიტიკური გამბედაობა და ჩვენ ვეცდებით ამის დემონსტრირებას".**

# ევროპული კულტურის დედაქალაქი პატრასი 2006

*პროექტის "ევროპული კულტურის დედაქალაქი" მთავარი მიზანია ევროპის მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის რეკლამირება. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ევროკავშირის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას. 2006 წელს "ევროპული კულტურის დედაქალაქის" საპატიო სტატუსი საბერძნეთის ქალაქ პატრასს მიეკუთვნა.*

პროექტი "ევროპული კულტურის ქალაქი" დაფუძნდა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს ინიციტიავით 1985 წლის 13 ივნისს. მისი დეკლარირებული მიზანია "ევროპის ხალხების გაერთიანების ხელშეწყობა". 1999 წელს ამ პროექტს სახელი შეეცვალა და ეწოდა "ევროპული კულტურის დედაქალაქი".

პროექტის ფარგლებში თითოეული ქალაქი ადგენს კულტურული მოვლენების ისეთ პროგრამას, რომელმაც ამ ქალაქის ისტორიული და კულტურული მემკვიდრების წარმოჩენას უნდა შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, "ევროპული კულტურის დედაქალაქი" ძალიან ხშირად იქცევს სხვა ევროპულ ქვეყნებში მოღვაწე კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ყურადღებასაც.

პროექტმა დროთა განამვლობაში დიდი პოპულარობა მოიპოვა და დღეს, ევროპული კულტურის დედაქალაქად დასახელებული ქალაქი მთელი წლის განამვლობაში აურაცხელ ტურისტს იღებს.



*ქალაქის სიმბოლო - პატრასის შუქურა.*

2004 წლამდე "ევროპული კულტურის დედაქალაქის" შერჩევა უპირატესად წევრ-სახელმწიფოთა მიერ ხდებოდა, რის შემდეგაც ევროკომისია აძლევდა შერჩეულ ქლაქს სუბსიდიებს.

დღეისათვის, "ევროპული კულტურის დედაქალაქს" ევროკომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ყოველწლიურად არჩევს ევროპული საბჭო. ევროკომისია, თავის მხრივ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ევროპარლამენტისა და ექსპერტთა საბჭოს მოსაზრებებით.

1985 წლიდან დღემდე ყველა შერჩეულმა ქალაქმა გასაოცარი ორიგინალურობა და გამომგონებლობა გამოავლინა საკუთარი ისტორიულ-კულტურული ღირსებების დემონსტრირებისას.

წელს ირლანდიის ქალაქ კორკიდან "ევროპული კულტურის დედაქალაქმა" ბერძნულ ზღვისპირეთში – პატრასში გადაინაცვლა.

საზეიმო ღონისძიებების პროგრამა პატრასმა საოცარი სანახაობის ქუჩის კარნავალით დაიწყო, რომელიც აგერ უკვე 170 წელიწადია ამ ბერძნული ქალაქის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ულამაზესი ფერების გამოფენასა და საყოველთაო მხიარულებაში თითქმის მთელი ქალაქი, მისი ყველა კულტურული დაწესებულება იღებდა მონაწილეობას.

მომავალ კვირებში დაგეგმილია მრავალი გამოფენა და კონცერტი. მაცდუნებელი სახელის ღონისძიება "გამოსახულებათა ლაბირინთი" პატრასის ქალაქში ყველა ევროპელს (და არა მარტო მათ) ეპატიჟება.

# სიტყვარი

## ევროკავშირი

**ევროპის კავშირი (ევროკავშირი, ასევე, ევროპის გაერთიანება) (European Union)** ოცდახუთი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელსაც აქვს საერთო საზღვრები, ერთიანი სავაჭრო სივრცე და ერთიანი ვალუტა. 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირის თხუთმეტ წევრ სახელმწიფოს - ბელგია, დანია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია, ფინეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი - ათი ახალი წევრი შეემატა, ესენია: ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი და სლოვენია. დღეისათვის ევროკავშირის მოსახლეობა 450 მილიონს აღწევს. ევროკავშირის შტაბ-ბინა მდებარეობს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში.

**ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტები**

**ევროპარლამენტი (European Parliament)** ევროკავშირის 732 წევრისაგან შემდგარი საკანონმდებლო ორგანოა, რომელსაც, ხუთ წელიწადში ერთხელ, ევროკავშირის მოქალაქეები პირდაპირი კენჭისყრით ირჩევენ. ევროპარლამენტის სხდომები იმართება სტრასბურგსა და ბრიუსელში. ევროპარლამენტის პრეზიდენტია ჯოზეფ ბორელ ფონტელესი.

**ევროკავშირის საბჭო ანუ ევროკავშირის მინისტრთა საბჭო (Council of the European Union ან Council of Ministers)** არის ორგანო, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების დარგობრივ მინისტრებს. მისი ძირითადი ფუნქცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესების წარმოჩენა და დაცვაა. ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანია ხავიერ სოლანა. ყოველ ექვს თვეში იცვლება ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, რომელიც უძღვება ევროკავშირის მოღვაწეობას და აკეთებს განცხადებებს მისი სახელით. 2005 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 1 იანვრამდე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ფუნქციას დიდი ბრიტანეთი შეასრულებს.

**ევროკომისია (European Commission)** ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა, რომელსაც საკანონმდებლო ინიციატივის, კანონის აღსრულების და მასზე კონტროლის ფუნქციები აკისრია. ევროკომისიის პრეზიდენტია ხოსე მანუელ ბაროსო. ევროკომისიის შემადგენლობაში შედის ცხრამეტი ევროკომისარი, რომელიც სხვადასხვა დარგს ხელმძღვანელობს.

2002 წლის იანვრიდან ევროკავშირის თორმეტ წევრ სახელმწიფოში მოქმედებს ერთიანი ევროპული ვალუტა **"ევრო"** ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია და ესპანეთი.

**"ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" (European Neighbourhood Policy - ENP)** ევროკავშირის ახალი ინიციატივაა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის თანამშრომლობას მისი გაფართოების შედეგად შეძენილ "ახალ მეზობლებთან". საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" წევრებად ცნობა 2004 წლის 14 ივნისს მოხდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია თავიდან აიცილოს ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის. გარდა ამისა, "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" შესაძლებლობას აძლევს მასში მონაწილე ქვეყნებს გააღრმავონ პოლიტიკური დიალოგი და ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან.

**ევროკავშირის კონსტიტუცია (Constitution for Europe)** არის დოკუმენტი, რომელსაც 2004 წლის ოქტომბერში რომში 25 წევრი ქვეყნის მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა ხელი. კონსტიტუციის ძალაში შესასვლელად მისი რატიფიცირება ევროკავშირის ოცდახუთივე ქვეყანაში უნდა მოხდეს.

*ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში*
*ნინო ჩხეიძის 38. ტელ.: 943763; ფაქსი: 943768*
*ელ. ფოსტა: Delegation-Georgia@cec.eu.int*
*www.delgeo.cec.eu.int*

## ევროსაბჭო

**ევროპის საბჭო (Council of Europe)** პოლიტიკური მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წელს დაარსდა. მისი შტაბბინა მდებარეობს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში. ევროპის საბჭოში დღეისათვის 46 წევრია საქართველოს ჩათვლით.

ევროპის საბჭოს ძირითადი მიზნებია: ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვა; დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება; პოლიტიკურ, სამართლებრივ და საკონსტიტუციო რეფორმების მხარდაჭერა ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე; ევროპის კულტურული თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობა; სოციალური ინტეგრაციისა და სოციალურ უფლებათა მხარდაჭერა.

**ევროპის საბჭოს ინსტიტუტები**

**მინისტრთა კომიტეტი (Committee of Ministers)** არის ევროპის საბჭოში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან (ან სტრასბურგში მყოფი მათი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლებისგან).

**საპარლამენტო ასამბლეა (Parliamentary Assembly)** – ორგანიზაციის სათათბირო ორგანოა, რომელიც შედგება ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისაგან. საპარლამენტო ასამბლეა 5 წლის ვადით ირჩევს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. 2004 წლიდან ევროპის საბჭოს გენერალური მდივანია ტერი დევისი. ის პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამის სტრატეგიულ მართვასა და მის ბიუჯეტზე.

**ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი (Council of Europe Congress of Local and Regional Authorities)** არის ევროპის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ხმა. ეს ფორუმია, სადაც ადგილზე და რეგიონებში არჩეული წარმომადგენლები განიხილავენ არსებულ პრობლემებს, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ და მთავრობებს თავიანთ მოსაზრებებს წარუდგენენ.

**ევროპის საბჭოს სამივე ორგანოში საქართველოს თავისი წარმომადგენლობა ჰყავს.**

*ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს აქვთ ერთი დროშა, რომელზეც გამოსახულია 12 ოქროსფერი ვარსკვლავი ლურჯ ფონზე. მათ ჰიმნიც საერთო აქვთ - "ოდა სიხარულისადმი" ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან.*

*ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო*
*მისამართი: ერეკლე II-ს შესახვევი 7, ტელ.: 989560; 988977 ფაქსი: 989657*
*ელ ფოსტა: information.office@coe.ge*
*http://www.coe.ge*

დამატება "ევროპა" მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

# ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭოს
# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში თანამედროვე მაღალპროდუქტიული ტექნოლოგიების დანერგვა და მეურნეობების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლება. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარებით მიმდინარე "სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების" პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო. საბჭო კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს იმ ორგანიზაციებზე, რომელთა მხრიდანაც შემოთავაზებული იქნება თანამედროვე აპრობირებული ტექნოლოგიების დანერგვა, დემონსტრირება და გავრცელება, რომლებიც პირდაპირ პასუხობენ ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობის ამაღლების, საქონელწარმოების ზრდისა და პროდუქციის რეალიზების პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას.

ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო აცხადებს კონკურსს 2006 წლისთვის განსახორციელებელი პროექტებისთვის გრანტების მოსაპოვებლად შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

**1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი დამუშავება, დახარისხება, დაფასოება და საბითუმო რეალიზციისთვის მომზადება დამზადების პუნქტებში**

**2. სასათბურე მეურნეობების განვითარება**

**კონკურსში დამოუკიდებლად ან ერთობლივად (ძირითადი, ან თანამონაწილე ორგანიზაციის სახით) მონაწილეობის უფლება აქვთ ისეთ იურიდიულ პირებს, როგორიცაა:**

- კერძო აგრო-სამრეწველო კომპანიებს, საწარმოო გაერთიანებებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ აგრარულ სფეროში და ეწევიან სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევით ან ექსპერიმენტულ მუშაობას;
- ფერმერულ ასოციაციებს, კოოპერატივებს და სხვა ფერმერულ ორგანიზაციებს;
- სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს;
- სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ტექნოლოგიების გამავრცელებელ ორგანიზაციებს.

**კონკურსში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება არა აქვთ ფიზიკურ პირებს, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებსაც.**

**საორგანიზაციო საკითხები:**

კონკურსანტები წარმოადგენენ განაცხადს, არაუგვიანეს **2006 წლის 7 მარტის, 18.00 საათისა.** განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი 12 ზომის შრიფტით 1,5 ინტერვალით, დანომრილი გვერდებით, აკინძული ცხრილებთან და ქვემოთ ჩამოთვლილ დანართებთან ერთად, სამ ეგზემპლიარად. ამავე დროს, განაცხადის ძირითადი ტექსტი ცხრილებთან ერთად (დანართების გამოკლებით) წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, დისკეტაზე შენახული ფაილის სახით.

**დანართი 1. (სავალდებულო)**
წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები;

**დანართი 2. (სავალდებულო)**
საკონსკურსო განაცხადში წარმოდგენილი აპრობირებული მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პატენტი, საავტორო უფლება, ან სარეკომენდაციო წერილი მაპროფილებელი ორგანიზაციიდან.

**დანართი 3. (სავალდებულო)**
პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული მიწის, შენობა-ნაგებობებისა და სხვა ძირითადი საწარმოო საშუალებების (მათი არსებობის შემთხვევაში) პროექტში მონაწილე ორგანიზაციების ან/და ფერმერების საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამ ობიექტების ადგილმდებარეობის ზუსტი აღწერა და მისამართი (სასურველია შესაბამისი ფოტოსურატების წარმოდგენა);

**დანართი 4. (სავალდებულოა, თუ არსებობს თანამონაწილე ორგანიზაცია)**
ხელშეკრულებები წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს შორის ჩასატარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ.

**დანართი 5. (სავალდებულოა, თუ არსებობს ასეთი წინასწარი გარიგებები)**
ხელშეკრულებები წამყვან ორგანიზაციასა და მონაწილე ფერმერებს შორის ჩასატარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ.

**დანართი 6. (სავალდებულოა, თუ არსებობს ასეთი წინასწარი გარიგებები)**
ხელშეკრულებები წამყვან ორგანიზაციასა და სავაჭრო ობიექტ(ებ)ს შორის სარეალიზაციო პროდუქციის სახეობისა და ჩაბარების პირობების ჩვენებით.

**დანართი 7. (სავალდებულო)**
პროექტის ხელმძღვანელის და ძირითად მონაწილეთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV).

**დანართი 8. (სავალდებულო)**
კონკურსანტის მიერ განაცხადში დასახელებული ტექნოლოგიების დასანერგად შესაძენი ძირითადი აპარატურისა და მანქანა-დანადგარების მწარმოებლებისა და მომწოდებლების (მინიმუმ სამი) ჩანონათვალი მათი ზუსტი რეკვიზიტების და საქონლის დეტალური ტექნიკური მახასიათებლების მითითებით. (თუ შესასყიდი საქონლის ან სამუშაოს ფასი აჭარბებს 10 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტს, მაშინ საქონლის ეროვნულ/საერთაშორისო შესყიდვას დახლიდან და მცირე სამუშაოს შესყიდვას პროექტის სახსრებით ახორციელებს პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ადმინისტრაციული ბირთვი "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების ფარგლებში შესყიდვების წარმოების სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით (გამოცემული 1995 წლის იანვარში და რედაქტირებული 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში)).

გამოცხადებული ვადების გასვლის შემდეგ საკონკურსო განაცხადები აღარ მიიღება.

კონკურსის მსვლელობის ყოველ ეტაპზე საკონკურსო გრანტების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და ხელმეორედ განხილვას არ ექვემდებარება. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელება შეიძლება დაიწყოს არა უადრეს 2006 წლის 1 მაისისა.

პროექტის მომზადებისთვის გაწეულ ნებისმიერ ხარჯს საკუთარი სახსრებით ფარავენ თავად კონკურსანტები. კონკურსანტს გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

საგრანტო განაცხადის მომზადების დაწყებამდე კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აუცილებლად უნდა გაეცნონ მეთოდურ მითითებებს პროექტების კონკურსზე წარსადგენი განაცხადის შესადგენად. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნოში ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განაცხადების მომზადებაში კონკურსანტებისადმი დამატებითი დახმარების გაწევის მიზნით 2006 წლის 20 და 24 თებერვალს და 1 მარტს 14.00 სთ-ზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის დარბაზში ჩატარდება საკონსულტაციო სემინარები.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოგვმართოთ:
მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების
საკოორდინაციო ცენტრი
საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო
სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა
თბილისი 0123, კოსტავას 41,
VI სართული, ოთახი 632
ტელ. 92 20 45, 92 20 41

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების - **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის აუცილებელი, საპროექტო სამუშაოების** შესყიდვაზე **3 - ლოტად** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**I ლოტი - ელექტრო ქსელების და სისტემების რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო სამუშაოების შესყიდვა.**
**II ლოტი - ელექტროსადგურების, თბო, ჰიდრო და ელექტრომექანიკური სამუშაოების შესრულების მიზნით საპროექტო სამუშაოების შესყიდვა.**
**III ლოტი - სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების მიზნით საპროექტო სამუშაოების შესყიდვა.**

1. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. სატენდერო კომისიაში პირველადი სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოს ზოგად აღწერას ღირებულების მითითების გარეშე. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა არ დაიშვება.
2. მომსახურების მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის **15 დეკემბერი**, მიწოდების ადგილი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.
- დაინტერესებულმა პირებმა პირველადი სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 მარტიდან 11 მარტის 17.00. სთ-მდე. ზემოხსენებულ მისამართზე, ენერგეტიკის სამინისტროს კანცელარია - მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში ქ-6 ქ. მშვიდობაძესთან. შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე, უცხო ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც სათანადო წესით იქნება დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.
- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.
3. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ამავე ვადებში წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა შეიცავდეს:

**- ინფორმაცია პროექტზე დაკავებული ინჟინერ ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის Eშესახებ.**
**- ინფორმაცია პროექტზე დაკავებული სხვა მუშა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის შესახებ.**
**- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური საშუალებების შესახებ.**
**- ინფორმაცია ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ ანალოგიური პროექტების შედგენაში.**
**- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი**

4. შემსყიდველი ორგანიზაცია ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების დროს ჯერ განიხილავს წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად სატენდერო წინადადებებს და განსაზღვრავს პრეტენდენტებს. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.
5. ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების ვადას სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვის შემდეგ.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 **იურიდიული პირისათვის**:
a) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
b) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

6.2 **ფიზიკური პირისათვის**:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
g) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

6.3. **როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისთვის**:
ა) ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია.
ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

6.4 უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ 6.1, 6.2 და 6.3 "ა" ქვეპუნქტით პუნქტებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემის უფლებამოსილების მქონე დაწესებულებიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ;

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სატენდერო წინადადება არ შეფასდება, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
8. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 16 თებერვლიდან 11 მარტის 17 სთ.-მდე მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატში ქეთი მშვიდობაძე.
9. ტენდერში ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით და აგრეთვე სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ქ. მშვიდობაძე მისამართზე: ქ. თბილისი, ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი, მე-4 სართული, ტელ: 996098.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ა/ა 200122900 სახაზინო კოდი 302003000, საიდენტიფიკაციო კოდი 203840442 (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის ქუჩა N74 კორპუსის ფასადის არქიტექტურული განათების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: აპარატურის შესყიდვა, მეტალზე ჩასატარებელი სამუშაოები (კორპუსის, კრონშტეინების წარმოება), სამონტაჟო სქემების დამუშავება და ინსტალაცია, აპარატურის და შემადგენელი კომპონენეტების დასამონტაჟებლად მომზადება და მონტაჟი.

*2*. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 მაისი.

***3***. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 8 მარტის 12 საათიდან 2006 წლის 8 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 თებერვლის 12 საათიდან 7 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ კალაძე - საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ცვლილებები კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადებაში

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"-მ 2006 წლის 14 თებერვლის გაზეთი "24 საათის" N32-ში გამოაცხადა სატენდერო განცხადება კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა ცხრილის სახით 21-დან-5ლოტად. საზოგადოების სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლს გათვალისწინებით, შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში, კერძოდ შეიცვალა როგორც ლოტების რაოდენობა ასევე შესყიდვის ობიექტის და სახეობების რაოდენობა, შესაბამისად გაზეთის N32-ე გამოშვებაში ჩამოყალიბებული ცხრილი, ჩამოყალიბდა ახალი სახით, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

| რიგითი N | საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი 2.4გჰც | 20 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| 2. | პერსონალური კომპიუტერი 3.2გჰც | 5 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| 3. | პრინტერი | 25 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| 4. | კატრიჯი 1010/1020 | 70 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| | კატრიჯი 1100 | 30 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| | კატრიჯი 890 | 30 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| | კატრიჯი პე16 | 10 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| | კატრიჯი 300 | 10 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| | კატრიჯი 54-ა | 10 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| | კატრიჯი 3520ტ | 10 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |
| 5. | კატრიჯების მომსახურება(დატუმბვა) | 300 | თბილისი,0164 წინამძღვრიშვილის95 | მოთხოვნის შესაბამისად |

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო

საქართველოს კანონის "ნავთობისა და გაზის შესახებ" და "ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების" შესაბამისად სახელმწიფო სააგენტო აცხადებს, რომ 2005 წლის 30 დეკემბერს ტენდერში გამოცხადებულ სალიცენზიო ბლოკებს დაემატა II P სალიცენზიო ბლოკი და შეიცვალა ტენდერის ჩატარების თარიღი. ტენდერი ჩატარდება 2006 წლის 15 ივნისს.

სალიცენზიო ბლოკები

II P ბლოკი მდებარეობს საქართველოს საზღვაო ტერიტორიის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში, ხმელეთიდან მაქსიმალური დაშორება შეადგენს 125 კმ-ს, მინიმალური კი 50 კმ-ს, სამუშაო სიღრმე 1700 მ-ია.

V სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: გალის, წალენჯიხის, მესტიის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ცაგერის, ხონის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის, აბაშის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ლენტეხის რაიონებს. ფართობი - 5770 კვ მ.

VI A სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულის, წყალტუბოს, სამტრედიის, ხონის, ვანის, ბაღდათისა და თერჯოლის რაიონებს. ფართობი - 3330 კვ მ.

V B სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ამბროლაურის, ონის, ჯავის, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონის, ბაღდათის, ხარაგაულის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს. ფართობი - 3470 კვ მ.

VII B სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებს. ფართობი - 1175 კვ მ.

VIII სალიცენზიო ბლოკი ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ბაღდათის, ხარაგაულის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალქალაქის, ასპინძისა და ახალციხის რაიონებს. ფართობი - 4760 კვ მ.

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო სააგენტოს უფროსისადმი წერილობითი თხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ საინფორმაციო პაკეტები, სალიცენზიო ბლოკებისა და ტენდერის პირობების შესახებ ა/წ 15 მარტიდან. წერილობითი თხოვნა უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი ყაზბეგის გამზირი № 45 (IV სართული), ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, ტელ: (995 32) 253311, ელექტრონული ფოსტა sarogr@access.sanet.ge.

საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ და ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები განთავსებულია ვებგვერდზე www.sarogr.ge.

განაცხადის წარდგენა და გახსნა

სახელმწიფო სააგენტოში "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონისა და ეროვნული მარეგულირებელი წესების შესაბამისად წარმოდგენილი განაცხადები (დალუქული) მიიღება 2006 წლის 1 მაისიდან 2006 წლის 15 ივნისის 17 საათამდე (ადგილობრივი დროით) შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი ყაზბეგის გამზირი №45 (IV სართული), ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო.

ყველა განაცხადი გაიხსნება საჯაროდ 2006 წლის 15 ივნისს 18 საათდე (ადგილობრივი დროით) სახელმწიფო სააგენტოს ოფისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდრს **NN7,8,9,10,11Nნავმისადგომების საინჟინრო გამოკვლევის სამუშაოზე და კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაზე** და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

სამუშაოების ჩატარების სტადიები:

1. საინჟინრო გამოკვლევა

2. კაპიტალური რემონტის ჩატარების პროექტი წინასწარ შედგენილი

კაპიტალური რემონტის ჩატარების ტექნიკური გადაწყვეტილებების ვარიანტის შემუშავებით.

3. კაპიტალური რემონტის ჩატარების დამტკიცებული ვარიანტის სამუშაო დოკუმენტაცია.

Pპროექტის განსაკუთრებული პირობები:

NN7,10,11 ნავმისადგომების კონსტრუქცია ესტაკადის ტიპისაა, რომელიც დაყრდნობილია რკინა ბეტონის ხიმინჯებზე. სიღრმეები კორდონთან შეადგენს 11,5: 11,6 და 8.25 მეტრს ნავსადგურის ასათვლელი წერტილიდან.

NN 8,9 ნავმისადგომების კონსტრუქცია წარმოადგენს ლარსენ-V ტიპის ლითონის შპუნტისაგან (ნარანდისაგან) შემდგარ დაანკერებულ ბოლვერკის ტიპის კონსტრუქციას. Nნავმისადგომების სიღრმე შეადგენს 10,5 მეტრს.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347 საიდენტიფიკაციო N 245383678, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო **ვადაა 2006 წლის 9 მარტი.**

მისამართი - ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

სადაზღვევო მომსახურებისა ვადა ერთი წელი.

პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის

10 მარტიდან 11 მარტის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა წარმომადგნლობაზე უფლებამოსილი პირის ნასამართლობის შესახებ
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე.

საექსპერტო დასკვნის მიღებიდან 5(ხუთი) დღის ვადაში სატენდერო კომისიის მიერ ერთდროულად, ყველა პრეტენდენტს ეცნობება ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია: ვასილ ჯანგულაშვილი ტელ. სამსახურის 888 222 31921 მობილური: 899 65 72 75. მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N21, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" ტექნიკური განყოფილება.

**სატენდერო კომისია**

# სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს კონკურსს შემდეგ საიჯარო ფართებზე

| N | ადგილმდებარეობა | დანიშნულება | ფართის ოდენობა. კვ.მ. | იჯარის მინიმალური ფასი 1მ2-ზე $ თვეში დღგ-ს გარეშე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | N2 აეროვაგზლის შენობა VIP-2 დარბაზი $ | ბარი | 35=5 | 5=0 | ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის |

შენიშვნა; საიჯარო გადასახადში არ შედის კავშირგაბმულობით! ელექტროენერგიით! წძლით სარგებლობისა და სხვა ღირებულება.

იჯარით გადაცემის კონკურსში მონაწილეობის პირობები;

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუყლიათ შესაბამისი მიმართულების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს! რომლებიც უზრუნველძოფენ საიჯარო ფართის დანიშნულებისამებრ გამოძენებას.

2. იჯარის პერიოდი -- მიმდინარე წლის ბოლომდე! შემდგომი გაგრყელების უფლებით.

3. საკონკურსო პერიოდი -- საკონკურსო პირობების გამოქვეძნებიდან ერთი თვე.

4. წინადადებები მიიღება დალუქულ კონვერტებში! აეროპორტის კანცელარიაში გატარებული შემოსული ნომრით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საწარმო ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია;

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ! რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ- სამართლებრივ ფორმას! რეგისტრაციის ადგილს! სახელწოდებას! საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
- საწარმოს პირველი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
- ლიცენზია ან სერტიფიკატი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე! თუ საქმიანობის სახეობა ექვემდებარება სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას.
- ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.
